



განაკვეთილთა
პროფესიული
განვითარების
ერთმხრივი ცენტრი

ბავშვის განვითარების
ასაკობრივი
თავისებურებები

უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვის
განვითარების თავისებურებები

მოზარდობის ხანის
ასაკობრივი თავისებურებები

ავტორი:

მანანა მელიქიშვილი

რედაქტორები:

ნათია ნაცვლიშვილი

ნინო ლაბაროყავა

© მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, 2013.

WWW.TPDC.GE

უმცროსი სასკოლო ასაკის
ბავშვის განვითარების
თავისებურებები

ძირითადი საკითხები

I. ფიზიკური განვითარება

II. კოგნიტური პროცესების განვითარება

III. ფსიქო-სოციალური განვითარება

IV. სწავლის სირთულები

უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვის სწავლების წარმატებით წარმართვისათვის მნიშვნელოვანია ბავშვის ფსიქიკური განვითარების კანონზომიერებების გათვალისწინება. ბავშვთა ემოციური და გონებრივი თავისებურებების, მათი მიდრეკილებებისა და ინტერესების ცოდნა ეხმარება პედაგოგს, დაამყაროს კონტაქტი მოსწავლეებთან, წარმართოს მათი განვითარება, თავიდან აიცილოს მრავალი შეცდომა მათი სწავლებისა და აღზრდის საკითხში. ბავშვის ფსიქოლოგიის ცოდნა აძლევს საშუალებას პედაგოგს არა მხოლოდ გაიგოს ბავშვის განვითარების ასაკობრივი კანონზომიერებები, არამედ ხელი შეუწყოს და განავითაროს მოსწავლის ყველა საუკეთესო თვისება.

სკოლაში მისვლისას ბავშვი აღმოჩნდება უფრო „მკაცრ“ და „არალიოილურ“ გარემოში და იმაზე, თუ როგორ მოახერხებს იგი ახალ, სასკოლო გარემოსთან ადაპტაციას, ბევრი რამაა დამოკიდებული. პედაგოგმა აუცილებლად უნდა იცოდეს, ბავშვის განვითარების თავისებურებები, ვინაიდან სწავლების პროცესში მასწავლებლის მიერ დაშვებული შეცდომა შეიძლება გახდეს საფუძველი – იმედგაცრუების, ოჯახში და სკოლაში კონფლიქტის, სწავლაში წარუმატებლობის. უარყოფითი ემოციური მუხტი, რომელიც შეიძლება მიიღოს ბავშვმა დაწყებით კლასებში, დიდ გავლენას მოახდენს ბავშვის მომავალ ცხოვრებაზე.

ბავშვის განვითარება ყველა სფეროს მოიცავს:

ფიზიკურ ზრდას, რაც გულისხმობს სხეულის ზომებისა და ფორმის, ცენტრალური და ვეგეტატიური ნერვული სისტემის, სენსორული და მოტორული უნარების განვითარებას.

კოგნიტური (შემეცნებითი) პროცესების – აღქმის, ყურადღების, მეხსიერების, აზროვნების, მეტყველების განვითარებას.

ფსიქო-სოციალურს – პიროვნული ნიშნების შექმნასა და საკუთარი უნიკალურობის გრძნობის განვითარებას, მის ადაპტაციას საზოგადოების მოთხოვნებთან და კულტურულ გარემოსთან.

ბავშვის განვითარების თავისებურებები სხვადასხვა სფეროს მიხედვით

ფიზიკური განვითარება და მისი გავლენა უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვის ფსიქიკურ განვითარებაზე

უმცროსი სასკოლო ასაკი მოიცავს პერიოდს 5-6 წლიდან 11 წლამდე. ამ პერიოდში ბავშვის ცხოვრებაში ჩნდება ისეთი მნიშვნელოვანი გარემოება, როგორცაა სწავლის დაწყება.

ამ პერიოდში მიმდინარეობს ბავშვის ორგანიზმის ინტენსიური ბიოლოგიური ზრდა-განვითარება (ცენტრალური და ვეგეტატიური ნერვული სისტემის, ძვალ-კუნთოვანი სისტემის, შინაგანი ორგანოების); მატულობს ნერვული პროცესების აქტივობა. ნერვული პროცესების აღზრუნება სჭარბობს შეკავების პროცესს და ეს განაპირობებს უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვების ისეთ მახასიათებლებს, როგორცაა, მომატებული ემოციური აღზრუნებადობა და მოუსვენრობა. ბავშვისთვის, ერთი მხრივ, დამახასიათებელია მომატებული ფიზიკური გამძლეობა და, მეორე მხრივ, სწრაფი დაღლა და ნერვულ-ფსიქიკური პროცესების მოწყვლადობა.

მათი შრომისუნარიანობა 25-30 წუთის შემდეგ ქვეითდება. ასევე, ბავშვები იღლებიან გახანგრძლივებულ ჯგუფში დარჩენისას და ემოციურად დატვირთული გაკვეთილებისა და ღონისძიებების შედეგად.

ვინაიდან კუნთური სისტემისა და მისი მართვის პროცესების გან-

ვითარება არ მიმდინარეობს სინქრონულად, ამ ასაკის ბავშვებს ახასიათებთ მოტორული აქტივობის განვითარების თავისებურებები. მსხვილი კუნთების განვითარება უსწრებს წვრილი კუნთების განვითარებას, ამიტომ ბავშვებს უკეთ აქვთ განვითარებული მსხვილი მოტორული უნარები, ვიდრე ნატიფი მოტორული უნარები (მაგალითად, წერა).

6-8 წლის ბავშვი ფიზიკურად **ენერგიულია**. მას აქვს ტარბი ენერგია. სულ მოძრაობს. მართალია, ის ფიზიკურად განვითარებულია, მაგრამ მისი ზრდის პროცესი არათანაბრად მიმდინარეობს. გული არ იზრდება სხეულის პროპორციულად. ამიტომ მას არ შეუძლია, დიდხანს შეასრულოს დაძაბული ფიზიკური აქტივობა. მას სჭირდება დასვენების პერიოდები.

6 წლის ბავშვს, ისევე როგორც საერთოდ სკოლამდელი ასაკის ბავშვს, ძალიან უყვარს თამაში, მაგრამ ახლა მისი ძირითადი აქტივობაა ახალი, კონკრეტული ჩვევის დაუფლება.

9-11 წლის ბავშვი ფიზიკურად **აქტიურია**. აქვს ტარბი ენერგია, რომელიც ფიზიკური აქტივობის საფუძველს წარმოადგენს. უყვარს თავგადასავლები, შთაბეჭდილებები, ფიზიკური ვარჯიშები. ამ ასაკის ბავშვი იმდენადაა დაკავებული თავისი ყოველდღიური თავგადასავლებით, რომ შეიძლება ყურადღების მიღმა დარჩეს პირადი ჰიგიენა, საკუთარი ნივთებისა და ტანსაცმლის მოვლა. ამიტომ საჭიროა თვითდისციპლინის განვითარება.

კოგნიტური (შემეცნებითი) პროცესების განვითარება

უმცროს სასკოლო ასაკში ბავშვი შემეცნებითი ფსიქიკური პროცესების უნებლიე ფორმიდან (თამაშის ან პრაქტიკული აქტივობის დროს) ფსიქიკური აქტივობის ნებისმიერ, დამოუკიდებელ ფორმაზე გადადის, რასაც აქვს თავისი მიზანი, მოტივი, განხორციელების ხერხები და საშუალებები.

აღქმა

უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვის აღქმა **არასაკმარისად დანაწევრებულია**, ამიტომ ამ ასაკის ბავშვი ხანდახან ურევს მსგავსი მო-

ხაზულობის მექონე ასობესა და ციფრებს (6-9; 5-7). აღქმის განვითარებას დიდი მნიშვნელობა აქვს წერისა და კითხვის სწავლებისთვის.

6-9 წლის ბავშვები ხშირად ვერ ცნობენ ფიგურას, თუ ის სივრცეში ცოტათი სხვანაირად იქნება განლაგებული. მაგალითად, ზოგი ბავშვი ვერ აღიქვამს სწორ ხაზს, როგორც სწორს, თუ ის მოცემული იქნება დახრილად ან ვერტიკალურად.

ბავშვი აღიქვამს ნიშნის, სიმბოლოს ზოგად გამოსახულებას და ვერ ხედავს მის ელემენტებს.

ამ ასაკის ბავშვის აღქმა განისაზღვრება, პირველ რიგში, თვითონ ობიექტის მახასიათებლებით. ამიტომ, ბავშვები საგანში ამჩნევენ არა მთავარს, მნიშვნელოვანს, არამედ, საგნის თვალში საცემ, „მკვეთრ“ თვისებებს (ფერი, ფორმა, ზომა).

მნიშვნელოვანია, ბავშვებს ვასწავლოთ დაკვირვება. მასწავლებელს ძალიან მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლია ბავშვის აღქმის განვითარებაში, თუ სწორად შეურჩევს ნახატებს, სურათებს და დაეხმარება მას აღქმის ორგანიზებაში. მაგალითად, მისცემს მითითებას, დაათვალიეროს ნახატის დეტალები გარკვეული თანმიმდევრობით, იპოვოს ნახატში სხვადასხვა დეტალი, ააწყოს ნაწილებიდან მთელი და ა.შ. უმცროს სასკოლო ასაკში ვითარდება **სინთეზური აღქმა – აღქმული ობიექტის ელემენტებს შორის კავშირის დამყარების უნარი**. თუ მანამდე, ნახატის აღწერისას, ბავშვი ასახელებდა ნახატზე გამოსახულ ობიექტებს, ახლა (6-7 წელი) მას შეუძლია ნახატის აღწერა, შემდგომში (8 წელი) კი შეძლებს ინტერპრეტაციას.

სწავლების შედეგად აღქმა ხდება ანალიზური, ის იძენს ორგანიზებული დაკვირვების ხასიათს. მასწავლებელმა უნდა ასწავლოს ბავშვს ობიექტის არსებითი ნიშნების, საგნებისა და მოვლენების თვისებების გამოვლენა. აღქმის განვითარების ერთ-ერთი ეფექტური მეთოდი არის შედარება. მაგალითად, როცა ბავშვებს აჩვენებენ ცალკეული ობიექტების ნახატებს (მაგალითად, მგელი, მელა, ტურა, დათვი), ისინი ამჩნევენ ობიექტის უფრო ნაკლებ მახასიათებლებს, ვიდრე ნახატების ერთდროულად მიწოდებისას.

აღქმისათვის ასევე დამახასიათებელია ემოციურობა. ბავშვზე განსაკუთრებით უფრო დიდ გავლენას ახდენს მასწავლებლის ემოციური შექება, შეფასება, ვიდრე ნეიტრალური ტონით ნათქვამი „საქებარი“ სიტყვები.

აღქმის შემდეგი თავისებურებაა აღქმის კავშირი მოქმედებასთან (განსაკუთრებით, 6-7 წლის ბავშვებთან). აღქმა მჭიდროდ უკავშირდება ბავშვის პრაქტიკულ საქმიანობას. საგნის აღქმა ბავშვისთვის ნიშნავს აქტივობის განხორციელებას ამ საგნის გამოყენებით, რაღაცის შეცვლას, ხელში ალებას. ამიტომ უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვების სწავლებისას გაკვეთილზე დიდი დრო უნდა დაეთმოს პრაქტიკულ მოქმედებას საგნებზე და თვალსაჩინო მასალაზე მუშაობას.

ვითარდება აღქმის „სოციალიზაცია“, ბავშვი უპირატესობას ანიჭებს ადამიანიდან წამოსულ სიგნალებს.

აღქმის განვითარებაში ასეთი წინსვლის მიუხედავად, ამ პერიოდში წამყვანი მაინც საგნის გარეგნული, თვალსაჩინო მახასიათებლებია. ამას ბავშვი ხშირად შეცდომაში შეჰყავს, რადგან დასკვნას გარეგნულ, თვალსაჩინო თვისებებზე დაყრდნობით აკეთებს. მაგალითად, ამ ასაკის ბავშვისთვის თუ საგანი დიდია, ის მძიმეც უნდა იყოს.

უმცროსი სასკოლო ასაკში დროისა და სივრცის აღქმას გარკვეული მახასიათებლები გააჩნია, რაც გათვალისწინებული უნდა იყოს — ბუნების, ისტორიის, გეოგრაფიის სწავლებისას. დროისა და სივრცის აღქმა უმცროსკლასელებისთვის მჭიდროდ უკავშირდება მათ პირად გამოცდილებას, რაც საკმაოდ მცირეა ამ ასაკში. მაგალითად, ბავშვმა, რომელმაც იცის, რომ მისი ბაბუა 60 წლისაა, შეიძლება მას ჰკითხოთ: — „შენ დინობავრი გინახავს?“ ვინაიდან მისთვის ბაბუის დაბადება და დინობავრები „ძალიან ადრინდელი“ მოვლენაა, ან ბავშვს რომ ვკითხოთ — „რამდენი კილომეტრია შენს სახლამდე?“ მან შეიძლება გვიპასუხოთ 1000 კმ. ვინაიდან მისთვის 20, 500, 1000 კმ. — ნიშნავს „ძალიან შორს“.

უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვის აღქმის განვითარება შესაძლებელია ისეთი აქტივობებით, როგორცაა: ხატვა; სურათების დათვალიერება, მათი აღწერა, მსგავსება-განსხვავების პოვნა; ძერწვა; ზღაპრების, ლექსების, მოთხრობების მოსმენა და შეთხზვა; გამოცანების გამოცნობა და ა.შ. ამ აქტივობების განხორციელებისას, ბავშვი ეჩვევა ობიექტური მასალის გარდაქმნას და იძულებულია, ანგარიში გაუწიოს საგნის ობიექტურ თვისებებს. შესაბამისად, აღქმა უფრო დანაწევრებული და ორგანიზებული ხდება.

ყურადღება

სასწავლო საქმიანობა მოითხოვს კარგად განვითარებულ ყურადღებას. ბავშვს უნდა შეეძლოს, წარმართოს ყურადღება სასწავლო

ამოცანაზე, გარკვეული დროით შეინარჩუნოს ინტენსიური ყურადღება, გადაიტანოს ყურადღება ერთი ობიექტიდან მეორეზე. მაგრამ 5-8 წლის და 9-11 წლის ასაკში ნებისმიერი ყურადღება აღმოცენდება მხოლოდ ძალების მობილიზაციისა და ძლიერი დაძაბულობის, ან გარედან მოქმედი ძალისხმევის შედეგად. ჩვეულებრივ სიტუაციაში ბავშვს უჭირს ყურადღების ნებისმიერად მართვა.

უმცროსი სასკოლო ასაკისთვის დამახასიათებელია სუსტად განვითარებული ნებისმიერი ყურადღება. სამაგიეროდ, კარგად არის განვითარებული უნებლიე ყურადღება. ყველაფერი ახალი, მოულოდნელი, საინტერესო და ნათელი ადვილად იქცევა ბავშვის ყურადღებას. ბავშვმა შეიძლება არ შეაჩეროს ყურადღება სასწავლო მასალის არსებით დეტალებზე და შეაჩეროს არაარსებითზე.

გარდა ამისა, ბავშვის ყურადღება მჭიდროდ უკავშირდება აზროვნებას, ამიტომ მას უჭირს ყურადღების კონცენტრაცია მისთვის გაუგებარ, ბუნდოვან მასალაზე.

პირველკლასელებსა და, ნაწილობრივ, მეორეკლასელებს არ შეუძლიათ ყურადღების წარმართვა დიდხანს, ერთი მიმართულებით. განსაკუთრებით, თუ სამუშაო უინტერესოა და მონოტონური. შედეგად, ბავშვი ვერ ასრულებს დავალებას, ტოვებს ასოებს სიტყვაში, სიტყვას – წინადადებაში. 5-6 წლის ბავშვს ერთი მიმართულებით ყურადღების წარმართვა შეუძლია 15-20 წუთით. 1-2 კლასში ყურადღება უფრო მტკიცეა გარე აქტივობის შესრულებისას, ვიდრე გონებრივი აქტივობის დროს. ამიტომ საჭიროა გონებრივი აქტივობის ჩანაცვლება პრაქტიკული აქტივობებით (ხატვა, ძერწვა, სიმღერა, ვარჯიში). მხოლოდ მესამეკლასელებს შეუძლიათ შეინარჩუნონ ყურადღება მთელი გაკვეთილის განმავლობაში. ყურადღების ამ თვისებას ფსიქოლოგიაში ეწოდება – **ყურადღების სიმტკიცე (ყურადღების ხანგრძლივად წარმართვა ერთი და იგივე მიმართულებით, ერთსა და იმავე ობიექტზე).**

უმცროსი სასკოლო ასაკში ცუდი დისციპლინისა და სწავლის სირთულეების ერთ-ერთი მიზეზია ნებისმიერი ყურადღების სისუსტე. ამიტომ მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ როგორ მიმდინარეობს ნებისმიერი ყურადღების ფორმირება და როგორ შეიძლება მისი განვითარება. მიჩნეულია, რომ ნებისმიერი ყურადღება, უნებლიესგან განსხვავებით, არ არის ორგანიზმის მომწიფების პროდუქტი. იგი ყალიბდება სოცი-

ალურ კონტექსტში, ბავშვისა და მოზრდილის ურთიერთობის შედეგად. ნებისმიერი ყურადღების ფორმირებისთვის მნიშვნელოვანია ბავშვის აქტივობის ორგანიზება.

თავის განვითარებაში ყურადღება გაივლის გარკვეულ ეტაპებს. გარემოს შემეცნებისას, ბავშვი პირველად გამოყოფს მხოლოდ გარკვეულ ობიექტებს, შემდეგ შეძლებს სრული სიტუაციის აღწერას და ბოლოს – ინტერპრეტაციას. ამასთანავე, პირველად ბავშვს ყურადღების ნებისმიერად წარმართვა შეუძლია იმ მიზანზე, რომელსაც სვამს მის წინაშე უფროსი და შემდეგ იმაზეც, რასაც თვითონ დაისახავს მიზნად. ნებისმიერი ყურადღების განვითარების ადრეულ სტადიაზე, მოზრდილი სიტყვით ან ჟესტით გამოყოფს გარემოში ობიექტს და ამგვარად წარმართავს ბავშვის ყურადღებას. მაგალითად, მასწავლებელი ამბობს – „ამოიღეთ წიგნები“.

რაც შეეხება ყურადღების **გადაუხრადობას (უცხო, ხელშემშლელი გამღიზიანებლების მიმართ მეტ-ნაკლები წინააღმდეგობის გაწევა)**, თუ 3 წლის ბავშვი 10 წუთის განმავლობაში 4-ჯერ გადაიტანს ყურადღებას სხვა ობიექტზე, 6 წლის ასაკში – მხოლოდ ერთხელ (ეს ბავშვის სკოლისადმი მზაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მახასიათებელია). ბავშვის ყურადღება უფრო მეტად გადახრადია, თუ ის ასრულებს მარტივ, მონოტონურ აქტივობას, ვიდრე მაშინ, თუ ის ხსნის „რთულ“, საინტერესო ამოცანას, რომელიც საჭიროებს სხვადასხვა აქტივობის შესრულებას.

ცხადია, ყურადღების გადაუხრადობას და სიმტკიცეს დიდი მნიშვნელობა აქვს სწავლის პროცესის განხორციელებისათვის. მეორე მხრივ, თვით სწავლის პროცესი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ყურადღების ამ თვისებების განვითარებას.

ბავშვები იწყებენ საკუთარი ყურადღების მართვას, ნებისმიერად შეუძლიათ წარმართონ და შეაჩერონ ყურადღება მხოლოდ თვალსაჩინო, მისთვის საინტერესო რაიმე საგანსა და მოვლენაზე, რომლის მიმართაც ბავშვს უნდება ემოციური დამოკიდებულება. მასწავლებელს შეუძლია დაეხმაროს ბავშვებს ყურადღების ორგანიზებაში რაიმე საქმიანობაში ჩართვით, გარეგანი დამხმარე საშუალებებით, არავერბალური მინიშნებით და ა.შ. როდესაც ბავშვები რაიმე ერთობლივ საქმიანობაში არიან ჩართულნი (მაგალითად, გამოცანების გამოცნობა), მასწავლებელი მითითებას აძლევს ბავშვებს, დაიცვან რიგი, ყუ-

რადღებით მოუსმინონ ამოცანას, შემდეგ უპასუხონ ხელის აწევით და ა.შ.

ნებისმიერი ყურადღების განვითარებისთვის საჭიროა „ახლო“ მოტივაციის გამოყენება, ესაა: მასწავლებლის შექება, შეფასება, დავალების კარგად შესრულება.

რეკომენდაციები:

- 1. გამოიყენეთ სიგნალები.** შეარჩიეთ სიგნალი, რომელიც ეუბნება მოსწავლეს, შეაჩეროს იმის კეთება, რასაც აკეთებს და ყურადღება გაამახვილოს თქვენზე. გამოიყენეთ ვიზუალური და სმენითი სიგნალები, გადაინაცვლეთ ერთი ადგილიდან მეორეზე.
 - თავი აარიდეთ ყურადღების გამფანტავ მოქმედებას (მაგალითად, საუბრის დროს ფანქრის თამაშს).
 - გაცით მოკლე და მკაფიო მითითებები გადაადგილებამდე და არა მის დროს.
 - უმცროს მოსწავლეებთან იყავით მხიარული და ემოციური.
- 2. ეცადეთ, ხმა „მიაწვდინოთ“ მოსწავლეს.**
 - მიუახლოვდით მოსწავლეს.
 - ისაუბრეთ მტკიცედ, მაგრამ არა მუქარის ხმით.
 - მიმართეთ ბავშვს სახელით.
- 3. დარწმუნდით, რომ მოსწავლეებისათვის გასაგებია დავალების ან გაკვეთილის მიზანი.**
 - დაწერეთ დაფაზე გაკვეთილის მიზნები და ამოცანები. განიხილეთ ისინი გაკვეთილის დაწყებამდე.
 - დაუკავშირეთ ახალი მასალა წინა გაკვეთილებს.
- 4. თქვენს ახსნას შესძინეთ მრავალფეროვნება, ცნობისმოყვარეობა, მოულოდნელობა.**
 - დასვით ისეთი კითხვები, როგორცაა: რა მოხდებოდა, რომ?
 - გაკვეთილის დაწყების წინ გამოიყენეთ გასართობი (განმავითარებელი) აქტივობა.
 - გამოიყენეთ მიმიკა, ხმის ტემბრი, ჟესტები; იმოძრავეთ.
- 5. დასვით კითხვები და პასუხისთვის მიეცით მითითებები.**
 - ჰკითხეთ მოსწავლეს, რატომ არის მასალა მნიშვნელოვანი, როგორ აპირებს მის სწავლას, რა სტრატეგიის გამოყენება სწავლისთვის.

- ყურადღება გაამახვილეთ ყველაზე ხშირად დაშვებულ შეცდომებზე. დააწყვილეთ მოსწავლეები, რათა აღმოაჩინონ ერთმანეთის შეცდომები (ხანდახან ძნელია საკუთარ შეცდომებზე ყურადღების გამახვილება).

მეხსიერება

მეხსიერება 5–6 წლის ბავშვის წამყვანი ფსიქიკური პროცესია. ამ ასაკში მეხსიერება ატარებს უნებლიე ხასიათს, რაც განპირობებულია იმით, რომ ბავშვს ჯერჯერობით კარგად არ აქვს განვითარებული დასამახსოვრებელი მასალის გააზრების უნარი, ნაკლებად იყენებს ასოციაციებს, აქვს მცირე გამოცდილება და არ იცის დამახსოვრების ტექნიკები.

თუ რაიმე მოვლენა ბავშვისთვის ემოციურად მნიშვნელოვანი იყო და მასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, ამ შემთხვევაში უნებლიე მეხსიერებას ახასიათებს დიდი სიზუსტე და სტაბილურობა.

ცნობილია, რომ უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვმა შეიძლება ადვილად დაიმახსოვროს „უაზრო“ მასალა; ობიექტურად აზრიანი, მაგრამ მისთვის გაუგებარი სიტყვები, ფრაზები, ლექსები. ამის მიზეზია ამ მასალის ჟღერადობისადმი ბავშვის განსაკუთრებული ემოციური დამოკიდებულება (თუ ის ჩართულია თამაშის აქტივობაში). ამასთანავე, თვითონ გაუგებარმა ინფორმაციამაც შეიძლება გამოიწვიოს ბავშვის ცნობისმოყვარეობა და მიიქციოს ყურადღება.

უმცროს სასკოლო ასაკში მეხსიერების წამყვანი ფორმებია **ემოციური და თვალსაჩინო-ხატოვანი მეხსიერება**. ბავშვები ადვილად და მყარად იმახსოვრებენ თვალშისაცემ, ნათელ, საინტერესო მასალას, რომელმაც მათზე ემოციური ზეგავლენა მოახდინა.

რაც შეეხება თვალსაჩინო-ხატოვან მეხსიერებას, ბავშვები უკეთესად იმახსოვრებენ კონკრეტულ საგნებს, მოვლენებს, სახეებს, ვიდრე განმარტებას, აღწერას, ახსნას. ამიტომ სასწავლო მასალის უკეთ დასამახსოვრებლად გამოყენებული უნდა იქნას დიდი რაოდენობით თვალსაჩინო მასალა. თუმცა დამახსოვრებულმა ხატმა შეიძლება გარკვეული დროის შემდეგ განიცადოს ცვლილებები – დაიკარგოს ან გაზვიადდეს ცალკეული დეტალები.

ე.ი. უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვები ყველაზე კარგად იმახსოვრებენ კონკრეტულ მოვლენებს, რომელთაც თან ახლავს ემოციური კომპონენტი.

როცა ჩვენ ვსაუბრობთ, რომ უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებს აქვთ კარგი თვალსაჩინო-ხატოვანი მეხსიერება (როგორც ვიზუალური, ასევე, აკუსტიკური), უნდა გვახსოვდეს, რომ მეხსიერების ეს ფორმა ძნელად ექვემდებარება ნებისმიერ აღდგენას. ამავე დროს, ეს არ ნიშნავს, რომ ბავშვს ზოგადად აქვს კარგი მეხსიერება. კარგი მეხსიერება ტრადიციულად გულისხმობს სიტყვების, შინაარსის დამახსოვრებას. ხოლო უმცროს მოსწავლეებს, განსაკუთრებით პირველ და მეორე კლასში, სიტყვიერი ინფორმაციის დასწავლისას, აღენიშნებათ მისი მექანიკური დამახსოვრება. ტექსტთან ახლოს შინაარსის აღდგენა ფასდება უფროსების მხრიდან, რომ ბავშვმა კეთილსინდისიერად შეასრულა საშინაო დავალება და იმსახურებს მაღალ შეფასებას. ეს კი უბიძგებს ბავშვს, გადმოსცეს მასალა რაც შეიძლება ტექსტთან ახლოს. თანაც მათ ჯერ არ შეუძლიათ განზოგადება, არ აქვთ მეტყველება ისე განვითარებული, რომ თავიანთი სიტყვებით გადმოსცენ დასწავლილი შინაარსი. ამიტომ ეშინიათ რა შეცდომის დაშვების, ისინი სიტყვა-სიტყვით აღადგენენ ტექსტს.

უმცროს სასკოლო ასაკში პედაგოგმა უნდა იმუშაოს ვერბალური და ლოგიკური დამახსოვრების განვითარებაზე, ანუ სიმბოლური მეხსიერების განვითარებაზე. **ვერბალური მეხსიერება** დაკავშირებულია მეტყველებასთან და საბოლოოდ ფორმირდება 10-13 წლის ასაკში. მისი მახასიათებელია შინაარსის ზუსტი აღდგენა საკუთარი სიტყვებით.

ლოგიკური მეხსიერების მახასიათებელია ტექსტის დედააზრის დამახსოვრება. ამიტომ ლოგიკური მეხსიერება მჭიდროდაა დაკავშირებული აზროვნებასთან. ლოგიკური დამახსოვრების ერთ-ერთი ხერხია მასალის აზრობრივი დაჯგუფება. უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვები ამ ტექნიკას დამოუკიდებლად ვერ იყენებენ (არ შეუძლიათ ტექსტის ანალიზი, ვერ გამოყოფენ მთავარს, არსებითს).

მასწავლებელი უნდა დაეხმაროს ბავშვს მეხსიერების ამ ფორმის განვითარებაში. უნდა მოხდეს მასალის ანალიზი, გამოიყოს ცალკეული ნაწილები (აზრობრივი, რთულად დასამახსოვრებელი). მნიშვნელოვანია დასასწავლი მასალის გაგება, სწავლის მოტივაციის ფორმირება.

თანდათანობით ნებისმიერი მეხსიერება ხდება ის შემეცნებითი ფსიქიკური პროცესი, რომელსაც სწავლა ეყრდნობა.

მასალის დამახსოვრებისთვის 8-10 წლის ბავშვები აქტიურად იყენებენ გამეორების ტექნიკას, რასაც არ აკეთებენ 5-6 წლის ბავშვები. თუ 5-6 წლის ბავშვებს მასალის დამახსოვრებისთვის გამეორების ტექნიკის გამოყენებას ვასწავლით, ისინი მას გამოიყენებენ, რაც მნიშვნელოვნად აუმჯობესებს დამახსოვრებას. თუმცა ახალი მასალის მიწოდებისას ამის შეხსენება აუცილებლად დასჭირდებათ (არ იყენებენ სპონტანურად).

7-8 წლის ბავშვები იყენებენ აგრეთვე დაჯგუფების ტექნიკას. მაგალითად, ვთქვათ, გვჭირდება 6 ციფრის დამახსოვრება - 3,5,4,8,7 და 1. მათი ადვილად დამახსოვრების მიზნით, შეიძლება ისინი 3 ჯგუფად (35-48-71) ან 2 ჯგუფად (354-871) დავანაწილოთ. ინფორმაციის დამახსოვრებაზე გავლენას ახდენს ნაწილების რაოდენობა, და არა მოცულობა. ასევე, შეიძლება დავაჯგუფოთ მსგავსი ობიექტები, მაგალითად, ხილი და ბოსტნეული. 5-6 წლის ბავშვმა შეიძლება სპონტანურად გამოიყენოს ეს ტექნიკა, მაგრამ ბოლომდე ვერ აცნობიერებს (ვერ ხედავს სარგებელს), თუ როგორ შეიძლება მისი გამოყენება. მსგავს მდგომარეობას შეიძლება შევხვდეთ 8-9 წლის ბავშვებთანაც და მოზარდებთანაც.

რეკომენდაციები:

- 1. დაეხმარეთ მოსწავლეებს, განასხვავონ აუცილებელი და მეორეხარისხოვანი დეტალები.**
 - ყურადღება გაამახვილეთ მნიშვნელოვან ინფორმაციაზე.
 - მნიშვნელოვანი აზრის გამოთქმისას, გააკეთეთ მისი პერიფრაზი, გაიმეორეთ.
- 2. დაეხმარეთ მოსწავლეებს, დაუკავშირონ ერთმანეთს ახალი ინფორმაცია და ძველი ცოდნა.** გაახსენეთ ის ინფორმაცია, რომელიც მათ დასჭირდებათ ახალი მასალის გასაგებად. მაგალითად, მითხარით ოთხკუთხედის განსაზღვრება. ახლა მითხარით, რა არის რომბი? კვადრატი ოთხკუთხედი? არის კვადრატი რომბი?
 - გამოიყენეთ თვალსაჩინოება, დიაგრამები, სქემები.
- 3. გამოიყენეთ გამეორება და ახალი ინფორმაციის მიმოხილვა.**

- დაიწყეთ გაკვეთილი საშინაო დავალების მოკლე მიმოხილვით.
 - ჩართეთ გაკვეთილში ვარჯიში, თამაში, სადაც გამეორდება ნასწავლი მასალა.
4. ყურადღება გაამახვილეთ მნიშვნელობაზე, და არა დამახსოვრებაზე.
- ახალი სიტყვების სწავლებისას დაეხმარეთ მოსწავლეებს, ასოციაციურად დაუკავშიროს ახალი სიტყვა უკვე ნასწავლს. მაგალითად, სიტყვა მტრობას იგივე ფუძე აქვს, რაც სიტყვა - მტერს.

აზროვნება

აზროვნება არის შემეცნებითი ფსიქიკური პროცესი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი ხდება მიზეზ-შედეგობრივი კავშირებისა და მიმართების დამყარება, გარე სამყაროს მოვლენებსა და ობიექტებს შორის.

ბავშვის შემეცნებითი აქტივობა და ცნობისმოყვარეობა მიმართულია გარემოს შემეცნებაზე. აზროვნება უშუალოდაა დაკავშირებული მეტყველებასთან. რაც უფრო მაღალია ბავშვის გონებრივი აქტივობა, მით უფრო ბევრ და მრავალფეროვან კითხვას სვამს იგი — ეს რა არის? ვინ არის? რატომ? რისთვის? რისგან? ვის? და ა.შ.

როგორც წესი, კითხვის დასმისას უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვები წარმოიდგენენ რეალურ სიტუაციას. **აზროვნების ფორმას, რომლის დროსაც ამოცანა წყდება აღქმისა და წარმოდგენის საფუძველზე, ეწოდება თვალსაჩინო-ხატოვანი აზროვნება.** აზროვნების სწორედ ეს ფორმაა დამახასიათებელი უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის. ბავშვებს უჭირთ სიტყვიერად გამოთქმული აზრის გაგება, თუ მას არ აქვს თვალსაჩინო დასაყრდენი. რა თქმა უნდა, ამ ასაკის ბავშვს შეუძლია ლოგიკური აზროვნებაც, მაგრამ ბავშვი უფრო მგრძობიარეა ისეთი სწავლებისადმი, რომელიც ეყრდნობა თვალსაჩინოებას.

ნ-8 წლის ბავშვი **დამკვირვებელია.**

მართალია, პირველკლასელი ძალიან დაკვირვებულია, მაგრამ მას არ ესმის ყველაფერი, რასაც ხედავს, ვინაიდან მისი ინტელექტუალური შესაძლებლობები ჯერ კიდევ არ არის სრულყოფილი. უფრო-

სებმა შეიძლება გადააფასონ მისი ინტელექტუალური შესაძლებლობები, იმის გამო, ბავშვი ხშირად ამჩნევს ისეთ დეტალებს, რომელსაც არ აქცევენ ყურადღებას მოზრდილები. პირველკლასელი ამროვნებს „აქ“ და „ახლა“ კატეგორიებით. უჭირს დროის, სივრცის და რიცხვის გაგება. მას შეუძლია აითვისოს ახალი მასალა, თუკი იგი დაკავშირებული იქნება მისთვის ნაცნობ ინფორმაციასთან. ამიტომ პედაგოგმა უნდა კარგად იცოდეს, თუ რა იცის ბავშვმა და დააკავშიროს ახალი ცოდნა – ძველთან.

9-11 წლის ბავშვი მკვლევარია.

ამ ასაკის ბავშვიც ასევე კარგი დამკვირვებელია, მაგრამ უფრო ყურადღებით აკვირდება და ლოგიკურად ამროვნებს. სვამს ბევრ კითხვას და შეუძლია თვითონ იპოვოს მათო პასუხი. უყვარს კოლექციების შეგროვება. აგროვებს ყველაფერს, მისთვის მნიშვნელოვანია რაოდენობა, და არა ხარისხი. 11 წლამდე ის არ აკეთებს თავისი კოლექციის კლასიფიკაციას (თუ, რა თქმა უნდა, ამაში უფროსი არ დაეხმარა). პედაგოგმა ბავშვის ეს თვისება შეიძლება საგანმანათლებლო მიზნით გამოიყენოს. ბავშვი ხდება უფრო დაკვირვებული, ხოლო კოლექციის განხილვისას ან გაცვლისას კი უმჯობესდება პიროვნებათშორისი ურთიერთობები.

ბავშვს უყვარს იმის გამოკვლევა, რაც მისთვის უცნობია. ამ ასაკში მას უკვე ესმის მიზეზ-შედეგობრივი დამოკიდებულება, აქვს დროის (ქრონოლოგიური და ისტორიული განცდა), სივრცის, ადგილმდებარეობის, მანძილის კარგი აღქმა. ის მსჯელობს იმის შესახებ, რაც ესმის და ხედავს.

რა არის დამახასიათებელი უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვის ამროვნებისთვის?

უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებს უჩნდებათ ლოგიკური ამროვნების ნიშნები, რომელიც ჯერ კიდევ მხოლოდ კონკრეტულია. ბავშვის მსჯელობა, როგორც წესი, ემყარება კონკრეტულ მაგალითებსა და პირად გამოცდილებას. ამიტომ, ახსნისას, უპირატესობა უნდა მივანიჭოთ კონკრეტული მაგალითების გამოყენებას.

ბავშვები ამ ასაკში იშვიათად იყენებენ კავშირს: მსჯელობა-დასკვნა. მთავარ როლს ბავშვის შემეცნებაში ასრულებს მეხსიერება, ამი-

ტომ ბავშვები ხშირად მიმართავენ ანალოგიით მსჯელობას. მათთვის დასაბუთებას წარმოადგენს ანალოგიური მაგალითი. ამიტომ მასწავლებელმა მასალის ახსნისას უნდა მოიყვანოს კონკრეტული მაგალითები.

6-7 წლის ბავშვისთვის ჯერ კიდევ დამახასიათებელია ეგოცენტრიზმი, ბავშვს არ შეუძლია შეხედოს საკუთარ თავს სხვისი პოზიციიდან. მას ცუდად ესმის სიტუაცია, სადაც საჭიროა საკუთარ ხედვაზე უარის თქმა და სხვის პოზიციაზე დადგომა. ისეთი სახის მსჯელობა, როგორიცაა – „შენ რომ იყო მის ადგილზე?“ ან „შენ მოგეწონებოდა, ასე რომ მოგექცნენ?“ უშედეგოა, ვინაიდან არ იწვევს ბავშვში თანაგანცდის რეაქციას.

ეგოცენტრიზმი არ აძლევს ბავშვს საშუალებას, გაიგოს სხვისი გამოცდილება, რომელიც გამოთქმულია მხოლოდ ვერბალურად (თანაც ემოციის გარეშე).

ეგოცენტრიზმის დაძლევაში დიდ როლს თამაშობს ზღაპარი. შეგიძლია მაგალითად მოვიყვანოთ ნორვეგიული ზღაპარი:

„პატარა წიწილა სეირნობდა, მოსწყინდა მარტოს და გადაწყვიტა, ეპოვა ამხანაგი, რომელიც მასთან ერთად ითამაშებდა. პირველი, ვისაც შეხვდა, იყო ჭიაყელა. წიწილას თხოვნაზე – ვითამაშოთო, მან უპასუხა: როგორ შემოიძლია შენთან თამაში, შენ ხომ ძალიან დიდი ხარ. წიწილამ გზა განაგრძო და შეხვდა ხბოს. წიწილას თხოვნაზე – ვითამაშოთო, ხბომ უპასუხა: როგორ ვითამაშო შენთან, როცა შენ ასეთი პატარა ხარ. როგორი ვარ მე სინამდვილეში? – ჰკითხა საკუთარ თავს დაბნეულმა წიწილამ და ფიქრის შემდეგ მიხვდა, რომ ჭიაყელასთან შედარებით დიდია, ხოლო ხბოსთან შედარებით კი – პატარა.“

ასევე, ეგოცენტრიზმის დაძლევას ხელს უწყობს როლური თამაშები და ურთიერთობა თანატოლებთან, სადაც მან თანაფარდობაში უნდა მოიყვანოს საკუთარი და სხვისი პოზიცია.

უმცროსი სასკოლო ასაკისათვის დამახასიათებელია ისეთი კონკრეტული სქემების განვითარება, როგორიცაა – შექცევადობა, მიმატება, გამოკლება, გამრავლება, გაყოფა, სერიაცია. ეს კონკრეტული სქემები წარმოადგენს ლოგიკური ამროვნების განვითარების საფუძველს.

ბავშვს ესმის, რომ მიმატება ზრდის რაოდენობას, ხოლო გამოკლება კი – ამცირებს.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაპოვარია **შექცევადობის ოპერაცია, გაგება იმისა, რომ ყველა ფიზიკური თუ გონებრივი მოქმედება შეიძლება იყოს შექცევადი (ობიექტი შეიძლება დაუბრუნდეს პირვანდელ მდგომარეობას)**. მაგალითად, ძაღლები და კატები შეიძლება ერთად განვიხილოთ, როგორც „საყვარელი ცხოველების“ კატეგორია, ხოლო „საყვარელი ცხოველების“ კატეგორიაში შედის ძაღლები და კატები; ან თუ A მეტია B-ზე, მაშინ B ნაკლებია A-ზე.

შექცევადობა საშუალებას გვაძლევს, წარმოვიდგინოთ საგანი ისეთად, როგორც ის იყო მანამდე, სანამ მასზე განახორციელებდნენ რაიმე მოქმედებას. მაგალითად, როცა ჩვენ ვხედავთ სველ „ღრუბელს“, ვხვდებით, რომ ის წყალში დაასველეს, ხოლო წყლიდან ამოღების შემდეგ ის გაშრება.

უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვს შეუძლია ობიექტების იერარქიული კლასიფიკაცია და ესმის, რომ ობიექტი შეიძლება ეკუთვნოდეს იერარქიული კლასიფიკაციის სხვადასხვა დონეს. ეს აძლევს ბავშვს საშუალებას, გაიგოს მიმართება ნაწილისა მთელთან, მთელის ნაწილებთან და მთელის ნაწილებს შორის. მაგალითად, ბავშვს ვაჩვენებთ წითელი და ლურჯი კვადრატების, შავი და თეთრი წრეების ნაკრებს. თუ მას ესმის კლასისადმი მიკუთვნების მიმართება, მაშინ ის იტყვის, ნაკრებში არის 2 ძირითადი კლასი (კვადრატები და წრეები), თითოეულ მათგანს აქვს 2 ქვეკლასი (კვადრატი არის წითელი და ლურჯი, წრეები კი – შავი და თეთრი). ფიგურებს შორის არის იერარქია – ზედა დონე (ფორმა) და ქვედა (ფერი). ეს აძლევს ბავშვს საშუალებას, გააკეთოს დასკვნა, რომ კვადრატი შეიძლება იყოს ან წითელი, ან ლურჯი. ლურჯი კვადრატები ნაკლებია, ვიდრე კვადრატების საერთო რაოდენობა. კვადრატების საერთო რაოდენობა მეტია, ვიდრე წითელი კვადრატები. თუ ავალაგებთ წითელ კვადრატებს, დარჩება მხოლოდ ლურჯი კვადრატები და ა.შ.

ბავშვებს ესმით, რომ სხვადასხვა ობიექტი შეიძლება გავაერთიანოთ – ზომის, ფერის ან ასაკის მიხედვით და ყოველი ობიექტი შეიძლება ერთდროულად მიეკუთვნებოდეს რამდენიმე კლასს. მაგალითად, ბავშვი შეიძლება იყოს ერთდროულად – ბიჭი, მეორეკლასელი, სპორტსმენი და შავგვრემანი.

ოპერირებს რა რიცხვებით, ბავშვი ხვდება, რომ რიცხვების სხვადასხვა კომბინაციამ შეიძლება არ გამოიწვიოს რაოდენობის შეცვლა. მაგალითად, გიორგის აქვს 20 თეთრი. ნინომ გამოართვა 10 თეთრი, ხოლო კოტემ მისცა 10 თეთრი. ე.ი. გიორგის აქვს ისევ 20 თეთრი.

უმცროსი ასაკის ბავშვი ეუფლება სერიაციის ოპერაციას. **სერიაცია არის უნარი, დააწყო ობიექტები მათი ზრდის ან კლების მიხედვით.** მაგალითად, ფორთოხალი უფრო ძვირი ღირს, ვიდრე ვაშლი. ვაშლი უფრო ძვირი ღირს, ვიდრე მანდარინი. ე. ი. ფორთოხალი უფრო ძვირი ღირს, ვიდრე მანდარინი. ამ ამოცანის გადასაწყვეტად კი საჭიროა სერიაციის განხორციელება (ბავშვმა გონებაში უნდა დააწყოს ობიექტები პატარიდან დიდისკენ ან პირიქით).

უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვის ამროვნების პროცესი შედგება კონკრეტული ელემენტებისაგან (ობიექტი, მიმართება, ზომა), კონკრეტული ოპერაციებისგან (მომატება, გამოკლება) და წესებისაგან, რომელიც აღწერს ამ ოპერაციების შესრულების ხერხებს.

აღნიშნული პერიოდის ძირითადი კოგნიტური ამოცანაა კლასების, მიმართებებისა და რაოდენობის ცნების დაუფლება. ბავშვს შეუძლია, ერთდროულად მხოლოდ 2 კლასით, მიმართებით ან რიცხვითი მაჩვენებლით ოპერირება.

უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვმა, პრობლემის გადაჭრისას, შეიძლება ერთდროულად გამოიყენოს ამროვნების სხვადასხვა სტრატეგია, როგორც მარტივი, ასევე, ძალიან რთული. მაგალითად, თუ 6-7 წლის მოსწავლეებს გადასაწყვეტად მარტივ ამოცანას მივცემთ — $9+4=?$ მათ შეუძლიათ, ამოცანის ამოხსნა რამდენიმე მეთოდის გამოყენებით — შეიძლება ამოცანა გადაჭრან მეხსიერების გამოყენებით (მიმატების ოპერაციის განხორციელების გარეშე); შეიძლება დაიწყონ თვლა (1,2,3,4..., ჯამის მიღებამდე); შეიძლება აიღონ დიდი რიცხვი და მიუმატონ პატარა რიცხვი თვლით (9, 10, 11, 12, 13); შეიძლება დაეყონ ამოცანა ნაწილებად ($9+4=?$ $10+4=14$. ვინაიდან 9 ნაკლებია 10-ზე ერთი ერთეულით, ამიტომ $14-1=13$). ასაკის მატებასთან ერთად, ბავშვები სულ უფრო ხშირად იყენებენ ამროვნების რთულ სტრატეგიებს. თუმცა რთული სტრატეგიების გამოყენება ბავშვს შეუძლია იმ ამოცანების მიმართ, რომელზე მუშაობის გამოცდილებაც აქვს, ხოლო ახალი, უცნობი პრობლემის გადაწყვეტისას, დიდი ალბათობით, გამოიყენებს მარტივ სტრატეგიას.

ბავშვს შეუძლია ინდუქციური ლოგიკის გამოყენება (კერძოდან

ზოგადი დასკვნის გაკეთება), შეუძლია გადავიდეს საკუთარი გამოცდილებიდან ზოგად პრინციპზე. მაგალითად, თუ მისი თოჯინების კოლექციას დაემატება ახალი თოჯინა, მაშინ მისი თოჯინების საერთო რაოდენობა გაიზრდება ერთით. ე.ი. მიმატება ყოველთვის გამოიწვევს რაოდენობის გაზრდას.

თუმცა ბავშვი ჯერ არ არის დაუფლებული დედუქციურ ლოგიკას. მაგალითად, კითხვაზე – რა მოხდება, თუ გოგონა ფიზიკურად ისევე ძლიერი იქნება, როგორც ბიჭი? პასუხი მოითხოვს დედუქციურ (ზოგადიდან კერძო დასკვნის გაკეთება) ლოგიკას. დედუქციური ლოგიკა რთულია იმიტომ, რომ თქვენ უნდა წარმოიდგინოთ ის, რაც პირადად არ განვიცდიათ. უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვს კი შეუძლია ამროვნება იმ ობიექტებსა და მოვლენებზე, რომელსაც იცნობს, ხედავს ან მანიპულირებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ამროვნების ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მახასიათებელი არ აღმოცენდება ერთდროულად („ერთ მშვენიერ დღეს“). ბავშვს სჭირდება რამდენიმე წელიწადი, რათა მან შეძლოს ამროვნების აღნიშნული მახასიათებლების გამოყენება პრობლემის გადასაწყვეტად.

ცნებითი-ლოგიკური ამროვნების განვითარებისათვის საჭიროა ობიექტებს შორის მიმართების გაგება. ამისთვის კი საუკეთესო საშუალებაა ობიექტის შეცვლა და შედეგზე დაკვირვება. ეს კი შეიძლება განხორციელდეს თამაშის, შრომის და ექსპერიმენტის პროცესში.

უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვისთვის ხელმისაწვდომი ექსპერიმენტია პრაქტიკული აქტივობა, თამაში. ის საშუალებას აძლევს ბავშვს, დაინახოს მიმართება, მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ობიექტებს შორის, რაც იწვევს გამოცდილების გაფართოებას.

უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშვს არ შეუძლია კარგად გაიგოს თეორიული ცოდნა, რომელიც მას ეძლევა გამზადებული სახით. გაგება შესაძლებელია მხოლოდ ობიექტებზე გარკვეული აქტივობის განხორციელების შედეგად – ტრანსფორმაცია, გადაადგილება, დაკავშირება, კომბინაცია.

მასწავლებელმა ბავშვებში უნდა განავითაროს ცნებითი და ლოგიკური ამროვნება, მსჯელობა, დასკვნის გაკეთების უნარი.

თუკი პირველ და მეორეკლასელისთვის არგუმენტია კონკრეტული ფაქტი ან ანალოგია, მესამეკლასელს სწავლის შედეგად უკვე შეუძ-

ლია მოიყვანოს დასაბუთებული არგუმენტაცია და გააკეთოს მარტივი დედუქციური დასკვნა.

უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვის აზროვნების განვითარება მიმდინარეობს კონკრეტულიდან აბსტრაქტულისკენ.

რჩევები პედაგოგებს:

- დაუსვით მოსწავლეებს შეკითხვები ახალი სასწავლო მასალის შესახებ, რათა მათ გაიაზრონ ახალი ცნებები და პრინციპები. შეეცადეთ, პირდაპირ არ გასცეთ პასუხი მოსწავლეთა კითხვებს. დაეხმარეთ მათ, თვითონ მოიფიქრონ პასუხები.
- მიეცით მოსწავლეებს ისეთი დავალებები, რომლებიც მოქმედებების საწინააღმდეგო მიმართულებით შესრულებას მოითხოვს (მიმატება, გამოკლება, გაყოფა, სერიაცია). ამ დავალებებისთვის თავდაპირველად კონკრეტული საგნები გამოიყენეთ და შემდეგ კი გააცანით მათემატიკური სიმბოლოები.
- მიეცით მოსწავლეებს დავალებები, რომლებიც რაოდენობის, წონის, მოცულობის პრინციპების ცოდნას მოითხოვს.
- წახალისეთ ბავშვები, რომ ჯგუფში იმუშაონ და ერთმანეთს თავიანთი მოსაზრებები გაუზიარონ.
- ახალი მასალის ახსნისას გამოიყენეთ ვიზუალური საშუალებები – ნახატები, სქემები, გრაფიკები, საგნები.
- განავითარეთ ლოგიკური აზროვნება – გამოიყენეთ თავსატეხები, გამოცანები. განიხილეთ თავისუფალი თემები. მაგალითად, რა მოვიმოქმედოთ უპატრონო ცხოველების მიმართ?

მეტყველება

ბავშვის მეტყველების განვითარება მჭიდროდ უკავშირდება აზროვნების განვითარებას. ბავშვი მარტივი წინადადებებიდან გადადის რთული თანწყობილი და ქვეწყობილი წინადადებების გამოყენებაზე. წინადადებების ფორმულირებისას, ბავშვი იყენებს კავშირებს – იმიტომ რომ, თუ, იმისთვის და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ ზეპირი მეტყველების განვითარება უმც-

როს სასკოლო ასაკში ძალიან თვალშისაცემია, უფრო მნიშვნელოვანია ბავშვების მიერ კითხვისა და წერის დაუფლება.

წერა და კითხვა სიმბოლური კომუნიკაციის ფორმებია, რომელიც საჭიროებს – ალქმის, ყურადღების, მეხსიერების და აზროვნების განვითარების გარკვეულ დონეს.

წიგნიერების განვითარებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს სოციალური და კულტურული ფაქტორები. ლ. ვიგოტსკის თანახმად, ბავშვები სწავლობენ წერას და კითხვას მშობლებთან, და-ძმასთან, მასწავლებელთან, თანატოლთან ურთიერთობის საფუძველზე.

ამიტომ აუცილებელია, რომ მასწავლებელმა დასვას შეკითხვები წაკითხული შინაარსის გარშემო, ისაუბროს ბავშვებთან წაკითხულის შესახებ და გაარკვიოს, რა გაიგეს და ვერ გაიგეს წაკითხული მასალიდან. ასეთი ინტენსიური კომუნიკაცია მეტად მნიშვნელოვანია წიგნიერების განვითარებისთვის, ვინაიდან აქ მყარდება კავშირი იმას შორის, რაც ბავშვმა უკვე იცის და რასაც იმ მომენტში წერს ან კითხულობს.

5-6 წლის ბავშვის მეტყველების სემანტიკური მხარე შედარებით ღარიბია. სიტყვების მნიშვნელობას აკლია სიზუსტე – ხან ძალიან შევიწროებულია, ხან ზედმეტად ფართე. გახსოვდეთ, რომ ბავშვებს სიტყვები ესმით პირდაპირი მნიშვნელობით.

ასევე, ბავშვებს უჭირთ მეტყველების, როგორც საგნის, ანალიზი. ბავშვი, რომელიც პრაქტიკულად დაუფლებულია მეტყველებას, განიცდის სირთულეს სიტყვაში ბგერითი კომპონენტების გამოყოფაში. ამავე დროს, უჭირს მსგავსი ჟღერადობის სიტყვებისა და სიტყვათა შეთანხმების აზრის გაგება. მაგალითად, მასწავლებლის შვილი და შვილის მასწავლებელი.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვი ამჩნევს საგნის „მკვეთრ“, თვალშისაცემ მახასიათებლებს. კითხვის სწავლების დაწყებით ეტაპზე, წიგნში მოცემულმა ილუსტრაციამ შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს კითხვის ჩვევის ფორმირების პროცესზე, ვინაიდან ის უბიძგებს ბავშვს გარკვეული ვარაუდისკენ, სიტყვის მიხვედრისკენ (მაგალითად, წერია – „ჩიტი“. ბავშვი კითხულობს – „ბარტყი“). ხოლო კითხვის ელემენტარული ჩვევის დაუფლების შემდეგ კი ილუსტრაციები დადებით როლს ასრულებენ, იწვევენ კითხვის ინტერესს.

უმცროსი სასკოლო ასაკისათვის დამახასიათებელია შინაგანი მეტყველების განვითარებაც. **შინაგანი მეტყველება არის მეტყველების სახე, რომელიც უზრუნველყოფს აზროვნების პროცესს და ქცევის თვითრეგულაციას.**

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მეტყველების განვითარება მჭიდროდ უკავშირდება აზროვნების განვითარებას. ეს კავშირი განსაკუთრებით გამოვლინდება შინაგანი მეტყველების ფორმირების პროცესში. შინაგანი მეტყველება ასრულებს ქცევის დაგეგმვის ფუნქციას, რომელიც ხორციელდება შინაგან პლანში (გონებაში).

მეტყველების დაუფლების მექანიზმების მობილობა საშუალებას აძლევს უმცროსკლასელებს, ადვილად დაეუფლონ უცხო ენას. უცხო ენის შესწავლამ შეიძლება ხელი შეუწყოს, როგორც ბავშვის მშობლიური ენის, ასევე, ინტელექტუალურ განვითარებას. ყოველი ენისთვის ბავშვის ფსიქიკაში წარმოიქმნება ე.წ. გამოყენების სფერო, გარკვეული სახის განწყობა, ამის საფუძველზე კი არ მოხდება ენების ინტერფერენცია. მაგრამ თუკი ბავშვის ბილინგვიზმი (2 ენაზე მეტყველება) ვითარდება არა მიზანმიმართულად, არამედ სტიქიურად, ამან შეიძლება გამოიწვიოს ნეგატიური შედეგი.

ფანტაზია

უმცროსი სასკოლო ასაკში ფანტაზიაც, როგორც სხვა ფსიქიკური პროცესები, განიცდის ცვლილებებს. უმცროსი სკოლამდელისთვის თავიდან დამახასიათებელია ფანტაზიის პასიური ფორმა (წაკითხულის ან მოსმენილის საფუძველზე წარმოდგენის შექმნა), ხოლო შემდეგ ვითარდება ფანტაზიის აქტიური ფორმა (ქმნის ახალ წარმოდგენას).

ინფორმაციის დიდი ნაწილი უმცროსი სასკოლო ასაკში ბავშვს ეძლევა სიტყვიერი აღწერის, ნახატის ან სქემის სახით. ამის საფუძველზე მან უნდა შექმნას – მოთხრობის გმირის, წარსული მოვლენის, ლანდშაფტის და ა.შ. წარმოდგენა, ხატი.

ფანტაზიის განვითარება გაივლის 2 სტადიას. თავდაპირველად ბავშვის მიერ შექმნილი წარმოდგენა, ხატი, მიახლოებით ასახავს რეალურ ობიექტს. მას აკლია დეტალები. შექმნილი წარმოდგენა სტატი-

კურია, არ არის მოცემული ობიექტების ცვლილება და ურთიერთკავშირი. ასეთი ხატის შექმნა მოითხოვს დეტალურ სიტყვიერ აღწერას ან ნახატის, კონკრეტული ობიექტის ჩვენებას.

მეორე და მესამე კლასის ბავშვები გადადიან ფანტაზიის განვითარების მეორე სტადიაზე. ბავშვის მიერ შექმნილ წარმოდგენაში, პირველ რიგში, იზრდება ობიექტის თვისებებისა და ნიშნების რაოდენობა, აისახება ობიექტებს შორის ურთიერთკავშირი.

პირველი კლასის მოსწავლემაც შეიძლება წარმოდგინოს მოძრავი ობიექტი, მაგრამ მის წარმოდგენაში აისახება ობიექტის მხოლოდ საწყისი და ბოლო მდგომარეობა.

მესამეკლასელებს კი უკვე შეუძლიათ წარმოდგინონ ობიექტის გარდამავალი მდგომარეობაც. ამავე დროს, წარმოდგენილი ობიექტი შეიძლება როგორც ზუსტად იყოს აღწერილი ტექსტში, ასევე - ნაგულისხმები. ბავშვი შეიძლება დაეყრდნოს მეხსიერებას ან ზოგად სქემას. მაგალითად, მოსმენილი მოთხრობის მიხედვით, ბავშვმა შეიძლება დაწეროს თხზულება რამდენიმე დღით ადრე, ან ამოხსნას მათემატიკური ამოცანა, რომლის პირობები მოცემულია აბსტრაქტული, გრაფიკული სქემის სახით.

ფანტაზია ასრულებს 2 ფუნქციას: შემეცნებით-ინტელექტუალურს და დაცვითს.

შემეცნებით-ინტელექტუალური ფუნქცია დაკავშირებულია გარემოზე ახალი ინფორმაციის მიღებასა და პრაქტიკული ჩვევების ფორმირებასთან.

ფანტაზიის დაცვითი ფუნქცია გამოიხატება იმაში, რომ წარმოსახულ სიტუაციაში შეიძლება მოიხსნას დაძაბულობა და გადაწყდეს კონფლიქტური სიტუაცია, რომელიც ბავშვს ჯერ არ შეუძლია გადაწყვიტოს რეალურ ცხოვრებაში. უნდა აღინიშნოს, რომ ფანტაზია ამ ასაკში აღწევს ისეთ მაღალ დონეს, რომ ბავშვმა შეიძლება „იცხოვროს“ მის მიერ გამოგონილ სამყაროში, ჰყავდეს წარმოსახული მეგობარი.

ფანტაზიის განვითარების მაღალი დონე, როგორც წესი, დამახასიათებელია კარგად განვითარებული ბავშვებისათვის. მეორე მხრივ, ის შეიძლება მიუთითებდეს ბავშვის სურვილებისა და მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობაზე. ამიტომ სასურველია, ყურადღება მივაქციოთ ბავშვის ფანტაზიების შინაარსს.

ყურადღება უნდა მივაქციოთ ფანტაზიის კიდევ ერთ თვისებას, რო-

მელსაც უფროსები ხშირად აღიქვამენ, როგორც ტყუილს. 7-8 წლის ბავშვები, რაიმე ამბის მოყოლისას, უნებურად ამბებენ მოგონილ დეტალებს, ან იმავეს აკეთებენ, როცა უნდათ, მიიქციონ უფროსებისა და თანატოლების ყურადღება. რა თქმა უნდა, ფანტაზიის ასეთი სახით გამოვლენისას ბავშვს უნდა მივუთითოთ, რომ ეს მისი გამოგონილია, მაგრამ ეს უნდა გავაკეთოთ რბილად და ტაქტიანად.

ფსიქო-სოციალური განვითარება

უმცროს სასკოლო ასაკში ვითარდება არა მხოლოდ შემეცნებითი ფსიქიკური პროცესები, არამედ იქმნება ახალი პირობები ბავშვის პიროვნული ზრდისთვის. ბავშვის პიროვნულ ზრდაზე გავლენას ახდენს სასწავლო და თამაშის სიტუაცია, შრომითი აქტივობა და ურთიერთობები.

6-8 წლის ბავშვი სოციალურად **მეგობრულია**. ბავშვებს უყვართ ჯგუფურ აქტივობებში და თამაშებში მონაწილეობა. ეს ავითარებს არა მხოლოდ თანამშრომლობის გრძნობას, არამედ ბავშვი უფრო თვითდაჯერებული ხდება, ვინაიდან მისი ცალკეული წარუმატებლობები ზოგად ფონზე ნაკლებად შესამჩნევია. მას უყვარს და ყოველთვის უნდა გამარჯვება, ამისთვის შეიძლება მოიტყუოს კიდეც.

9-11 წლის ბავშვი სოციალურად **შემგუებელია**. ის უშუალოა, კმაყოფილია ცხოვრებით, ჩვეულებრივ, მხიარულ ხასიათზეა. ცხოვრობს აწმყოში, არ ფიქრობს მომავალზე. ამ ასაკში ბავშვი ხდება თავისივე სქესის ჯგუფის წევრი. გოგონებსა და ბიჭებს გარკვეული ანტაგონიზმი ახასიათებთ ერთმანეთის მიმართ. გოგონებისთვის ბიჭები ზედმეტად ხმაურიანები არიან, ხოლო ბიჭებისთვის გოგონები - „სულელები“.

მე-კონცეფცია და თვითშეფასება

მნიშვნელოვანი ცვლილება ბავშვის პიროვნული განვითარების თვალსაზრისით, არის მე-კონცეფციისა და თვითშეფასების განვითარება.

მე-კონცეფცია არის ზოგადი წარმოდგენა საკუთარ თავზე.

თვითშეფასება არის თვითშემეცნების კომპონენტი, რომელიც მოიცავს საკუთარი ფიზიკური, პიროვნული, ინტელექტუალური მახასიათებლების, მორალური თვისებებისა და ქცევის შეფასებას.

უმცროს სასკოლო ასაკში დადებითი თვითშეფასების ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს, როგორც ბავშვის წარმატებები სკოლაში, ასევე, დადებითი დამოკიდებულება უფროსების მხრიდან.

პირველკლასელთა უმრავლესობისათვის, ძირითადად, დამახასიათებელია მაღალი თვითშეფასება. ბავშვები თვლიან, რომ არიან „კარგები“, „ჭკვიანები“. დადებითად აფასებენ თავიანთ სასკოლო წარმატებებს.

მეორე კლასში ბავშვების უმრავლესობას თვითშეფასება მკვეთრად უქვეითდებათ. ამას უწოდებენ „მეორე კლასის ფენომენს“. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ მეორეკლასელები კრიტიკულები ხდებიან თავიანთი თავის მიმართ. ისინი ორიენტირებულნი ხდებიან სასწავლო საქმიანობის ხარისხზე, ხოლო საკუთარი სასწავლო საქმიანობის შეფასების კრიტერიუმები ჯერ კარგად არ აქვთ განვითარებული. აქედან ჩნდება საკუთარ თავში დაურწმუნებლობა, რაც იწვევს თვითშეფასების დაქვეითებას.

მოგვიანებით, მესამე კლასში, თვითშეფასება ისევ აიწვეს. ამიტომ აუცილებელია, ბავშვებს ვასწავლოთ, რომ მნიშვნელოვანია არა შეფასება, არამედ ცოდნა, უნარები, შრომისმოყვარეობა, პასუხისმგებლობა.

მესამე კლასი გარდამტეხია ბავშვის სასწავლო საქმიანობაში, ვინაიდან, სწორედ ამ ასაკში ვლინდება ბავშვის აქტიური ინტერესი შემეცნებისადმი. ეს დაკავშირებულია იმ ცვლილებებთან, რასაც თავს იჩენს მის ინტელექტუალურ განვითარებაში. ინტენსიურად იწყებს განვითარებას ცნებითი, ვერბალური აზროვნება. აზროვნების ახალი შესაძლებლობები კი ბიძგს აძლევს სხვა ფსიქიკური პროცესების განვითარებას: აღქმა, ყურადღება, მეხსიერება. ბავშვი სწავლობს საკუთარი ფსიქიკური პროცესების მართვას.

უფროსებმა არ უნდა შეაფასონ ბავშვის პიროვნება ნეგატიურად, რადგან ეს შემდგომში მნიშვნელოვნად აისახება მის თვითშეფასებაზე. **ბავშვს უნდა მიეთითოს კონკრეტულ ქცევაზე, რომელიც მიუღებელია და არ უნდა შევეხოთ ბავშვის პიროვნებას.** უნდა ვუთხრათ, რომ სწორი არაა მისი ქცევა და არ ვუწოდოთ „ცუდი ბიჭი (გოგო)“.

იმის მიხედვით, თუ როგორი თვითშეფასება აქვს ბავშვს (ადეკვატური, დაბალი, მაღალი), მან შეიძლება წაახალისოს ან, პირიქით, დათრგუნოს ბავშვის აქტივობა.

ბავშვის თვითშეფასება გავლენას ახდენს სკოლაში წარმატებულ სწავლაზე და, პირიქით, სწავლაში წარმატებები, თავის მხრივ, გავლენას ახდენს ბავშვის თვითშეფასებაზე. აუცილებელია არაადეკვატური თვითშეფასების შეცვლა, რაც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მასწავლებელზე. ბავშვობაში ჩამოყალიბებული თვითშეფასება ძალიან მდგრადია, ის შეიძლება მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვეს ადამიანს. სწავლების პროცესში მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს ბავშვის ინდივიდუალური და ასაკობრივი თავისებურებები და ხელი შეუწყოს ადეკვატური თვითშეფასების ფორმირებას.

სასწავლო აქტივობის შეფასებისას, მასწავლებლის შეფასება უნდა იყოს კონკრეტული, ნათელი და უნდა ეხებოდეს აწმყო დროში განხორციელებულ აქტივობას. მაგალითად, არ შეიძლება ასეთი შეფასება – „შენ გუშინაც ცუდად დაწერე“. აგრეთვე, გაურკვეველი, ზოგადი შეფასება („ცუდად დაწერე“, „მოუსვენარი ხარ“) უფრო ნეგატიურ გავლენას ახდენს ბავშვზე, ვიდრე დამსახურებული (სადაც კონკრეტული აქტივობაა მითითებული) ნეგატიური შეფასება.

ძალიან მნიშვნელოვანია ადეკვატური თვითშეფასების ჩამოყალიბება, ვინაიდან თვითშეფასება გავლენას ახდენს ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯამრთელობაზე, სწავლაზე, სოციალურ ურთიერთობებზე.

თვითშეფასება არის ბავშვის პიროვნების ცენტრალური წარმონაქმნი, რომელიც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის სოციალურ ადაპტაციას. ამ ასაკის ბავშვი საჭიროებს განსაკუთრებულ კეთილგანწყობას და მხარდაჭერას უფროსების მხრიდან, რათა ეტვი არ შეეპაროს საკუთარ ძალებსა და შესაძლებლობებში.

რეკომენდაციები ადეკვატური თვითშეფასების ფორმირებისთვის:

1. ბავშვს უნდა მიეცეს მისი შესაძლებლობების შესაფერისი დავალება.
2. დაარწმუნეთ ბავშვი, რომ მას აქვს რეალური მიზნების მიღწევის შესაძლებლობები.
 - თავდაპირველად მცირე მოცულობის დავალებებით დაიწყეთ, ხოლო შემდეგ უფრო ვრცელ დავალებებზე გადადით.
 - ასწავლეთ ბავშვს რეალური მიზნების დასახვა და მათი მიღწევის გზები.

3. დაეხმარეთ ბავშვს, რომ დარწმუნდეს საკუთარ შესაძლებლობებში.
 - შეინახეთ ადრინდელი ნამუშევრები, რათა ბავშვმა პროგრესი თავადვე დაინახოს.
 - დააჯილდოვეთ შრომისმოყვარე მოსწავლეები.
4. შეაქეთ მაშინ, როცა ის ამას იმსახურებს
5. ხელი შეუწყვეთ ბავშვის მხრიდან ინიციატივის გამოვლენას.
6. არ შეადაროთ ბავშვი სხვა ბავშვებს, შეადარეთ მხოლოდ მის თავს (რა შეეძლო გუშინ და რას შეძლებს ხვალ).

ბავშვის პიროვნების ჩამოყალიბებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს **დამოუკიდებლობის განვითარებას**. არსებობს სხვადასხვა ხერხი ბავშვის დამოუკიდებლობის განვითარებისათვის. მაგალითად:

- ბავშვს უნდა დავავალოთ კონკრეტული საქმე, რომელსაც ის დამოუკიდებლად შეასრულებს.
 - დაავალებთ საკლასო ოთახის მოწესრიგება, მცენარეების მორწყვა, სასწავლო მასალის შეგროვება და ა.შ.
 - აბატიეთ აღიარებული შეცდომები.
- შესრულებული საქმე დადებითად უნდა შეფასდეს.
- უნდა მივცეთ ინიციატივის გამოვლენის საშუალება კონკრეტული საქმიანობის არჩევაში.
- წავახალისოთ, რომ საშინაო დავალება დამოუკიდებლად შეასრულოს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ზედმეტმა დამოუკიდებლობამ შეიძლება ბავშვის თავნებობა გამოიწვიოს.

ბავშვის პიროვნების ჩამოყალიბებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს საკუთარი თავის რწმენის განვითარებას. რაც უფრო დაბალია ბავშვში საკუთარი ძალების რწმენა, მით მეტი უნდა იმუშაოს პედაგოგმა.

ბავშვის პიროვნების ჩამოყალიბებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ურთიერთობას. თუკი ადრე ბავშვის ურთიერთობა დაკავშირებული იყო თამაშის სიტუაციასთან, უმცროს სასკოლო ასაკში თავად ურთიერთობა ხდება ინტერესისა და ცნობისმოყვარეობის საგანი.

ის სიამოვნებით ურთიერთობს თანატოლებთან, მასწავლებელთან, ფსიქოლოგთან, უფროსკლასელებთან.

ამ პერიოდში ყალიბდება ბავშვის **სოციალური პრესტიჟი**. ამიტომ პედაგოგმა საჯაროდ უნდა აღნიშნოს ბავშვის მიღწევები, სხვა უფროსებისა და თანატოლების თანდასწრებით. უნდა აღინიშნოს ბავშვის როგორც სასწავლო, ასევე სხვა სახის მიღწევებიც.

ემოციები

უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვის ემოციები ატარებს მძაფრ, მკვეთრად გამოხატულ, მაგრამ არამდგრად ხასიათს, რაც გამოიხატება ერთი ემოციური მდგომარეობიდან მეორეში სწრაფ გადასვლაში. ადვილია ბავშვის გაბრაზება, შეშინება, მაგრამ ასევე ადვილია მისი ინტერესების, კმაყოფილების, სიხარულის გამოწვევა. ადვილად გადაედება სხვა ბავშვების ან უფროსების მიერ განცდილი ემოციები.

6-8 წლის ბავშვი **ემოციურად დაუცველია**. ბავშვი ცდილობს, ასიამოვნოს, მოიგოს უფროსის გული და მიიღოს მისგან ემოციური დაცვა. ბავშვს უნდა, რომ მიღებული იყოს ჯგუფში. ის მიჯაჭვულია უფროსებს და საჭიროებს მათ ხელმძღვანელობას. ბავშვი ამ ასაკში ბაძავს უფროსებს და უკრიტიკოდ ღებულობს მათ ღირებულებებს. 8 წლის ბავშვი უკვე ხედავს განსხვავებას უფროსების სიტყვასა და იმ ქცევას შორის, რომელსაც უფროსები მას პირადი მაგალითით ასწავლიან. ამიტომ კარგია, თუ არ იქნება განსხვავება უფროსების სიტყვასა და ქცევას შორის. ბავშვი გააკეთებს იმას, რასაც აკეთებს უფროსი და არა იმას, რასაც ის ეუბნება.

9-11 წლის ბავშვი ემოციურად **ფიცხია**. თავისუფლად გამოხატავს ემოციებს. დარბის, აჯახუნებს კარს, ყვირის, მღერის. ემოციურად ერთვება სხვადასხვა საქმიანობასა და კამათში. მცირე ბრალდების დროს იკავებს „თავდაცვით პოზიციას“. აკეთებს ნაადრევ, ემოციურ დასკვნებს. მაღავს თავის გრძნობებსა და შიშებს. არ უყვარს სენტიმენტალობა, მაგრამ აღფრთოვანებული იქნება იმ ადამიანით, ვისაც იდეალად თვლის. ამ ასაკში მას უკვე ესმის, რომ ადამიანები განსხვავებულად გამოხატავენ თავს და გაგებით ეკიდება სხვა ადამიანების ემოციურ მდგომარეობას.

ამ ასაკში იწყება **ემპათიის განვითარება (ბერძ. – თანაგრძნობა)**. გამოყოფენ 2 სახის ემპათიას: ჰუმანურსა და ეგოცენტრულს. **ჰუმანური ემპათია** სხვა ადამიანის ემოციურ მდგომარეობაზე რეაგირებაა (თანაგრძნობა, შეცოდება, გახარება). **ეგოცენტრული ემპათიის** დროს სხვა ადამიანის წუხილი ან სიხარული არის მხოლოდ მიზეზი ისეთი ემოციების აღმოცენებისა, როგორცაა – მოწყენილობა; შიში; სიხარული, როცა სხვა შეწუხებულია; დარდი, როცა სხვა გახარებულია (შური).

უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვი იწყებს სხვების ემოციებისადმი ყურადღების მიქცევას და მათ გაგებას. მას ესმის, რომ მაგალითად, სხვა ადამიანის დარდი (დედის ან სხვა ბავშვის) ამ ადამიანის ნეგატიური განცდაა. თუკი სკოლამდელი ასაკი ამ კუთხით შეიძლება დავახასიათოთ როგორც ეგოცენტრული, ახლა იწყება ალტრუიზმის განვითარება.

უნდა აღინიშნოს, რომ უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვმა შეიძლება გამოავლინოს თანაგრძნობა სხვისი ტკივილის დროს, დაიცვას მეგობარი და ა.შ., მაგრამ, ამავე დროს, მსგავს სიტუაციაში მან შეიძლება არ გამოავლინოს იგივე გრძნობები. მაგალითად, დასცინის მეგობარს, არ უჩნდება თანაგრძნობის განცდა. ამის მიზეზია ის, რომ ბავშვის მორალური განვითარება ამ ეტაპზე ჯერ არ არის საბოლოოდ ჩამოყალიბებული.

მორალური განვითარება

უმცროსი სასკოლო ასაკი სენსიტიური პერიოდია ბავშვის მორალური განვითარებისთვის. რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ადრეული ბავშვობის პერიოდსაც, მაგრამ მორალური განვითარების ნორმები ძირითადად უმცროს სასკოლო ასაკში ყალიბდება. ბავშვს ჯერ არ შეუძლია შეიმუშაოს თავისი საკუთარი მორალი, ამიტომ ცდილობს, გაარკვიოს, თუ როგორ უნდა მოიქცეს.

პედაგოგმა უნდა იცოდეს, რომ როცა ბავშვი ეცნობა ქცევის წესებს, ის მიიღებს მათ მხოლოდ მაშინ, თუ ეს მისთვის ემოციურად ღირებული იქნება, როცა ის გრძნობს, რომ ესა თუ ის წესი მნიშვნელოვანია.

უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვები კრიტიკულად აფასებენ სხვების მიერ წესების დარღვევას, მათ ქცევას კი ჯერ კიდევ იმპულსები

წარმართავს. ისინი არ განიცდიან დისკომფორტს ქცევის წესების დარღვევისას და თავს ინუგეშებენ იმით, რომ „ეს შემთხვევით გააკეთეს“, „არ უნდოდათ“, „მეტს აღარ გააკეთებენ“.

5-6 წლის ბავშვი ქცევის ზნეობრივ მხარეზე მსჯელობს არა მოტივის გათვალისწინებით, არამედ შედეგით. ამიტომ ქცევა, რომელსაც საფუძვლად უდევს ზნეობრივი მოტივი (მაგალითად, დედის დახმარება), მაგრამ მთავრდება ცუდად (თეფში გატყდა), ბავშვის მიერ ფასდება, როგორც „ცუდი“. ამიტომ პედაგოგმა არ უნდა შეაფასებინოს ბავშვის ქცევა თანატოლებს.

უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვები ზნეობას განიხილავენ, როგორც რაღაც გარეგანს, მათგან დამოუკიდებელს, რაღაცას, რაც მათ უნდა გააკეთონ, რადგანაც ასე ამბობენ უფროსები.

5-7 წლის ასაკის ბავშვი ემორჩილება წესებს, თუ საპასუხოდ პირადი მოთხოვნილება დაუკმაყოფილდება.

7-10 წლის ბავშვის სურვილია, მოეწონოს სხვა ადამიანებს, „იყოს კარგი“. ქცევის ავკარგიანობა ფასდება იმის მიხედვით, რას იტყვიან მასზე სხვები. ბავშვი ცდილობს, ისე მოიქცეს, რომ მისთვის მნიშვნელოვანი ადამიანებისგან შექება და მხარდაჭერა დაიმსახუროს (მშობლები, მასწავლებლები, მეგობრები). იწყებს „კარგისა“ და „ცუდის“ შესახებ საკუთარი წარმოდგენების ფორმირებას. ცდილობს, სხვების თვალში კარგი გამოჩნდეს, იყოს „კარგი ბიჭი“ ან „კარგი გოგო“. ამ ასაკში ბავშვისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია უფროსის მაგალითი.

მოტივაციური სფეროს განვითარება

მოტივი არის პიროვნების შინაგანი მიდრეკილება ამა თუ იმ აქტივობის მიმართ, რომელიც დაკავშირებულია გარკვეული მოთხოვნების დაკმაყოფილებასთან.

თუ ადრეულ ასაკში ბავშვის ყველა სურვილი ერთნაირი ძალისა და ინტენსივობის იყო, ახლა ბავშვს უკვე შეუძლია მოტივების მართვა, მისი მოტივები იძენს სხვადასხვა ძალასა და ინტენსივობას. ჩნდება დომინანტური ინტერესები: ზოგ ბავშვთან ეს არის პრესტიჟის მოთხოვნილება (საკუთარი ინტერესების, სურვილების, მოთხოვნილებე-

ბის დაკმაყოფილება), ზოგთან – ალტრუსტული და ზოგთან – წარმატების მიღწევის მოთხოვნილება. ამასთან დაკავშირებით, იცვლება ბავშვის მოთხოვნები უფროსების მიმართ. ისინი უფროსებისგან ითხოვენ არა მხოლოდ ყურადღებასა და სიყვარულს, არამედ გაგებას, თანადგომასა და პატივისცემას.

უმცროს სასკოლო ასაკში სწავლის წამყვანი მოტივია – **მაღალი შეფასება**. მაღალი შეფასება პატარა მოსწავლისთვის არის ემოციური კეთილდღეობის, სიამაყის განცდის, საკუთარი ძალების რწმენის წყარო.

ამასთანავე, ვხვდებით სწავლის სხვა მოტივებსაც.

შინაგანი მოტივები:

- შემეცნებითი მოტივი – ცოდნის მიღების სურვილი.
- სოციალური მოტივი – სურს, რომ იყოს განათლებული; მიაღწიოს წარმატებას, პრესტიჟს; იყოს საზოგადოებისთვის სასარგებლო.

გარეგანი მოტივი – სწავლობს კარგად, რათა მიიღოს არა ცოდნა, არამედ ჯილდო (კარგი ნიშანი, მასწავლებლის შექება).

1-2 კლასში სწავლის გარეგანი მოტივებია დამახასიათებელი (ნიშანი, შექება), მე-3 კლასიდან ფორმირდება შინაგანი მოტივები (ინტერესი, ინტელექტუალური აქტივობის გამოვლენა, სირთულეების დაძლევა შემეცნების პროცესში). თუ პირველ კლასში ბავშვი სწავლაში მარცხს მიაწერს გარეშე ფაქტორებს, მესამეკლასელი თვლის, რომ მარცხის მიზეზი შეიძლება იყოს მისი პიროვნული მახასიათებლები. ეს აიხსნება იმით, რომ ბავშვის მიერ ცოდნის შეფასება აღიქმება, როგორც მისი პიროვნების შეფასება.

ამ ასაკში ყალიბდება ის პიროვნული თვისებები, რომლებიც შემდეგ, მოზარდობის ასაკში გამოვლინდება. პირველ რიგში, ეს არის **მიღწევის მოტივაცია**, რომელიც ვითარდება უმცროს სასკოლო ასაკში და მოზარდობაში თავს იჩენს, როგორც პიროვნული მახასიათებელი.

წარმატების მიღწევისთვის ბავშვები ხელმძღვანელობენ 2 მოტივით. ესაა: **წარმატების მიღწევის მოტივი და მარცხის თავიდან აცილების მოტივი**.

დაწყებით კლასებში ძირითადად დომინანტურია როგორც მიღწევის, ასევე, მარცხის თავიდან არიდების მოტივი. მაღალი შეფასების მქონე ბავშვებთან ხშირად წამყვანია მიღწევის მოტივი – კარგად შეასრულონ დავალება, მიიღონ საჭირო შედეგი.

მარცხის თავიდან არიდების მოტივი – ბავშვები ცდილობენ, თავი აარიდონ დაბალ შეფასებას და მისგან გამომდინარე შედეგებს (მასწავლებლის საყვედური, მშობლის სანქციები – ჩხუბი, სხვადასხვა სახის აკრძალვა).

პედაგოგმა დიდი ყურადღება უნდა დაუთმოს მოსწავლეში ადეკვატური პრეტენზიის დონის ჩამოყალიბებას. პრეტენზიის მაღალი დონე დამოკიდებულია როგორც ბავშვის სასწავლო და სხვა სახის აქტივობაზე, ასევე, ბავშვის სტატუსზე კოლექტივში. ბავშვებს, რომელთაც აქვთ მაღალი ავტორიტეტი თანატოლებში, შეიძლება ჰქონდეთ ადეკვატური თვითშეფასება და პრეტენზიის მაღალი დონე. ადეკვატური თვითშეფასებისა და შესატყვისი პრეტენზიის დონის ფორმირებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს პედაგოგი, რომელიც უნდა დაეხმაროს თითოეულ ბავშვს საკუთარი უნარებისა და შესაძლებლობების გაცნობიერებაში თუ საკუთარი ძალების რწმენის განვითარებაში.

უმცროს სასკოლო ასაკში მასწავლებლის შეფასებაზე დამოკიდებული სწავლის მოტივის ჩამოყალიბება. დაბალმა შეფასებამ შეიძლება ბავშვში გამოიწვიოს ნეგატიური განცდები და სასკოლო დეზადაპტაცია. სასკოლო შეფასებაზე დამოკიდებული ბავშვის თვითშეფასებაც. ბავშვები, ეყრდნობიან რა მასწავლებლის შეფასებას, თავიანთ თავსა და თანატოლებს თვლიან – წარმატებულ, წარუმატებელ და საშუალო მოსწავლეებად და თითოეულ ჯგუფს შესატყვის პიროვნულ მახასიათებლებს მიაწერენ. ბავშვის ცოდნის შეფასება განიხილება, როგორც ბავშვის პიროვნების შეფასება და განსაზღვრავს მის სოციალურ სტატუსს. სწავლაში წარმატებულ ბავშვებს უყალიბდებათ დადებითი თვითშეფასება, ხოლო დაბალი შეფასების მქონე ბავშვებს – ნეგატიური.

პიროვნების სრულყოფილი განვითარებისთვის აუცილებელია **კომპეტენტურობის** გრძნობის ჩამოყალიბება, რომელსაც ე. ერიკსონი მიიჩნევდა უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვის მთავარ შენაძენად. სწავლა არის უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვის ძირითადი საქმიანობა და თუ ბავშვი აქ თავს არაკომპეტენტურად თვლის, მისი პიროვნული განვითარება მნიშვნელოვნად ზიანდება.

უმცროსი სასკოლო ასაკის პოზიტიური ცვლილებები:

- შეემცნებოთ აქტივობა, გამჭრიახობა.

- მდიდარი ფანტაზია, შემოქმედებითობა.
- ცნობისმოყვარეობა.
- ბავშვი ეუფლება წერასა და კითხვას, ვითარდება შინაგანი მეტყველება.
- კარგი დაკვირვების უნარი.
- გულჩვილია და მოწყვლადი.
- დამოუკიდებლობის ზრდა.
- ურთიერთობის წესებისა და ნორმების დაუფლება.
- მასწავლებელი ხელშეუხებელი ავტორიტეტია.
- გახსნილია და მიმნდობი.
- ახალი სოციალური როლების დაუფლება.
- საკუთარი თავის მართვის პირველი გამოცდილება („მინდა“ – „უნდა“).
- პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარება.

უმცროსი სასკოლო ასაკის ნეგატიური გამოვლინებები:

- გარეგანი ატრიბუტებისადმი მაღალი ინტერესი, მათი საშუალებით თავის გამოჩენის სურვილი (ყველაზე კარგი ჩანთა, ყველაზე კარგი კალამი და ა.შ.).
- არ არის ჩამოყალიბებული შემეცნებითი (ცოდნის მიღების სურვილი) სასწავლო მოტივაცია.
- სასწავლო საქმიანობის „შეფასების“ არასწორი გაგება.
- სხვა ადამიანებისადმი არაკრიტიკული დამოკიდებულება.
- შემეცნებითი პროცესების სისუსტე და იმპულსურობა.
- თვალსაჩინო-ხატოვანი ყურადღების დომინირება ვერბალურ ყურადღებაზე.
- ცუდად ხედავს მიზეზშედეგობრივ კავშირებს.
- წინააღმდეგობრივი და არამდგრადი ხასიათი.
- სუსტად განვითარებული ნებისყოფა.
- თვითშეფასების სირთულეები.
- ყურადღების გადახრადობა.
- პოზირება.
- მაღალი კონფლიქტურობა.
- სწავლის დაბალი აქტივობა.

სირთულეები, რომელსაც ვხვდებით უმცროსკლასელთა სწავლებისას

სკოლაში სწავლის დაწყება სერიოზული ცვლილებაა ბავშვის ცხოვრებაში. პედაგოგები და მშობლები უნდა დაეხმარონ მათ, უმტკივნეულოდ გადავიდნენ თამაშის ქცევიდან სასწავლო ქცევაზე.

სირთულეები, რომელსაც შეხვდება ბავშვი, სკოლაში სწავლისას, სხვადასხვა მიზეზითაა გამოწვეული.

ქრონიკული წარუმატებლობა. ხშირად სკოლისადმი ბავშვის ადაპტაციას ართულებს მშობლის დამოკიდებულება სკოლისადმი. ერთი მხრივ, მშობელს ჰგონია, რომ ბავშვი ცუდად იგრძნობს თავს სკოლაში (არ ეყოლება კარგი მასწავლებელი, მეგობრები); შიშობს, რომ ბავშვი ხშირად გაცივდება, იავადმყოფებს. მეორე მხრივ, ბავშვისგან ელიან მაღალ მიღწევებს და გამოხატავენ უკმაყოფილებას, როცა ბავშვს სირთულეები ექმნება სწავლის პროცესში.

სკოლაში ბავშვის მიყვანის შემდეგ იცვლება მშობლის დამოკიდებულება ბავშვისადმი, მისი წარმატებისა და წარუმატებლობისადმი. „კარგად“ ითვლება ბავშვი, რომელიც ადვილად სწავლობს წერა-კითხვას, მათემატიკას, აქვს ფართე თვალსაწიერი. იმ აუცილებელ სირთულეებს, რომელსაც ბავშვების უმრავლესობა ხვდება სწავლის დასაწყისში, ასეთი მშობლები ნეგატიურად აღიქვამენ. ეს კი შეიძლება გამოხატონ ვერბალურად ან არავერბალურად. მშობლების მხრიდან ასეთი შეფასების შედეგად ეცემა ბავშვის თვითშეფასება, იზრდება შფოთვა. ამას კი მიყვართ წარუმატებლობისკენ. ბავშვი ცუდად ითვისებს ახალ მასალას, ჩვევებს. ყოველივე ამას მოჰყვება მშობლის უკმაყოფილება. წარუმატებლობა ხდება ქრონიკული.

წარუმატებლობის მიზეზები:

- არასაკმარისი მზაობა სკოლისადმი (მაგალითად, ცუდად აქვს განვითარებული ნატიფი მოტორიკა, შესაბამისად, უჭირს წერა; ან ცუდად აქვს ნებისმიერი ყურადღება, ამიტომ უჭირს ყურადღების წარმართვა).
- ოჯახში კონფლიქტური სიტუაციების გავლენით ჩამოყალიბებული შფოთვა. ასეთ ოჯახში გაზრდილ ბავშვს არ უყალიბდება დაცულო-

ბის გრძნობა და პანიკურად რეაგირებს სირთულეებზე, რომელიც გადააქვს სასკოლო ცხოვრებაზე.

- მშობლების გადაჭარბებული მოლოდინი. ბავშვის ნორმალური, საშუალო წარმატებები აღიქმება, როგორც წარუმატებლობა. შედეგად, იბრძება შფოთვა, ეცემა წარმატების მიღწევის სურვილი, თვითშეფასება. ხშირად მშობლები და პედაგოგები ცდილობენ, დაეხმარონ ბავშვს სირთულეების დაძლევაში (მათი თვალთახედვით). ზრდიან ბავშვის დატვირთვას, უტარებენ დამატებით მეცადინეობებს, შედეგად აკონტროლებენ. ეს კი იწვევს ბავშვის განვითარების შეფერხებას.

სასწავლო საქმიანობაში ჩაურთველობა. ბავშვი ზის გაკვეთილზე, მაგრამ არ ესმის მასწავლებლის შეკითხვები, მითითებები. ეს არ არის უყურადღებობა. ეს არის საკუთარ შინაგან სამყაროში, ფანტაზიებში წასვლა. ეს ემართებათ ბავშვებს, რომლებიც ვერ იღებენ საკმარის ყურადღებას, სიყვარულს, ზრუნვას მშობლებისაგან და უფროსებისგან. ბავშვი იკმაყოფილებს მოთხოვნილებებს ფანტაზიებში და არ აქცევს ყურადღებას რეალურ სირთულეებს. მას უყალიბდება შფოთვის მაღალი დონე. ეს კი ხელს უშლის მისი უნარების რეალიზებას. იწვევს სირთულეებს სწავლაში.

როგორ დავეხმაროთ?

- გამოვიჩინოთ ყურადღება.
- დავეხმაროთ ფანტაზიების რეალიზებაში – ხატვის, ძერწვის, კონსტრუირების გამოყენებით.
- ვაგრძნობინოთ მხარდაჭერა.

ნეგატიური დემონსტრაციულობა – დამახასიათებელია იმ ბავშვებისათვის, რომლებსაც აქვთ ყურადღების მაღალი მოთხოვნილება. ასეთ ბავშვებს საყვედურობენ არა ცუდ სწავლას, არამედ ცუდ ქცევას. ისინი არღვევენ დისციპლინას საკლასო ოთახში და შესვენებაზე. მათ უნდათ, მიიღონ ყურადღება ნებისმიერი ფორმით. ნებისმიერი ემოციური გამოვლინება უფროსების მხრიდან, როგორც დადებითი (შექება, თბილი სიტყვა), ასევე, უარყოფითი (ყვირილი, შენიშვნა), არის დემონსტრაციული ქცევის განმამტკიცებელი.

ასეთ ბავშვებს მშობლების მხრიდან აკლიათ სიყვარული, მოფერება, გაგება, მიღება.

ვერბალიზმი. ბავშვებს ახასიათებთ მეტყველების განვითარების მაღალი დონე და ამროვნების განვითარების შეფერხება. ვერბალიზმი ყალიბდება სკოლამდელ ასაკში და განპირობებულია შემეცნებითი პროცესების განვითარების თავისებურებებით. ბევრი მშობელი და პედაგოგი თვლის, რომ მეტყველება ფსიქიკური განვითარების მნიშვნელოვანი მახასიათებელია. ამიტომ მიმართავენ დიდ ძალისხმევას მეტყველების განვითარებისათვის. ასწავლიან ლექსებს, ზღაპრებს. ამროვნების განვითარებისთვის (ლოგიკური, აბსტრაქტული, პრაქტიკული ამროვნება) მნიშვნელოვანი აქტივობები (ხატვა, კონსტრუირება, როლური თამაშები) კი მეორე პლანზე გადადის. შესაბამისად, ამროვნება (განსაკუთრებით, ხატოვანი ამროვნება) განვითარებაში ჩამორჩება მეტყველებას.

გამართული მეტყველება, გამოკვეთილი პასუხები უფროსების შეკითხვებზე ფასდება მოზრდილების მხრიდან, როგორც განვითარების მაღალი მაჩვენებელი.

ვერბალიზმს ახლავს ბავშვის მაღალი თვითშეფასება და მშობლების მხრიდან ბავშვის უნარების გადაჭარბებული შეფასება. სკოლაში სწავლის დროს აღმოჩნდება, რომ ბავშვს უჭირს ამოცანების ამოხსნა; დავალებები, რომლებიც საჭიროებს ხატოვან ამროვნებას, იწვევს სირთულეებს. არ ესმით რა პრობლემის ნამდვილი მიზეზი, მშობლები ადანაშაულებენ პედაგოგს ან ბავშვს (აიძულებენ, მეტი იმეცადინოს). ეს კი იწვევს ბავშვებში შფოთვის მომატებას, დაურწმუნებლობას საკუთარ ძალებში, არასრულფასოვნების გრძნობას.

როგორ დავეხმაროთ?

მეტი ყურადღება მივაქციოთ ხატოვანი და ცნებითი-ლოგიკური ამროვნების განვითარებას.

ფსიქო-ფიზიკური ინფანტილიზმი. ეს არის ფსიქიკური განვითარების შეფერხება. ასეთი ბავშვებისთვის დამახასიათებელია სკოლამდელი ასაკის ბავშვისთვის დამახასიათებელი ინტერესები და მოთხოვნები. ასეთი ბავშვებისთვის არ არის ღირებული სკოლის მოთხოვნები. სწავლაში მათი წარმატებები აღელვებთ მხოლოდ მათ პედაგოგებსა და მშობლებს. მათ ჩამოყალიბებული არ აქვთ სწავლის მოტივაცია.

სიზარმაცე. სიზარმაცის მიზეზი შეიძლება იყოს:

დაქვეითებული შემეცნებითი ინტერესები.

წარუმატებლობის თავიდან აცილების მოტივაცია – „არ გავაკეთებ იმიტომ, რომ მაინც არ გამომივა“, „მე არ შემიძლია“.

აქტივობის შენელებული ტემპი (ტემპერამენტის თავისებურება). ბავშვი კეთილსინდისიერად, მაგრამ ნელა სწავლობს. პედაგოგებსა და მშობლებს კი ჰგონიათ, რომ ის ზარმაცობს. ამიტომ გამოხატავენ უკმაყოფილებას. ბავშვს ჰგონია, რომ ის ცუდია და არავის არ სჭირდება. ეს კი იწვევს შფოთვისა და ქცევის დეზორგანიზაციას.

დაბალი თვითშეფასება. ბავშვი არ არის დარწმუნებული საკუთარ ცოდნაში. ის ცდილობს, თავი აარიდოს სასწავლო საქმიანობას.

უმცროსკლასელთა სწავლებისას, სირთულეების თავიდან ასაცილებლად, საჭიროა პედაგოგების, მშობლებისა და ფსიქოლოგის მჭიდრო თანამშრომლობა.

კითხვები ფიქრისთვის:

1. ჩამოთვალეთ გონებრივი აქტივობები, რომელიც საჭიროა იმისთვის, რომ უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვმა შეძლოს სკოლაში წარმატებით სწავლა.
2. რა შეზღუდვები აქვს მექანიკურ დამახსოვრებას?
3. რას ფიქრობთ, რატომ იმახსოვრებენ ბავშვები სასწავლო მასალას მექანიკურად?
4. რა გავლენას ახდენს სწავლასა და დამახსოვრებაზე აღქმა და ყურადღება?
5. რა არის შინაგანი და გარეგანი მოტივაცია?
6. რისი ცოდნა გჭირდებათ თქვენი მოსწავლეების შესახებ, მათი სასწავლო მოტივაციის გასაზრდელად?
7. რა არის დამახასიათებელი უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვის აზროვნებისთვის?
8. რატომ არის მნიშვნელოვანი ადეკვატური თვითშეფასების ჩამოყალიბება?
9. გაიხსენეთ თქვენი თავი დაწყებით კლასებში სწავლისას. გახსოვთ, როგორ გაფასებდნენ მასწავლებლები? მშობლები? რა გავლენა მოახდინა უფროსების შეფასებამ თქვენს თვითშეფასებაზე?

მთავარდგომის ხანის
ასაკობრივი
თავისებურებები

ძირითადი საკითხები

I. მოზარდობის პერიოდის ზოგადი დახასიათება

II. ფიზიკური განვითარება

III. შემეცნებითი სფეროს განვითარება

IV. პიროვნული და სოციალური განვითარება

V. ინდივიდუალური თავისებურებები მოზარდებში, ხასიათის ცნება

VI. ხასიათის აქცენტუაციის ცნება

მობარდობის ხანა არის პერიოდი ბავშვობასა და მოწიფულობას შორის. მისი ხანგრძლივობა თანამედროვე ეპოქაში სულ უფრო იზრდება, ვინაიდან მოწიფულობის მიღწევამდე ძალიან ბევრი ცოდნა და უნარ-ჩვევებია დასაუფლებელი. მობარდობა მოიცავს პერიოდს 10-11 წლიდან 16-19 წლამდე და იყოფა უმცროსი და უფროსი მობარდობის (ჭაბუკობა) პერიოდებად. უმცროსი მობარდობა მოიცავს პერიოდს 10-11 წლიდან 15 წლამდე, უფროსი მობარდობა (ჭაბუკობა) კი – 15 წლიდან 19 წლამდე.

ზოგჯერ ცნება „მობარდის“ ნაცვლად „თინეიჯერს“ ხმარობენ. „თინეიჯერის“ განმარტების ქვეშ იგულისხმებიან 13-19 წლის მობარდები. აღნიშნულ ტერმინში ზოგჯერ უარყოფითი კონტექსტი მოაზრება. იგი არ არის მეცნიერული ტერმინი და ზოგჯერ მასში მობარდის შემდეგი თვისებები იგულისხმება: ჯიუტი, ოპოზიციური, უპასუხისმგებლო. ამგვარი მიდგომა კი გავრცელებული სტერეოტიპის ბრალია, ამიტომ, ხშირ შემთხვევაში, არაზუსტია.

გამოცდილმა პედაგოგებმა კარგად იციან, რომ ყველა მობარდი ერთნაირი არ არის და მოსწავლეთა დიდი ნაწილი მშვიდი ხასიათით, სწავლისადმი ინტერესით, კარგი დისციპლინით გამოირჩევა.

თუკი შუა ბავშვობის პერიოდში ჩვენ საქმე გვქონდა „დიდ ბავშვთან“, ადრეული მობარდობის პერიოდში ჩვენ საქმე გვაქვს „პატარა მოზრდილთან“.

გარდამავალ ასაკში მობარდის ორგანიზმის ყველა მხარე განიცდის მკვეთრ ცვლილებას, როგორცაა: ანატომიურ-ფიზიოლოგიური, სულიერი, ფსიქოლოგიური და მნეობრივი.

ერთმანეთს რომ შევადაროთ მეხუთეკლასელი და მერვეკლასელი მოსწავლეები, ვნახავთ, რომ მოკლე დროის განმავლობაში ბავშვები მნიშვნელოვნად ვითარდებიან ფიზიკურად, გონებრივად, მნეობრივად და სოციალურად. გარდამავალი ასაკის ბავშვების სწავლება და აღზრდა გაცილებით მეტ სირთულესა და სიძნელესთან არის დაკავშირებული, ვიდრე უმცროსი სასკოლო ასაკის. ბავშვის მოწიფულობაში გადასვლის პროცესი მეტად რთული და მრავალფეროვანია, რადგან იგი დაკავშირებულია უკვე ჩამოყალიბებული ურთიერთობების რღვევასთან, ცხოვრებისა და ქცევის პირობების შეცვლასთან.

თუკი მობარდმა იცის და ესმის ის ცვლილებები, რომელიც ხდება მის სხეულსა და ფსიქიკაში, მისთვის უფრო ადვილი იქნება მათი მიღება.

11 წლის მოზარდი მგრძნობიარეა, მიისწრაფვის თვითდამკვიდრებისკენ, გუნება-განწყობილება ხშირად ეცვლება, ავლენს ბრაზსა და აგრესიას, უყვარს კამათი. აქვს ოპოზიციური განწყობა, კონფლიქტურია, არ უყვარს კრიტიკა. ეჯიბრება სხვა ბავშვებს, ახასიათებს შურისძიება. იწყებს ფიქრს მომავალზე. შედის კონფრონტაციაში მშობლებთან, არ იღებს მონაწილეობას საოჯახო საქმეებში. ჩხუბობს და-ძმასთან. გოგონებს ერთმანეთთან აქვთ ერთდროულად როგორც გულთბილი, ასევე დაძაბული ურთიერთობები. ბიჭები ერთიანდებიან ჯგუფებად.

12 წლის მოზარდი უკეთესად ახერხებს საკუთარი თავის მართვას. ადვილად სევდიანდება, ნაკლებად აგრესიულია. ეძებს საკუთარ თავს, ცდილობს, თავი მოაწონოს სხვა ადამიანებს. უფრო ობიექტურია საკუთარი თავის შეფასებისას, სამომავლო გეგმები უფრო რეალურია და გარკვეული. იწყებს მეგობრების ძიებას ოჯახის გარეთ. უმჯობესდება ურთიერთობა და-ძმასთან. გოგონები იწყებენ მეგობრობას ბიჭებთან.

13 წლის მოზარდი დაკავებულია საკუთარი თავის შეცნობით, უყვარს მარტოობა, აქვს ბევრი საიდუმლო, ნაკლებად კომუნიკაბელურია. ძალიან მგრძნობიარეა, მიდრეკილია დებურესიასა და იმედგაცრუებისკენ. ნაკლებად გრძნობს სიახლოვეს მშობლებთან, არ ენდობა მათ. კარგი ურთიერთობა აქვს და-ძმასთან, განსაკუთრებით, უფროსთან, ან ძალიან პატარასთან. უნდა გახდეს მოზრდილი. გოგონებს აქვთ სურვილი, ჰქონდეთ ურთიერთობა მათზე უფროს ბიჭებთან.

14 წლის მოზარდი აღგზნებული, ექსპანსიური და პრეტენზიულია. ხან მხიარულია, ხან ცუდ გუნებაზეა. აღელვებს საკუთარი გარეგნობა, ადარებს თავს თანატოლებს. მიისწრაფვის დამოუკიდებლობისაკენ, უნდა, რომ იყოს მოზრდილი. აკრიტიკებს მშობლებს. აქვს სირთულეები მათ ასაკთან ახლოს მყოფ და-ძმასთან ურთიერთობაში. ერთიანდებიან საერთო ინტერესების მქონე ჯგუფებში. გოგონებს უფრო აინტერესებთ ბიჭები, ვიდრე ბიჭებს - გოგონები.

15 წლის მოზარდი კრიტიკულია, მაღავს საკუთარ გრძნობებს, ხშირად ეცვლება გუნება-განწყობილება. აქვს სურვილი, იყოს პოპულარული და თავისუფალი. იბრძვის საკუთარი შეხედულებების დასამკვიდრებლად. გრძნობს გაუცხოებას საკუთარი მშობლების მიმართ. სიამოვნებს ურთიერთობა მეგობრებთან. უმჯობესდება ურთიერთობა და-ძმასთან.

16 წლის მოზარდი კეთილგანწყობილი, დამყოლი და მომთმენია. ღელავს მომავალზე, სურვილი აქვს, მიაღწიოს წარმატებას, სჯერა სა-

კუთარი ძალების, ზრუნავს გარეგნობაზე. კარგი ურთიერთობა აქვს მშობლებთან, მაგრამ უპირატესობას ანიჭებს მეგობრებთან ურთიერთობას.

ზოგადად, მოზარდი კრიტიკული თვალთ უყურებს ავტორიტეტებს, მათ შორის, მშობლებსა და პედაგოგებს, რომელთაც აქამდე უპირობოდ, დადებითად აფასებდა. იწყებს იდეალური ადამიანის შესახებ საკუთარ წარმოდგენის გადახედვას.

მოზარდისთვის დამახასიათებელი კრიტიკულობა და მაქსიმალიზმი მისთვის ჩვეული იუმორით გამოხატა მარკ ტვენმა:

„როცა 14 წლის ვიყავი, მამაჩემი იმდენ სისულელეს ამბობდა, რომ ვერ ვიტანდი, მაგრამ როცა 21 წლის გავხდი, გამიკვირდა, როგორ დატკვიანდა მოხუცი ამ 7 წელიწადში.“

მოზარდობის პერიოდი გამოირჩევა სირთულით არა მხოლოდ აღმზრდელობითი კუთხით, არამედ სწავლისადმი დამოკიდებულებით — ეცემა აკადემიური მოსწრება, მცირდება სწავლისადმი ინტერესი.

მოზარდის სწავლის სირთულების ძირითადი ფაქტორებია:

1. **სასწავლო საქმიანობის თავისებურებები.** სასწავლო საქმიანობა მოსწავლისგან მოითხოვს დამოუკიდებელი აზროვნების უნარს, სასწავლო ამოცანის გადაწყვეტის რაციონალური ხერხებისა და საშუალებების არჩევას, საკუთარი ცოდნის კონტროლსა და შეფასებას. ბევრი მოზარდი არ არის მზად სასწავლო საქმიანობის ახალი ფორმების შესასრულებლად.
2. **ინტელექტუალური პასიურობა ან „გონებრივი სიზარმაცე“**, რომლის მიზეზი სხვადასხვაა. ეს შეიძლება იყოს როგორც პრობლემები შემეცნებითი პროცესების განვითარებაში და სწავლის დაბალი მოტივაცია, ასევე, სწავლებისა და აღზრდის ნაკლოვანებები. შემეცნებითი პროცესების განვითარების ნაკლოვანებები გულისხმობს — სხვადასხვა აზროვნებითი ოპერაციის ფორმირების სისუსტეს, დამახსოვრების მექანიკური ტიპის დომინირებას აზრობრივზე, ყურადღების სუსტ კონცენტრაციასა და სიმყარეს, ყურადღების მცირე მოცულობას.

სწავლის დაბალი მოტივაცია — ხშირად ბავშვი სწავლობს მხოლოდ იმიტომ, რომ მშობელი არ გაუბრაზდეს; რომ გაუშვან მეგობართან, უყიდონ რაიმე ნივთი და ა.შ. ხშირად მასწავლებლები და

მშობლები თვითონ ახდენენ სწავლისადმი ასეთი დამოკიდებულების პროვოცირებას, აქცევენ რა ყურადღებას მხოლოდ ბავშვის მიერ მიღებულ ნიშნებს და არა რეალური ცოდნის მიღების საჭიროებას.

3. **მოზარდის ინდივიდუალურ-ტიპოლოგიური თავისებურებები** –ემოციური აშლილობა, დაბალი თვითშეფასება, არაადეკვატური რეაქციები, ხასიათის აქცენტუაცია (იხ. ქვემოთ).
4. **სასწავლო პროგრამაში ჩამორჩენა** – ამის გამო ახალი მასალა გაუგებარია.

რეკომენდაციები პედაგოგებს:

1. ყურადღება მიაქციეთ ცოდნის მიღების ხარისხს, და არა რაოდენობას.
2. შეეცადეთ, ისე წარმართოთ სასწავლო პროცესი, რომ ნიშანი არ იყოს მოსწავლის რეიტინგის ძირითადი საფუძველი. ნუ მოახდენთ მოსწავლის აკადემიური მოსწრების აფიშირებას მთელი კლასის წინაშე. თუმცა უნდა გავითვალისწინოთ მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებები. მაგალითად, თუ თქვენს მოსწავლეს აქვს დემონსტრაციული ხასიათის ნიშნები (იხ. ქვემოთ), მისი მიღწევების საჯაროდ აღნიშვნა უბიძგებს მას წარმატებული სწავლისკენ.
3. არ შეადაროთ მოსწავლეები ერთმანეთს, შეადარეთ მხოლოდ მათსავე თავს. მაგალითად, შენ დღეს უკეთესად მიპასუხე, ვიდრე წინა გაკვეთილზე.
4. გამოიყენეთ სწავლების აქტიური მეთოდები.
5. განავითარეთ მოსწავლეთა შემეცნებითი შესაძლებლობები.
6. ხელი შეუწყვეთ პოზიტიური თვითშეფასების ფორმირებას.

ფიზიკური განვითარება

გარდამავალ ასაკში მოზარდის ორგანიზმში კარდინალური ცვლილებები მიმდინარეობს. იწყება ფიზიკური განვითარების ახალი ეტაპი, დგება სქესობრივი მომწიფების პერიოდი. ორგანიზმში მიმდინარე

ყველა ცვლილებას მართავს ჰორმონები – შინაგანი სეკრეციის ჯირკვლებში გამომუშავებული ბიოქიმიური ნივთიერებები. ამ პერიოდში მკვეთრად მატულობს როგორც ზრდის, ისე სასქესო ჰორმონების გამომუშავება და იწყება სქესობრივი მომწიფება, რომელიც პირველადი და მეორადი სასქესო ნიშნების განვითარებით გამოიხატება.

მოზარდის ფიზიკური განვითარებისთვის დამახასიათებელია ე.წ. „ზრდის ნახტომი“, რაც სხეულის სიგრძის ინტენსიურ ზრდაში გამოიხატება. სიმაღლის ასეთი ინტენსიური ზრდა (8-10 სმ.) აღინიშნება 13-15 წლის ასაკში, ხოლო შემდგომ ეს ტემპი ნელდება. გარდამავალ ასაკში ინტენსიურად იზრდება მოზარდის სხეული, ყველა ორგანო და ქსოვილი. ასეთი სერიოზული ცვლილებები მხოლოდ მუცლადყოფნისა და ჩვილობის პერიოდისთვის არის დამახასიათებელი. მაგრამ, პატარებისგან განსხვავებით, მოზარდები ამ ცვლილებებს ინტერესის, შიშისა და სიხარულის განცდით აკვირდებიან.

9-10 წლამდე ბიჭებისა და გოგონების ორგანიზმის განვითარება ერთნაირად მიმდინარეობს. მაგრამ 10 წლის შემდეგ გოგონები უფრო ინტენსიურად იზრდებიან და სიმაღლეში ასწრებენ ბიჭებს. სქესობრივი მომწიფების პროცესის დასრულების შემდეგ, გოგონების სიმაღლეში ზრდის ტემპი იკლებს, ხოლო ბიჭებისა – 18-20 წლამდე გრძელდება.

მოზარდის ანატომიურ-ფიზიოლოგიური განვითარება არათანაბრად მიმდინარეობს, რაც ძვლებისა და კუნთების არაპროპორციულ განვითარებას იწვევს. ჯერ ხელის მტევნები და ტერფები იზრდება, შემდეგ კიდურები, ყველაზე ბოლოს კი მხრები ვითარდება. ამის გამო მოზარდს დარღვეული აქვს მოძრაობის კოორდინაცია, მოუქნელია. სწორედ ამიტომ, რომ მოზარდები ხშირად წამოედებიან ხოლმე რამეს, უნებურად გატეხენ ან დააზიანებენ ნივთებს. ხმის იოგების ზრდა იწვევს ხმის დაბობხებას. აუცილებელია, მოზარდმა იცოდეს, რომ ეს მოვლენა დროებითია და ასაკთან ერთად გაივლის. სიმაღლეში ზრდის კვალდაკვალ, იმატებს კუნთების მოცულობა, ემატება ძალა. მოზარდი შეიძლება გრძნობდეს ხან ენერჯის მომატებას, ხან კი აპათიას. ხანდახან შეიძლება ზარმაცად მოგვეჩვენოს, მაგრამ სინამდვილეში ეს არის ორგანიზმის დაცვა გადამეტებული დაძაბულობისგან.

რაც შეეხება ნერვულ სისტემას, გარდამავალ ასაკში აღგზნებისა და შეკავების პროცესები არ არის გაწონასწორებული. აღგზნება

მნიშვნელოვნად სჭარბობს შეკავებას. აღგზნების პროცესი ხშირად ისეთი ძლიერი და ინტენსიურია, რომ მოზარდს ძალა არ ჰყოფნის მის შესაკავებლად. აღგზნების პროცესები ერთბაშად აღმოცენდება, დიდი ენერგიით მიმდინარეობს, მაგრამ სწრაფადვე ცხრება.

დიდი ცვლილებებია მოზარდის გულ-სისხლძარღვთა სისტემის განვითარებაში. მოზარდის გული მნიშვნელოვნად იზრდება მოცულობაში, იგი უფრო ძლიერდება, ხოლო სისხლძარღვთა დიამეტრი კი ზრდაში ჩამორჩება მას, რის გამოც მოზარდებს ხშირად აღენიშნებათ თავბრუსხვევები, თავის ტკივილი, გულისცემის გახშირება, სისუსტე და ადვილი დაღლილობა. ასე რომ ზოგჯერ მშობლებისა და პედაგოგების წუხილი, მოზარდების გაზარმაცებასთან დაკავშირებით, სწორედ გულ-სისხლძარღვთა სისტემაში მიმდინარე ცვლილებებით არის გამოწვეული.

მოზარდის ფიზიკური, ანატომიურ-ფიზიოლოგიური განვითარების ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტია სქესობრივი მომწიფება. რეპროდუქციული აპარატის მომწიფება ბევრ ფსიქოლოგიურ ცვლილებას იწვევს მოზარდის ფსიქიკაში. სქესობრივი ჯირკვლები იწყებენ ფიზიოლოგიურ ფუნქციონირებას. სქესობრივი მომწიფების დასაწყისად, ბიჭებისთვის 12-13 წელი, ხოლო გოგონებისთვის – 11-12 წელი ითვლება. ბიჭების უმრავლესობა სქესობრივ მომწიფებას ამთავრებს 15-16, ხოლო გოგონები – 13-14 წლის ასაკში. მიუხედავად იმისა, რომ ამ დროს სქესობრივი მომწიფება მთავრდება, მოზარდის სულიერ და მნეობრივ მომწიფებაზე ჯერ ადრეა საუბარი.

სქესობრივი მომწიფების ასაკი განსხვავებულია არა მარტო სხვადასხვა სქესის მოზარდებში, არამედ ერთი სქესის ფარგლებშიც კი.

ბიჭების ნაადრევი სქესობრივი მომწიფება მათ თავდაჯერებულობას უწყობს ხელს, ისინი პოპულარობით სარგებლობენ თანატოლებს შორის. ნაადრევად მომწიფებული გოგონები კი, პირიქით, თავს უხერხულად გრძნობენ, ნაკლებად თავდაჯერებულნი არიან. თანატოლებისთვის ჯერ უცხოა მათი პრობლემები და ამიტომ ისინი უფრო მეტად უფროს ბავშვებთან მეგობრობენ.

დაგვიანებულ მომწიფებას ბიჭები ძალიან მტკივნეულად განიცდიან, რადგან ყველა ისე ექცევა მათ, როგორც პატარას, თანატოლი გოგონები კი ყურადღებას არ აქცევენ. გოგონებიც განიცდიან სქესობრივი მომწიფების დაგვიანებას, მაგრამ ამ შემთხვევაში მათი მომწიფების

პერიოდი თანატოლი ბიჭების მომწიფებას ემთხვევა, ამიტომ ისინი ნაკლებად გრძნობენ გაუცხოებასა და განსხვავებულობას.

სწრაფი ზრდა ხშირად იწვევს მადის მომატებას. მოზარდები მიირთმევენ ბევრ ტკბილეულსა და მაღალკალორიულ საკვებს. ხშირ შემთხვევაში, დიდ ყურადღებას უთმობენ გარეგნობას. განიცდიან სხეულებრივ ცვლილებებსა და წონის მატებას, კანზე გამონაყარს. სწორედ ამიტომ აღნიშნულ ასაკში იკვეთება კვების რეჟიმის დარღვევის საფრთხე.

უფროს მოზარდებთან ზრდის ტემპი ნელდება. უმჯობესდება ფიზიკური კოორდინაცია. 16 წლის შემდეგ გოგონები ნაკლებად იზრდებიან, ამიტომ ბიჭები ასწრებენ მათ სიმაღლეში, წონაში, ძალაში. ამ ასაკის ბიჭებს უფრო მეტად აინტერესებთ თავიანთი სიმაღლე და ფიზიკური ძალა, გოგონებს კი – გარეგნობა.

შემეცნებითი სფეროს განვითარება

უმცროსი მოზარდი ინტელექტუალურად „კრიტიკოსია“. ფიზიოლოგიურ ცვლილებებთან ერთად, იცვლება მოზარდის აზროვნებაც. ის უკვე უყოყმანოდ აღარ იღებს იმას, რასაც უფროსები ეუბნებიან, არამედ ყველაფერს აკრიტიკებს. მოზარდი არ იზიარებს იმ მოსაზრებებს, რომლებიც ეწინააღმდეგება მის სურვილებს. მისი ცოდნა უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე გამოცდილება. მას კარგად შეუძლია ინფორმაციის დამახსოვრება, მაგრამ ამისთვის შესაფერისი მიზეზი სჭირდება. მართალია, მოზარდი არ იღებს „ბრძანებებს“, მაგრამ ამავე დროს გახსნილია სხვისი აზრის მოსასმენად. მას სურს, თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება. მოზარდს სურს, რომ იყოს წარმატებული გარკვეულ საქმიანობაში, რომელიც მისთვის საინტერესოა. თუკი ამას ვერ ახერხებს, მას შეიძლება განუვიტარდეს არასრულფასოვნების კომპლექსი. მოზარდი მზად არის, განავითაროს თავისი უნარები და შესაძლებლობები. ხშირად უჩნდება სურვილი, გააკეთოს არაპრაქტიკული, ან სულაც შეუძლებელი რამ.

უფროსი მოზარდი ინტელექტუალურად „აქტიურია“. ადრეული მოზარდობისთვის დამახასიათებელ კრიტიკულობას ცვლის მომწიფებულის მსჯელობა. ის ცდილობს, თვითონ გასცეს პასუხი მისთვის მნიშვნელოვან კითხვებს. ოცნებობს გრანდიოზული საქმეების განხორციელებ-

ბაზე, ამიტომ მნიშვნელოვანია დავეხმაროთ მას, დაუკავშიროს ოცნება — რეალობას. მას სიამოვნებს ლოგიკური აბროვნება, არგუმენტების მოყვანა. უფროს მოზარდს შეიძლება ჰქონდეს განცდა, რომ „ყველა-ფერი“ იცის. ადვილად ექცევა თანატოლების, წაკითხული წიგნის, ტელევიზიით ნანახის გავლენის ქვეშ.

აღქმა

მოზარდობის ასაკში აღქმა ხდება დანაწევრებული, სინთეზური და ანალიზური. მოზარდს შეუძლია ობიექტის, მოვლენის, სიტუაციის სრულყოფილი აღქმა.

მეხსიერება

მოზარდობის ასაკში ნებისმიერ მეხსიერებასთან ერთად ვითარდება ლოგიკური მეხსიერებაც (აბრების დამახსოვრება და აღდგენა), რომელიც თანდათან იკავებს წამყვან ადგილს სასწავლო მასალის დამახსოვრებაში. იცვლება მიმართება მეხსიერებასა და აბროვნებას შორის. თუ უმცროს სასკოლო ასაკში მეხსიერებასა და აბროვნებას შორის იყო მჭიდრო ურთიერთკავშირი, უფრო მეტიც, აბროვნების განვითარება უშუალოდ იყო დამოკიდებული მეხსიერებაზე, მოზარდობის ასაკში კი უკვე აბროვნება განსაზღვრავს მეხსიერების ფუნქციონირების თავისებურებებს. ინფორმაციის დამახსოვრებისას მოზარდი ამყარებს ლოგიკურ მიმართებებს მასალის ცალკეულ ელემენტებს შორის და მასალის აღდგენა წარმოადგენს სწორედ ამ მიმართებების რეპროდუქციას.

ამასთანავე, ლოგიკური მეხსიერების განვითარებასთან ერთად, ნელდება მექანიკური მეხსიერების განვითარების პროცესი, რამაც შეიძლება გამოიწვიოს გარკვეული ნეგატიური მოვლენები. საქმე ისაა, რომ მაღალ კლასებში იზრდება დასამახსოვრებელი ინფორმაციის რაოდენობა, მათ შორის ისეთი, რომელიც საჭიროებს მექანიკურ დამახსოვრებას (მაგალითად, ისტორიული თარიღები). მოზარდებს ექმნებათ გარკვეული პრობლემები ასეთი სახის ინფორმაციის დამახსოვრებაში და ისინი უჩივიან ცუდ მეხსიერებას. ამიტომ საჭიროა ვასწავლოთ დამახსოვრების ტექნიკები, რაც მათ გაუადვილებთ სასწავლო მასალის დამახსოვრებას.

ფანტაზია

ფანტაზიას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მოზარდის ცხოვრებაში. ლ. ვიგოტსკი ამბობს – „მოზარდის ფანტაზია – ეს არის ბავშვის თამაში, რომელიც გადაიზარდა ფანტაზიაში“.

მოზარდები ხშირად მიმართავენ შემოქმედებას – წერენ ლექსებს, ხატავენ, მონაწილეობენ სპექტაკლებში. ხშირად ფანტაზია ასრულებს დაცვით ფუნქციას. მოზარდის დაუკმაყოფილებელი სურვილები და მოთხოვნები რეალიზდება მის ფანტაზიებში. ამან შეიძლება მოუტანოს შვება, მოუხსნას დაძაბულობა და შინაგანი კონფლიქტი.

მეტყველება

მეტყველების განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული აზროვნების განვითარებაზე. მოზარდობის ასაკში ეს ვლინდება ბავშვის უნარში – შეადგინოს ზეპირი და ნაწერი ტექსტის გეგმა, ხოლო ტაბუკობის პერიოდში კი შეუძლია ზეპირი გამოსვლის გეგმის შედგენა.

ზეპირი მეტყველების დროს მოზარდს შეუძლია გამოთქვას საკუთარი აზრები და მოიყვანოს არგუმენტები, იმსჯელოს, იკამათოს.

წერითი მეტყველების განვითარება კი გულისხმობს იმას, რომ მოზარდს შეუძლია, დამოუკიდებლად დაწეროს თხზულება როგორც დასმულ საკითხზე, ასევე, თავისუფალი თემა.

ყურადღება

მოზარდობის ასაკში იზრდება ყურადღების მოცულობა, სტაბილურობა, გადაუხრადობა. ამავე დროს, მოზარდებს ხშირად უჭირთ სასწავლო მასალაზე ყურადღების კონცენტრაცია, ვინაიდან მათი ყურადღება შერჩევითია და დამოკიდებულია ინტერესებზე.

აზროვნება

აღნიშნული ასაკის ძირითადი ნიშანი აბსტრაქტული აზროვნების ჩამოყალიბებაა. მოზარდებს უკვე შეუძლიათ ჰიპოთეზების (ვარაუდის) ფორმულირება, გადამოწმება და შეფასება. აზროვნების პროცესში

ისინი ეყრდნობიან არა მხოლოდ თვალსაჩინო ნიშნებს ან ნაცნობ ფაქტებს, არამედ განყენებული იდეებითაც მანიპულირებენ.

კოგნიტური მიმდინარეობის ზოგი მეცნიერი მოზარდებს „ახალგაზრდა მეცნიერებს“ უწოდებს, იმის გამო, რომ ისინი პრობლემის გადაჭრისას იყენებენ მეცნიერულ მეთოდებს (ინდუქციურ და დედუქციურ აზროვნებას). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მათ იციან, რომ ამა თუ იმ შედეგის გამომწვევი ფაქტორების გამოსავლენად საჭიროა, ერთ სიტუაციაში შეიცვალოს მხოლოდ ერთი ელემენტი და არ უნდა შეიცვალოს სიტუაციის სხვა ელემენტები. უმცროსი სასკოლო ასაკის მოსწავლეები, იმავე პრობლემის გადაჭრისას, იყენებენ ცდისა და შეცდომის მეთოდს, რომლის შედეგადაც შეიძლება მიიღონ სწორი პასუხი, მაგრამ მათ არ შეუძლიათ, ლოგიკურად ახსნან თავიანთი გადაწყვეტილება.

ინდუქციური აზროვნების დახმარებით, მოზარდს შეუძლია აზრების სისტემატიზაცია და კრიტიკული ანალიზი. უფრო მეტიც, მას ერთდროულად შეუძლია მოვლენის რამდენიმე პარამეტრის გათვალისწინება და დედუქციური აზროვნება. მაგალითად, მასწავლებელი ეუბნება ბავშვებს – თვითმფრინავის მართვისას მფრინავი შეეჯახა მთას და დაიღუპა. უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვი, სავარაუდოდ, იტყვის – მე ვფიქრობ, ის ცუდი მფრინავი იყო. მოზარდი კი განიხილავს ავარიის გამომწვევ ცველა შესაძლო მიზეზს. ის იტყვის – შეიძლება მან არ იცოდა, რომ მის წინ მთა იყო, ან ძალიან დაბლა მიფრინავდა, ან შეიძლება გაუფუჭდა კომპასი.

- ინდუქციური აზროვნება – კონკრეტული ინფორმაციის განზოგადება და დასკვნის გაკეთება მის საფუძველზე.
- დედუქციური აზროვნება – ზოგადი ინფორმაციი გამოყენება კონკრეტული დასკვნის გასაკეთებლად.

ხშირად მოზარდები ტოვებენ „სულელის“ შთაბეჭდილებას. ეს გამოწვეულია იმიტომ, რომ ისინი პრობლემის (ხშირად მარტივი) გადასაწყვეტად ირჩევენ რთულ გზებს და განიცდიან მარცხს. მოზარდი მიმართავს პრობლემის გადაჭარბებულ ანალიზს და ვერ პოულობს გადაწყვეტილებას. მაგალითად, მოზარდმა შეიძლება 20 წუთი ათვალიეროს მენიუ რესტორანში და ვერ მიიღოს გადაწყვეტილება, ან ძა-

ლიან დიდხანს იფიქროს იმაზე, თუ რა ტანსაცმელი ჩაიცვას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფორმალური ოპერაციების შესრულების უნარი აძლევს მოზარდს საშუალებას, განიხილოს მრავალი ალტერნატივა, მაგრამ ის ამ ახალ უნარს ბოლომდე ვერ აკონტროლებს.

ლოგიკაზე დამყარებული აბსტრაქტული აზროვნება ხელს უწყობს მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების შესწავლას, დაინტერესებას ფანტასტიკით, ფილოსოფიური საკითხებით. აზროვნების ახალ საფეხურზე ასვლა მოზარდებს უბიძგებს, დაფიქრდნენ ისეთ აბსტრაქტულ ცნებებზე, როგორიც არის: სიყვარული, მეგობრობა, ერთგულება, პატიოსნება.

რა თქმა უნდა, ყველა მოზარდი ვერ აღწევს აზროვნების განვითარების ამ დონეს, ამიტომ მათთვის ხშირად დამახასიათებელია ცოდნის ათვისების ვერბალიზმი და ფორმალიზმი, მოზარდი განწყობილია სასწავლო მასალის დამახსოვრებისკენ, და არა გაგებისკენ. თეორიული ცოდნის მხოლოდ ვერბალური (გაგების გარეშე) ათვისების გამო, მათ არ შეუძლიათ ცოდნის გამოყენება. მაგალითად, ამოცანების ამოხსნა მათემატიკაში, გეომეტრიაში, ფიზიკაში. ამან კი შეიძლება ზიანი მოუტანოს მოზარდის გონებრივ განვითარებას, ვინაიდან აღნიშნულ ასაკში მესხიერება, აღქმა, ყურადღება, ემოციები უნდა განვითარდეს ინტელექტუალიზაციის მიმართულებით.

რატომ არ იყენებს ფორმალურ ლოგიკას ყველა მოზარდი?

ეს შეიძლება რამდენიმე მიზეზით აიხსნას:

ადამიანი იყენებს ფორმალურ ლოგიკას იმ სფეროში, სადაც აქვს გამოცდილება. მაგალითად, თუ მე ვარ ქიმიის მასწავლებელი, მე გამოვიყენებ ფორმალურ ლოგიკას აღნიშნულ სფეროში, მაგრამ ვერ შევძლებ მის გამოყენებას ჩემი მანქანის შეკეთებისას (თუ, რა თქმა უნდა, არ მაქვს ამ სფეროში ცოდნა). მოზარდების 90%-ს შეუძლია გადაჭრას რთული ლოგიკური ამოცანა, თუ ეს ნაცნობ სფეროს ეხება.

ბევრი ამოცანა, რომლის გადაწყვეტაც ჩვენ გვიხდება ყოველდღიურ ცხოვრებაში, არ საჭიროებს ფორმალურ ლოგიკას. მათი გადაჭრა წარმატებით შეიძლება ინდუქციური აზროვნებით (ან უფრო მარტივი აზროვნების ფორმებით). ამის გამო ვიძენთ ჩვევას, გამოვიყენოთ ჩვენი ჩვეული აზროვნების ხერხი ახალი ამოცანების გა-

დაჭრისას. თუ ჩვენი ცხოვრების წესი ითხოვს ფორმალურ ლოგიკას დიდი მოცულობით, ეს იწვევს მის განვითარებას.

ამიტომ მხოლოდ იმ მოზრდილებსა და მოზარდებს ახასიათებთ ფორმალური ლოგიკა, რომელთა ცხოვრების წესიც მოითხოვს მის განვითარებას.

თუმცა ზოგადად მოზარდისთვის დამახასიათებელია:

1. აბსტრაქტული აზროვნება (აბსტრაქტული ცნებებით ოპერირება).
2. საკუთარი ინტელექტუალური პროცესების გაცნობიერება და მართვა.
3. ლოგიკური აზროვნება (მრავალი ფაქტორის გათვალისწინება, მიზეზშედეგობრივი კავშირის დადგენა).
4. ჰიპოთეტური აზროვნება (ჰიპოთეზების, ვარაუდების ფორმირება და დამტკიცება).
5. მეტყველების კონტროლი და მართვა.
6. ალქმის, მეხსიერების, ყურადღების ინტელექტუალიზაცია.
7. „ფიქრის“, განწყობის ფორმირება.

რჩევა პედაგოგებს: ლოგიკური აზროვნების მაღალი დონე მიიღწევა მაშინ, როცა ადამიანს აქვს საშუალება, მიიღოს მონაწილეობა დისკუსიაში, დებატებში იმ ადამიანებთან, რომელთაც აქვთ საპირისპირო შეხედულება. ამიტომ მიეცით მოსწავლეებს შესაძლებლობა, ჩამოაყალიბონ თავიანთი იდეები და შეხედულებები, შემდეგ კი „რბილად“ დააყენეთ ისინი ეჭვის ქვეშ.

კარგია სწავლების აქტიური მეთოდების გამოყენებაც, როცა მოზარდი თვითონ აკეთებს რაიმეს, ატარებს ექსპერიმენტს, სვამს კითხვებს.

მოტივაციური სფეროს განვითარება

მოზარდობის ასაკში მნიშვნელოვანი ცვლილებები მიმდინარეობს სასწავლო-შემეცნებითი მოტივების განვითარებაშიც. მოტივები, რომლებსაც წამყვანი ადგილი ეკავათ უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვის აქტივობაში, მოზარდისთვის მნიშვნელოვანი აღარ არის.

უმცროს მოზარდებთან წამყვანია — კლასში გარკვეული ადგილის

დამკვიდრების მოტივი. მათ სურთ, მოიპოვონ თანატოლების აღიარება.

რაც შეეხება შემეცნებითი მოტივების განვითარებას, აქ შეიძლება მოზარდების 3 ჯგუფი გამოვყოთ – ფართე შემეცნებითი ინტერესების მქონე მოსწავლეები, ცალკეული საგნების შესწავლის ინტერესის მქონე მოსწავლეები და გაურკვეველი, ცვლადი, სიტუაციური შემეცნებითი ინტერესების მქონე მოსწავლეები.

სამწუხაროდ, მოზარდების 54%-ისთვის მნიშვნელოვანია შეფასების მიღების მოტივი, და არა ცოდნის მიღების მოტივი.

ჭაბუკობის პერიოდში კიდევ უფრო მეტად იჩენს თავს სასწავლო საგნებისადმი დიფერენცირებული ინტერესი. ეს, ერთი მხრივ, განპირობებულია ჭეშმარიტი შემეცნებითი ინტერესით და, მეორე მხრივ, პრაგმატული ინტერესით (უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვა).

პიროვნული და სოციალური განვითარება

გარდამავალი ასაკის მთავარ სირთულედ მიიჩნევენ კონფლიქტს მშობლებთან და სხვა უფროსებთან, რომლებიც მოზარდთა დამოუკიდებლობისა და ავტონომიისკენ სწრაფვას ეწინააღმდეგებიან. მოზარდის ემოციები არამდგრადია და დამოკიდებულია მის ფიზიკურ მდგომარეობაზე. ხშირად ის მკვეთრად რეაგირებს გარკვეულ სიტუაციაზე – ხმამაღლა ყვირის, იცინის ან უმიზნოდ ტირის. მისი საყვარელი ფრაზაა – „შენ არაფერი არ გესმის“.

როგორც ირკვევა, არც მოზარდთა ემოციური გაუწონასწორებლობა და არც უფროსებთან კონფლიქტი არ წარმოადგენს განვითარების აუცილებელ ატრიბუტს. მოზარდთა დიდი ნაწილი მოზრდილებთან მშვიდობიან და კეთილგანწყობილ ურთიერთობას ინარჩუნებს.

ავტონომიის განსაზღვრებაში ძირითადი აქცენტი კეთდება უფროსების ზეგავლენიდან გათავისუფლებაზე, მაგრამ შეუძლებელია, რომ გარდამავალ ასაკში ადამიანი არ იყოს მათზე დამოკიდებული. სრული თავისუფლება არც მოზარდებისთვის არის ხელსაყრელი, რადგან მათ აფრთხობთ ის პასუხისმგებლობა, რაც თან ახლავს დამოუკიდებლობას. ამასთანავე, მოზარდები ეკონომიურადაც მშობლებზე არიან დამოკიდებულნი.

ამიტომ უფრო სწორი იქნება, თუ ავტონომიას განვიხილავთ, რო-

გორც თვითრეგულაცია. ამ თვალსაზრისით, დამოუკიდებლობა გულისხმობს საკუთარი დასკვნების გაკეთებასა და საკუთარი ქცევის რეგულაციას. სწორედ ამას სწავლობენ მოზარდები. ისინი ოჯახსა თუ სკოლაში შეთვისებული წესების, საზღვრებისა და ღირებულებების გადაფასებას და გადასინჯვას ახდენენ. ამ პროცესში ზოგჯერ წინააღმდეგობებს აწყდებიან უფროსების მხრიდან და ეს იწვევს კონფლიქტს. ხშირია ოჯახური უთანხმოებები, მაგრამ ამ კონფლიქტებს დადებითი მხარეც აქვს: მოზარდი უსაფრთხო, ოჯახურ გარემოში გამოცდის, რა სახის დამოუკიდებლობა შეუძლია მოიპოვოს, რამდენად შეუძლია საკუთარი მოსაზრების დაცვა.

ოჯახის ცხოვრების ამ ეტაპს მეცნიერები აფასებენ, როგორც მშობლებსა და შვილებს შორის ახალ ურთიერთობებზე გადასვლის პერიოდს. არის ოჯახები, სადაც ეს გადასვლა უკონფლიქტოდ ხდება, რადგან მშობლები არ უპირისპირდებიან მოზარდის დამოუკიდებლობის მოთხოვნილებას. პირიქით, აძლევენ საკუთარი ამრის გამოთქმის უფლებას, მხარს უჭერენ, ეხმარებიან და ანუგეშებენ რთულ სიტუაციებში. ასეთ პირობებში გაზრდილი ადამიანი უფრო თავდაჯერებულია და უკეთაა მომზადებული დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის.

ხშირად ისეც ხდება, რომ მოზრდილებიც მონაწილეობენ გადაფასების პროცესში, მინიმუმადე დაჰყავთ „კონფლიქტის ზონები“ და ეხმარებიან მოზარდებს დამოუკიდებელი ამროვნების განვითარებასა და საკუთარი ქცევების მართვის უნარის გავარჯიშებაში. ეს საკუთარ ცხოვრებაზე პასუხისმგებლობის ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი წინაპირობაა. მოზარდები თანდათან სწავლობენ პიროვნული დამოუკიდებლობის შეთავსებას იმ მოვალეობებთან და ვალდებულებებთან, რომლებიც ყველა ნორმალური ურთიერთობის საფუძველს წარმოადგენს.

ახსტრაქტული ამროვნების ჩამოყალიბება კი საკუთარი ამროვნების პროცესის ანალიზის საშუალებას იძლევა.

იწყება თვითშემეცნების რთული პროცესი, პასუხის ძიება კითხვებზე: „ვინ ვარ?“, „როგორი ვარ?“, გამუდმებული დაკვირვება საკუთარ თავზე და იდეალთან შედარება. პარალელურად, მოზარდები სხვათა შეცნობას, სხვების ამრის წვდომას ცდილობენ.

საკუთარი ცვლილებების მიმართ გაძლიერებული ყურადღება იწვევს მოზარდების გარკვეულ „ეგოცენტრიზმს“. მათ მიაჩნიათ, რომ

მათი ქცევა ისევე საინტერესოა ირგვლივ მყოფთათვის, როგორც მათთვის. მოზარდებს პატარებზე მეტად აინტერესებთ, რას ფიქრობენ მათზე სხვები – ისინი თითქოს წარმოსახვითი აუდიტორიის წინაშე დგანან. 15-16 წლის ასაკისთვის ასეთი ევოცენტრიზმი იკლებს; მოზარდები თანდათან ხვდებიან, რომ გარშემომყოფები არ არიან ასე დაინტერესებული მათი პიროვნებით და არც ისეთი უნიკალური და განსაკუთრებულები არიან, რომ საყოველთაო ყურადღებას იმსახურებდნენ.

პიროვნული დამოუკიდებლობა, პირველ რიგში, იდენტობის ჩამოყალიბებასთან არის დაკავშირებული. **იდენტობის ჩამოყალიბება, ანუ თვითგამორკვევა**, ხანგრძლივი, რთული და ზოგჯერ არც თუ ისე უმტკივნეულო პროცესია. მოზარდის წინაშე რთული ამოცანა დგება: შეკრიბოს და გააერთიანოს ინფორმაცია საკუთარი თავის შესახებ (როგორი შვილი, და ან ძმა, მოსწავლე, სპორტსმენი ვარ) და მოახდინოს ამ მრავალრიცხოვანი „მე“-ს ხატების ინტეგრაცია პიროვნულ იდენტობაში. თუ მოზარდი წარმატებით გადაწყვეტს თავის ფსიქო-სოციალურ იდენტიფიკაციას, ის გააცნობიერებს იმას, თუ „ვინ“ არის და რა უნდა.

მოზარდის პიროვნების განვითარებაში ცენტრალური ადგილი უკავია **თვითშეფასებას – თვითშემეცნების კომპონენტი, რომელიც შეიცავს ცოდნასა და შეფასებას პიროვნების ფიზიკური მახასიათებლების, უნარების, მნეობრივი თვისებების და ქცევის შესახებ**. თვითშეფასება მიუთითებს იმაზე, თუ რამდენად თვლის მოზარდი საკუთარ თავს – მნიშვნელოვან, ნიჭიერ, წარმატებულ და ღირსეულ პიროვნებად. თვითშეფასებაზე დამოკიდებული მოზარდის ფსიქიკური ჯამრთელობა, სოციალური ადაპტაცია, სწავლა და პროფესიის არჩევა. მისი ჩამოყალიბება ხდება ბავშვის აქტივობისა და პიროვნებათმორისი ურთიერთობის პროცესში. თვითშეფასება შეიძლება იყოს ადეკვატური, დაბალი და მაღალი.

ადეკვატური თვითშეფასების მქონე მოზარდები არიან საკუთარ ძალებში დარწმუნებული, თვითკრიტიკულები; აქვთ მაღალი საზოგადოებრივი და პიროვნული სტატუსი, ფართე შემეცნებითი ინტერესები, მაღალი აკადემიური მოსწრება.

მაღალი თვითშეფასების მქონე მოზარდებს ხშირად აქვთ შეზღუდული შემეცნებითი ინტერესები და ძირითად მიმართულნი არიან ღარიბი შინაარსის მქონე ურთიერთობებზე.

დაბალი თვითშეფასების მქონე მოზარდები კი მიდრეკილნი არიან დეპრესიისკენ.

თვითშეფასების მახასიათებლები თავს იჩენს მოზარდის ქცევაში. დაბალი თვითშეფასების დროს მოზარდი მიისწრაფვის მარტივი ამოცანების გადაწყვეტისკენ, რაც აფერხებს მათ განვითარებას. მაღალი (გადაჭარბებული) თვითშეფასებისას (რაც ამ ასაკში იშვიათია), მოზარდი გადააფასებს თავის შესაძლებლობებს და ცდილობს იმ ამოცანების გადაჭრას, რაც მას არ ხელეწიფება.

აგრესიული მოზარდებისთვის დამახასიათებელია უკიდურესად მაღალი ან უკიდურესად დაბალი თვითშეფასება.

მოზარდი, თვითშეფასების ფორმირებისას, ყურადღებას ამახვილებს: აკადემიურ მოსწრებაზე, გარეგნობაზე, ფიზიკურ ძალაზე, ქცევაზე და სოციალური აღიარებაზე. მოზარდობის ასაკში გოგონებს უფრო დაბალი თვითშეფასება აქვთ, ვიდრე ბიჭებს, ვინაიდან მათი თვითშეფასება ძირითადად დაკავშირებულია მათი გარეგნობის შეფასებასთან.

მოზარდობის ასაკში ადგილი აქვს შემდეგ ცვლილებებს:

- თვითშეფასებისას მოზარდი ყურადღებას ამახვილებს არა სასწავლო საქმიანობაზე, არამედ ფიზიკურ მახასიათებლებსა და ურთიერთობაზე თანატოლებთან.
- თვითკრიტიკულობის განვითარებიდან გამომდინარე, მოზარდის თვითშეფასება უფრო ადეკვატური ხდება. მას შეუძლია გააცნობიეროს როგორც საკუთარი დადებითი, ასევე, უარყოფითი თვისებები.
- თვითშეფასებაში აისახება არა მხოლოდ ფიზიკური ნიშნები, არამედ მნიშობრივი მახასიათებლები და უნარები.
- მცირდება უფროსების გავლენა ბავშვის თვითშეფასებაზე და იზრდება რეფერენტული ჯგუფის გავლენა.
- არაადეკვატურმა თვითშეფასებამ შეიძლება უბიძგოს მოზარდს დელინკვენტური (კანონსაწინააღმდეგო) ქცევისკენ.

იდენტობისა და თვითშეფასების ჩამოყალიბებაში ოჯახსა და სკოლას უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია. მშობლები და პედაგოგები, რომლებიც კარგად ართმევენ თავს თავიანთ ფუნქციებს, ერთი მხრივ,

უქმნიან მოზარდებს დაცულობისა და მხარდაჭერის ატმოსფეროს. მოზარდი გრძნობს, რომ ის უყვართ ისეთი, როგორიც არის, ხოლო, მეორე მხრივ, იგივე მშობლები და პედაგოგები ხელს უწყობენ მოზარდის ჩამოყალიბებას დამოუკიდებელ, ქმედუნარიან პიროვნებად. სწორედ უსაფრთხო, მზრუნველ გარემოში არის შესაძლებელი დამოუკიდებელი პიროვნების ჩამოყალიბება.

გარდამავალ პერიოდში განსაკუთრებით იზრდება თანატოლთა ჯგუფების მნიშვნელობა. ფიზიკური, ემოციური და სოციალური ცვლილებებით გამოწვეულ პრობლემებთან გასამკლავებლად მათ თანაგრძნობა და მხარდაჭერა ესაჭიროებათ. ამას კი, ბუნებრივია, იმათთან ეძებენ, ვისაც მსგავსი განცდები და პრობლემები აქვთ, ანუ თანატოლებთან.

მოზარდისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია თანატოლებთან ურთიერთობა და მათი აზრი. ყოველი მოზარდი ოცნებობს ნამდვილ მეგობარზე, რომელსაც შეიძლება ბოლომდე ენდოს. მეგობარში ის ეძებს მსგავსებას, მიღებას, გაგებას. შეიძლება ვთქვათ, რომ მოზარდობის ასაკში მეგობარი ფსიქოთერაპევტის როლს ასრულებს. მათი ასაკისთვის დამახასიათებელი მაქსიმალიზმიდან გამომდინარე, ერთი მხრივ, აქვთ სურვილი, ჰყავდეთ ერთადერთი ერთგული მეგობარი და, მეორე მხრივ, — ხშირად იცვლიან მეგობრებს. მოზარდები არ პატიობენ მეგობარს ღალატს.

უმცროსი მოზარდები უფრო ხშირად მეგობრობენ თავისივე სქესის, სოციალური სტატუსისა და შესაძლებლობების ბავშვებთან (ხანდახან შეიძლება კონტრასტული თვისებების მქონე მეგობარიც შეარჩიონ). უფროსი მოზარდები კი მეგობრობენ ორივე სქესის ბავშვებთან.

თანატოლთა წრე მნიშვნელოვან როლს ასრულებს მოზარდის სოციალური უნარ-ჩვევების განვითარებაში. ამ წრეში არსებული თანასწორუფლებიანი ურთიერთობები ხელს უწყობს სოციალური კომპეტენციის ჩამოყალიბებას. მოზარდები, რომლებიც აპროტესტებენ უფროს ჯგუფში არსებულ წესებს, მკაცრად იცავენ თანატოლთა ჯგუფში არსებულ ნორმებს და ითვისებენ ჯგუფისადმი სოლიდარობას, ცდილობენ ჯგუფში არსებული წესების დაცვას, ადგილის დამკვიდრებას.

ურთიერთობისას მოზარდები თანატოლებთან შედარებას ცდილობენ და ამის საფუძველზე აფასებენ თავიანთ შესაძლებლობებსა და ქცევას. შეფასებისას, მოზარდები აქცენტს აკეთებენ გარეგნობა-

სა და იმ პიროვნულ თვისებებზე, რომელიც პოპულარობას უწყობს ხელს.

მოზარდების იერი (ვარცხნილობა, ჩაცმულობა) ხშირად გაღიზიანებას იწვევს უფროსებში, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ მოზარდები სწორედ უფროსებისგან განსხვავებულ ჩაცმის სტილს ირჩევენ, რითაც პროტესტს უცხადებენ საზოგადოებაში დამკვიდრებულ ნორმებს, იმავდროულად, ჩაცმის სტილით გამოხატავენ გარკვეული ჯგუფისადმი მიკუთვნებულობას. იმავე ფუნქციას ასრულებს ლაპარაკის მანერა, მუსიკა, რომელსაც უსმენენ. ეს ყველაფერი მოზარდთა სუბკულტურას წარმოადგენს.

მოზარდებისთვის დამახასიათებელია „მოზრდილობის“ გრძნობის ჩამოყალიბება. ამიტომ ისინი ხშირად ბაძავენ უფროსებს – ეწვეიან, სვამენ, ახდენენ მოზრდილთა ურთიერთობების კოპირებას. მოზარდი საკუთარ თავს თვლის მოზრდილად და ითხოვს ადეკვატურ მოპყრობას. ამავე დროს, სულაც არ აწუხებს, რომ უფლებას გაცილებით მეტს ითხოვს, ვიდრე ვალდებულებასა და პასუხისმგებლობას. დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა გამოიხატება იმაშიც, რომ ის უარს ამბობს კონტროლსა და დახმარებაზე. მოზარდისგან ხშირად შეიძლება გავიგონოთ: „მე ყველაფერი ვიცი“.

მოზარდის ფსიქიკას ახასიათებს პოლარობა:

- მიზანმიმართულია და, ამავე დროს, იმპულსური.
- თვითდაჯერებული და, ამავე დროს, თავის თავში დაურწმუნებელი.
- ურთიერთობის მოთხოვნილება იცვლება მარტოობის სურვილით.
- ხან მორიდებულია, ხან კი თავხედი.
- ხან ცინიკურია, ხან რომანტიკული.
- ხან აგრესიულია, ხან თბილი.

პროსოციალური ქცევა

პროსოციალური ქცევა გულისხმობს ისეთ აქტივობას, რომელსაც მოაქვს სარგებელი, ეხმარება და ხელს უწყობს სხვა ადამიანებს. არსებობს მაღალი კორელაცია მორალურ მსჯელობასა და პროსოციალურ ქცევას შორის, თუმცა არა აბსოლუტური. შეიძლება მოზარდმა

მიიღოს სწორი ზნეობრივი გადაწყვეტილება, მაგრამ არ შეასრულოს ის სიზარმაცის, შიშის ან პირადი ინტერესის გამო. მორალური გადაწყვეტილების მიღება აუცილებელია, მაგრამ არასაკმარისი, პროსოციალური ქცევის განხორციელებისათვის. მეორე მხრივ, მოზარდის პროსოციალურ ქცევას შეიძლება ჰქონდეს ეგოისტური მოტივი. მაგალითად, მოზარდი შეიძლება დაეხმაროს მეგობარს მათემატიკის დავალების შესრულებაში, მხოლოდ იმიტომ, რომ შემდეგ ის დაეხმაროს ქიმიის გაკვეთილის მომზადებაში.

მოზარდის პროსოციალური და მორალური ქცევის ჩამოყალიბებაზე გავლენას ახდენს:

სქესობრივი მომწიფება. მოზარდობის პერიოდში მნიშვნელოვანი ფაქტორია სქესობრივი მომწიფება, რომელიც იწვევს სქესობრივ აღგზნებასა და რომანტიკულ სიყვარულს. ორივე მოვლენამ შეიძლება ხელი შეუწყოს როგორც პროსოციალურ, ასევე, ანტიპროსოციალურ ქცევას.

მოვლენის სხვა პოზიციიდან დანახვის უნარი. კოგნიტური უნარების განვითარება, ასევე, ახალი გამოცდილება აძლევს მოზარდს საშუალებას, უკეთ გაიგოს სხვისი პოზიცია.

მორალური მსჯელობა. რაც უფრო განვითარებული აქვს მოზარდს მორალური მსჯელობა, მით მეტია ალბათობა, რომ ის მიიღებს მორალურ გადაწყვეტილებას.

ემპათია. რაც უფრო განვითარებული აქვს მოზარდს ემპათიის (თანაგანცდა) განცდა, მით უფრო მეტად განხორციელებს ის პროსოციალურ ქცევას.

პიროვნება. აგრესიული მოზარდები უფრო მეტად არიან მიდრეკილი ანტიპროსოციალური ქცევისკენ.

ოჯახი. მშობლები, რომლებიც ეხმარებიან, მხარს უჭერენ მოზარდს, ხელს უწყობენ მის მორალურ განვითარებას.

თანატოლები. თანატოლებმა შეიძლება ხელი შეუწყონ როგორც პროსოციალურ, ასევე, ანტიპროსოციალურ ქცევას.

სკოლა. ბავშვების მცირე რაოდენობა კლასსა და სკოლაში, სკოლის „კლიმატი“ ხელს უწყობს პროსოციალური ქცევის განვითარებას.

კულტურა. მოზარდზე გავლენას ახდენს მისი ქვეყნის კულტურისთვის დამახასიათებელი ნორმები და ღირებულებები.

რეკომენდაციები:

ვაჩვენოთ და ვაგრძნობინოთ მოზარდებს სითბო და სიყვარული; ვაგრძნობინოთ მხარდაჭერა; თავი ავარიდოთ ზედმეტად მკაცრი დისციპლინური ნორმების გამოყენებას; რაციონალურად ავუხსნათ ქცევის წესები; მივცეთ საშუალება, დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება; ვაჩვენოთ მორალური ქცევის მაგალითები.

- **საინტერესო ფაქტი:** ახდენს თუ არა გავლენას ადამიანზე ძალადობის სცენების ყურება ტელევიზიით? ის, ვინც რეგულარულად უყურებს მსგავს სცენებს, ძალადობასა და აგრესიას აღიქვამს, როგორც ნორმალურ და მისაღებ ქცევის ფორმას.
- **შეუძლია თუ არა მაღალი მორალური პრინციპების მქონე ადამიანს, დაარღვიოს კანონი?** დიახ, თუკი ის თვლის, რომ კანონი უსამართლოა. თუ ამორალური ადამიანი არღვევს კანონს საკუთარი კეთილდღეობისთვის, ზნეობრივი ადამიანი არღვევს კანონს სხვა ადამიანების კეთილდღეობისთვის.

უმცროსი მოზარდობის პერიოდის პოზიტიური ცვლილებები:

- მოზრდილობის გრძნობის გაჩენა ინტელექტუალურ, მორალურ და ყოფით სფეროში.
- საკუთარი გარეგნობის მიმართ ყურადღება.
- საკუთარი თავის მიმართ ემოციურ-ღირებულებითი დამოკიდებულება.
- თვითშეფასების, თვითშემეცნების, თვითრეგულაციის ზრდა.
- ურთიერთობის წრის გაზრდა.
- ცოდნისა და უნარ-ჩვევების დამოუკიდებლად შეძენის სურვილი.
- აქვს სურვილი, იყოს სხვებზე უკეთესი.
- გაცნობიერებული, შემეცნებითი მოტივაცია.
- ახალი სოციალური როლის დაუფლება – არის უფროსის საყრდენი და მხარში მდგომი.

უმცროსი მოზარდობის ნეგატიური გამოვლინებები:

- ეგოცენტრიზმი.

- უფროსების მიზანმიმართული მანიპულაცია.
- ფიზიკური განვითარება წინ უსწრებს ფსიქიკურ განვითარებას.
- მოწყვლადი, არამდგრადი ფსიქიკა.
- ნეგატიური დამოკიდებულება უფროსებისადმი (მშობლები, მასწავლებლები).
- კონფლიქტი საკუთარ თავთან და გარშემომყოფებთან.
- მარტოობის შიში (ფიქრები სუიციდზე).
- მიდრეკილება ალკოჰოლის, სიგარეტის, ნარკოტიკებისადმი (რისკის ჯგუფი).

უფროსი მოზარდობის პერიოდის პოზიტიური ცვლილებები:

- მოზღვავებული ენერჯია.
- ფიზიკური მომწიფება.
- ფორმალური აზროვნების განვითარება.
- შემოქმედებითობა და აქტიურობა.
- მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ძიება.
- საკუთარი შინაგანი სამყაროს აღმოჩენა, საკუთარი უნიკალურობის გაცნობიერება.
- საკუთარი ქცევის მართვის უნარი.
- სიყვარულის, მეგობრობის გრძნობის განვითარება.
- ახალი, მეგობრული ურთიერთობების სურვილი.
- ფსიქო-სექსუალური იდენტობა, გენდერული როლის დაუფლება.
- თვითანალიზი (რეფლექსია).
- მყარი „მე“-ხატის ჩამოყალიბება.
- პიროვნული და პროფესიული თვითგამორკვევა.

უფროსი მოზარდობის ასაკის ნეგატიური გამოვლინებები:

- არაადეკვატური თვითშეფასება (მაღალი ან დაბალი).
- დამოკიდებულ ადამიანებთან ურთიერთობისას მაღალი შფოთვა.
- ჭარბი ყურადღება საკუთარი გარეგნობისადმი.
- მარტოობის შიში (ეშინია, რომ სხვები ვერ გაუგებენ).

რჩევები პედაგოგებს:

1. დაეხმარეთ მოსწავლეებს, მოიძიონ რესურსები პირადი პრობლემების მოსაგვარებლად.
 - წაახალისეთ, რომ დახმარებისთვის მიმართონ სკოლის ფსიქოლოგს.
2. მოითმინეთ გარდატეხის ასაკში მყოფი მოზარდის უცნაური ახირებები, თუკი ამით სხვას არ აწუხებენ ან სასწავლო პროცესს არ უშლიან ხელს.
3. ნუ გააკრიტიკებთ მკაცრად მათ ჩაცმულობას თუ ვარცხნილობას.
4. ხელი შეუწყვეთ მათ სწრაფვას სრულყოფისკენ. მოზარდს შეიძლება არაერთი „მეორე შანსი“ დასჭირდეს.
 - აუხსენით მოსწავლეებს, რომლებიც „ცუდად“ იქცევიან და არც დავალებებს ასრულებენ სათანადოდ, რა შედეგს მოუტანს ასეთი ქცევა თვითონ მათ და ახლობლებს.
 - მიეცით მოსწავლეებს ნიმუშები, რათა თავიანთი ნაშრომი კარგ მაგალითს შეადარონ.
 - მოსწავლეები „იზომებენ“, „ირგებენ“, „ცდიან“ სხვადასხვა როლს, ამიტომ გამოყავით როლი პიროვნებისგან – გააკრიტიკეთ ქცევა, და არა მოსწავლე.
5. ყურადღება მიაქციეთ მოულოდნელ ცვლილებებს (უხასიათობა, გაღიზიანება, ყურადღების კონცენტრაციის მოდუნება, მუდმივი დაღლილობა ან ზედმეტი ენერჯიულობა) ქცევაში, რომლებიც შეიძლება პრობლემებზე მიუთითებდეს.
 - შეატყობინეთ მშობლებს მოსწავლის სტრესის ნიშნები.
6. ესაუბრეთ მოსწავლეს მასში მომხდარ ცვლილებებზე.
 - იყავით კარგი მსმენელი. მოსწავლეს შეიძლება არ ჰყავდეს მისი პრობლემებით დაინტერესებული სხვა უფროსი ადამიანი.
7. დაეხმარეთ მოსწავლეებს პოზიტიური თვითშეფასების ფორმირებაში.
 - მოუწონეთ კარგად შესრულებული სამუშაო.
 - ყურადღება გაამახვილეთ მათ ნიჭსა და უნარებზე.
 - დააფასეთ ყველა მოსწავლე, მათი მცდელობები და მიღწევები.

ინდივიდუალური თავისებურებები მოზარდებში

ტრადიციულად, სკოლაში მოზარდის მიმართ ინტერესს იჩენენ, როგორც გარკვეული ინტელექტისა და უნარების მფლობელის, და არა როგორც პიროვნების, გარკვეული ხასიათის მქონის სუბიექტის მიმართ. ხასიათზე საუბარს, ჩვეულებრივ, უარყოფითი შეფერილობა აქვს ხოლმე. „ხასიათის გამოჩენა გადაწყვიტა“, „ჰმ, ... ხასიათი ჰქონია“. განსაკუთრებით ბევრ საზრუნავს ვაწყდებით ცოცხალ, მოძრავ და ძლიერი ხასიათის მქონე მოზარდებთან.

ხასიათი განისაზღვრება, როგორც ადამიანის ფსიქიკური მახასიათებლების მყარი ერთიანობა, რომელიც განსაზღვრავს ინდივიდისთვის დამახასიათებელ, ტიპურ ქცევას, გარკვეულ ცხოვრებისეულ სიტუაციებზე და პირობებში. ხასიათი გამოვლინდება: სხვა ადამიანებთან ურთიერთობისას (კომუნიკაბელური – გულჩათხრობილი, ტაქტიანი – უხეში), საქმეში (პასუხიმგებლობა – უპასუხისმგებლობა, შრომისმოყვარეობა – სიზარმაცე), საკუთარი თავის მიმართ (მორიდებული – ბაქია, ამაყი – დამცირებული), ქონების მიმართ (გულუხვი – ძუნწი, ყაირათიანი – მფლანგველი)...

ხასიათი მჭიდროდაა დაკავშირებული მორალთან, მსოფლმხედველობასთან, რწმენასთან, რაც განაპირობებს ინდივიდის სოციალურ პოზიციას. ხასიათის მყარი ბუნება არ გამორიცხავს მის პლასტიურობას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ხასიათის მიზანმიმართული ფორმირებისთვის.

მოზარდის დამოკიდებულება საკუთარი ხასიათის მიმართ.

12-14 წლის ასაკში ფორმირდება „მეს“ ის კომპონენტები, რომლებიც დაკავშირებულია საკუთარ მე-სა და სხვებს შორის მსგავსება-განსხვავების გაცნობიერებასთან. 15-18 წლის ასაკში პირველ პლანზე გადმოდის სოციალური და პროფესიული თვითგანსაზღვრულობა, ცხოვრების გზის არჩევანი, საკუთარი ადგილის განსაზღვრა ცხოვრებაში.

14 წლის ასაკში იზრდება სწრაფვა თვითდაკვირვებისკენ, მცირდება „მე-ხატის“ სიმყარე, მცირდება ზოგადი თვითპატივისცემის დონე, არსებითად იცვლება ზოგიერთი თვისების თვითშეფასება. მოზარდებს, გაცილებით უფრო ხშირად, ვიდრე პატარა ბავშვებს, ეჩვენებათ, რომ მშობლებს, მასწავლებლებსა და თანატოლებს აქვთ ცუდი

შეხედულება მათზე. ხშირად არიან დეპრესიულ მდგომარეობაში. ეს პროცესები გოგონებთან უფრო გამოხატულია, ვიდრე ბიჭებთან.

15 წლის შემდეგ მდგომარეობა უმჯობესდება, კვლავ შეიმჩნევა თვითპატივისცემის დონის ზრდა, სუსტდება მორცხვობა, უფრო მყარი ხდება თვითშეფასება. მაგრამ სხვადასხვა საკითხზე წუხილი, ფიქრი 15 წლის მოზარდებს გაცილებით მაღალი აქვთ, ვიდრე მცირე ასაკის მოსწავლეებს. 17-18 წლებში დგება სტაბილიზაციის ხანა.

ყველაფერი ეს უფრო აერთიანებს მოზარდებს ერთ კატეგორიაში, ვიდრე ყოფს მათ. ამ კატეგორიის მახასიათებლებია – სენსიტიურობა (მგრძობიარობა) ყველაფერი იმის მიმართ, რაც მათ პიროვნებას, ხასიათს, ქცევას ეხება. ამის შემჩნევა შეიძლება ყველაფერში. მოზარდები გაცილებით ნაკლებად მომთხოვნი არიან პიროვნულ ურთიერთობებში ისეთი „ნეიტრალური“ საგნების მასწავლებლების მიმართ, როგორცაა ფიზიკა და მათემატიკა, ვიდრე ლიტერატურის, საზოგადოებრივი მეცნიერებების, ანატომიისა და ფიზიოლოგიის მასწავლებლების მიმართ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ისინი უფრო მკაცრად აფასებენ იმ პედაგოგებს, ვინც მოწოდებულია, ისაუბროს პიროვნულად მნიშვნელოვან თემებზე, ყველაფერ იმაზე, რაც ეხება მათ „მე“-ს – სხეულზე, მორალურ პრინციპებზე, ცხოვრების საზრისზე, ფსიქოლოგიაზე, სხვა ადამიანებთან ურთიერთობებზე.

ზოგჯერ მოზარდები აღმოაჩენენ, რომ ზოგიერთი რამ, რასაც ისინი აკეთებენ, ამბობენ და გრძობენ, იწვევს მწვავე ემოციურ განცდებს, საკუთარი თავის მიმართ კრიტიკულ დამოკიდებულებას, თვითპატივისცემის შემცირებას. ცდილობენ რა რაღაცის გამოსწორებას, ისინი, როგორც წესი, აწყდებიან წარუმატებლობას. მოზარდი სიტყვას აძლევს საკუთარ თავს, რომ შეიკავებს ემოციებს და მოიქცევა ღირსეულად, თუმცა მაინც ვერ ახერხებს საკუთარი თავის ხელში აყვანას. ზოგჯერ საკუთარი აზრების, გრძობების ეშინია, რომლებიც მანამდე არ მოსვლია თავში, არ განუცდია. ყველაფერი ეს იწვევს კრიტიკულ დამოკიდებულებას საკუთარი თავის მიმართ.

პედაგოგი უნდა დაეხმაროს მოზარდებს მათთვის მნიშვნელოვანი პრობლემების გადაწყვეტაში. ამიტომ აუცილებელია, ვიცოდეთ შემდეგი:

თვითცნობიერება ან დამოკიდებულება საკუთარი ქცევის, გრძობებისა და აზრების მიმართ, როგორც წესი, ჩნდება 13-15 წლის ასაკში.

მხოლოდ ამის შემდეგ აქვს აზრი მოზარდთან საუბარს იმის შესახებ, რომ მისი ხასიათი და მისი პიროვნება არ არის ერთი და იგივე რამ.

13-15 წლის მოზარდების ხასიათი არის გარკვეული მოცემულობა, თუმცა მკაფიოდ უნდა გავამახვილოთ ყურადღება იმ ფაქტზე, რომ მოზარდები არ არიან დამნაშავეები იმაში, რომ მათი ხასიათი ასეთია. მოზარდები განიცდიან წყენას „შეუსაბამო“ ხასიათის გამო, წუხან მის გამო, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ვერაფერს ვერ ცვლის. ნათელია, რომ მათ არ შეუძლიათ რაიმეს შეცვლა საკუთარი თავის მისამართით გაჟღერებული ბრძანებით, რომ არ გააკეთოს ის, რასაც ითხოვს მისი ხასიათი. ამ დროს მათ საკუთარ თავში რაიმეს „დამტვრევის, დაძლევისა და განადგურების“ საშუალება გვანზრახავს ვერ გაუწევს დახმარებას (საერთოდ, საკუთარ თავზე მიმართული აგრესია უსარგებლოა).

უნდა აღინიშნოს, რომ არ არსებობს კარგი და ცუდი ხასიათი. არსებობენ ადამიანები, რომლებმაც იციან თავიანთი ხასიათის გამოყენება დასახული მიზნების მიღწევისთვის და არსებობენ ადამიანები, რომლებსაც ეშინიათ თავიანთი თავის შეცნობის, ეშინიათ საკუთარი თავის, ამის გამო ისინი ვერ აღწევენ წარმატებასა და დასახულ მიზნებს.

ხასიათის მიმართ კონსტრუქციული დამოკიდებულება შემდეგია — უნდა მიიღო საკუთარი ხასიათი, იმეგობრო მასთან და აღიქვა ის ცხოვრებაში მიზნების დასახვისა და მათი მიღწევის, სამყაროსთან ურთიერთობის ინსტრუმენტად.

ასეთი დამოკიდებულება მოითხოვს მოზარდისგან საკუთარი ხასიათის კარგ ცოდნასა და მის მუდმივ შესწავლას. ამ მიმზიდველ საქმიანობაში მოზარდისთვის დახმარების გაწევა შეუძლიათ მასწავლებლებს და ფსიქოლოგებს.

ყოველ ადამიანს აქვს როგორც თანდაყოლილი, ბუნებრივი ნიშნები და სურვილები, აგრეთვე, სოციალური, კულტურული თვისებებიც. პირველი სახის ნიშნები ფორმირდებიან ადრეულ ბავშვობაში, მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ორგანიზმის თავისებურებებთან, ხშირად გენეტიკურად არიან განპირობებულნი. მეორე სახის ნიშნები კი არის აღზრდის რეზულტატი. ისინი თანდათანობით ყალიბდებიან და სწორედ მათი წყალობით იქცევა ადამიანი ადამიანად.

მომზადების ხასიათში გადახლართულია როგორც ბუნებრივი, ისე სოციალური თვისებები. თუ ადამიანი ისწავლის საკუთარი ბუნებრივი

მოთხოვნილებების სოციალურად მიღებული საშუალებებით დაკმაყოფილებას, შეგვიძლია ვისაუბროთ მის ნორმალურ, სოციალურ ადაპტაციამ. აღსანიშნავია, რომ მოზარდების სოციალური ადაპტაცია რთულად მიმდინარეობს. ერთი მხრივ, მისი ნატურალური მოთხოვნილებები უკვე ჩამოყალიბებულია და მრავალი მათგანი უფრო ძლიერდება სქესობრივი მომწიფების დროს; მეორე მხრივ კი, ქცევის სოციალური, კულტურული რეგულაციის ნორმები ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული. მოზარდები ვერ უმკლავდებიან ახალ გრძნობებს, მწვავე სურვილებსა და შეგრძნებებს. სოციალური ადაპტაციის პროცესი არ აწყდება დაბრკოლებებს და მიმდინარეობს ნორმალურად, თუ არსებობს ჯანმრთელი პარტნიორული ურთიერთობები ოჯახსა და სკოლაში.

ხასიათის აქცენტუაციის ცნება

ადამიანთა უმრავლესობისთვის დამახასიათებელია ბალანსირებული ხასიათი. ეს არის საკმაოდ მოქნილი, სტრესებისადმი გამძლე, შფოთვის ზომიერი დონის მქონე ხასიათი, როცა მგრძნობიარობა არ არის მაღალი და შფოთვის დონეც ზომიერია. ხანდახან ადამიანის ხასიათის ცალკეული თვისებები მეტისმეტად გაძლიერებულია, რასაც ფსიქოლოგები უწოდებენ აქცენტუაციას. შედეგად თავს იჩენს განსაზღვრული ფსიქოგენური ზემოქმედებების მიმართ სელექციური მოწყვლადობა, ხოლო სხვა დანარჩენი სიტუაციების მიმართ ეს ადამიანი საკმაოდ კარგი გამძლეობით გამოირჩევა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გარკვეული აქცენტუაციის მქონე ადამიანისთვის არსებობს ფსიქოლოგიურად რთულად გადასატანი ზოგიერთი სიტუაცია და, ამავდროულად, სიტუაციები, რომლებშიც ის თავს ნორმალურად გრძნობს. ამრიგად, შეგვიძლია ვიწინასწარმეტყველოთ, რა სიტუაციებში იგრძნობს ერთი ადამიანი თავს ადაპტირებულად (განიცდის ძალების მოზღვავებას), ხოლო მეორე – განიცდის დაბნეულობასა და თავდაუხერებლობას, ტანჯვასა და შრომისუნარიანობის დაკარგვას.

ხასიათის აქცენტუაცია არის ნორმის უკიდურესი ვარიანტი, რომლის დროსაც ხასიათის ცალკეული მახასიათებლები მეტისმეტად გაძლიერებულია.

მოზარდობის ასაკი არის ხასიათის ფორმირების პერიოდი. სწორედ ამიტომ, აღნიშნულ პერიოდში მკვეთრად ვლინდება ხასიათის

აქცენტუაცია. ხშირად ოჯახსა და სკოლაში – მშობლები, მასწავლებლები, თანატოლები არ ითვალისწინებენ რა მოზარდის ხასიათის თავისებურებებს, უნებურად, საკუთარი ქცევით ქმნიან იმ პირობებს, რომელშიც მოზარდი განიცდის გაღიზიანებას, დეპრესიას, ტანჯვასა და პროტესტის გრძნობას.

მოზარდის ფსიქოტიპის შესწავლა აძლევს პედაგოგს შესაძლებლობას, მეტ-ნაკლებად განჭვრიტოს მოზარდის ქცევა გარკვეულ სიტუაციაში, დაამყაროს მასთან ოპტიმალური ურთიერთობა, ხელი შეუწყოს მისი პიროვნების განვითარებას.

აქცენტუაციების რაოდენობის განსაზღვრა საკმაოდ რთულია, რადგან არსებობს ხასიათის მრავალი შერეული ტიპი. გერმანელი მკვლევარი კ. ლეონგარდი გამოყოფს ხასიათის აქცენტუაციის 10 ძირითად ტიპს. გარდა ამისა, არსებობს 20 შერეული ტიპი, როცა ერთი ტიპის ნიშნები ერწყმის მეორე ტიპის ნიშნებს.

ქვემოთ განვიხილავთ კ. ლეონგარდის მიერ გამოყოფილ ხასიათის ტიპებს.

ჰიპერთიმიული ტიპი

ძირითადი მახასიათებლები. მოზარდი აქტიური, დამოუკიდებელი, ცელქია. უჭირს დისტანციის დაცვა უფროსებთან ურთიერთობისას. ამბობენ, რომ ასეთი მოზარდები ბავშვობიდანვე იყვნენ ხმაურიანები, უყვარდათ თანატოლებთან ურთიერთობა და ლიდერობა. ძირითადად, კარგ ხასიათზე არიან, მაღალი ცხოვრებისეული ტონუსი განაპირობებს საკუთარი შესაძლებლობებისა და უნარების გადაფასებას. უყვართ საკუთარი თავის „ჩვენება“, ტრაბახი. სურვილი აქვთ, მომგებიანი კუთხით წარდგნენ გარშემომყოფების თვალში. უცნობ ადამიანთან კონტაქტში შესვლა არ წარმოადგენს მათთვის პრობლემას. მიემართებიან იქით, სადაც „ცხოვრება დულს“, ამიტომ შეიძლება აღმოჩნდნენ არასასურველ გარემოში, ასოციალურ ჯგუფში.

ხასიათის ძლიერი მხარეები. კომუნიკაბელობა, აქტიურობა, ოპტიმიზმი, მაღალი ცხოვრებისეული ტონუსი, გულუხვობა, შინაგანი კონფლიქტების არარსებობა, გამძლეობა, მოხერხებულობა არასტანდარტულ და სტრესულ სიტუაციებში, მზაობა – საკუთარ თავზე აიღოს პასუხისმგებლობა.

ხასიათის სუსტი მხარეები. ზედაპირულობა, „მსუბუქი“ დამოკიდებულება მორალისა და კანონების მიმართ, უპასუხისმგებლობა, ფამილარობა, რისკიანობა, თავჯარიანობა, უხეშობა (ბოროტი განზრახვის გარეშე).

კონფლიქტური სიტუაციები.

- მკაცრი რეგლამენტი, დისციპლინური მოთხოვნების მიმართ მკაცრი მორჩილება.
- ფიზიკური აქტივობის შეზღუდვა, უმოქმედობა.
- ურთიერთობის შეზღუდვა, მართლობა.
- უფროსის მხრიდან მკაცრი კონტროლი და უნდობლობა. გადაჭარბებული მზრუნველობა.

საპროტესტო რეაქციები. ბრაზით ფეთქდებიან, მათი აგრესიულობა მიმართულია გარე სამყაროსკენ, გარშემომყოფი ადამიანებისა და ნივთებისკენ. უფრო სერიოზულ შემთხვევებში მათი პროტესტი ყოველთვის მოქმედებაში გამოიხატება (ისინი ქცევას ახორციელებენ, და არ საუბრობენ) – სახლიდან გაქცევა, ჯგუფის წევრების საწინააღმდეგო ქმედება, ალკოჰოლიზაცია. ყველაფერ ამას ჰიპერთიმიური მობარდი აკეთებს იმ ჯგუფში, სადაც თავს ლიდერად გრძნობს.

რეკომენდაციები:

- აუცილებელია ისეთი სიტუაციების შექმნა, სადაც მობარდი გამოავლენს აქტივობას. პედაგოგის ამოცანაა, წარმართოს მობარდის ენერჯია და ძალა სასარგებლო მიმართულებით, და არ შეზღუდოს მისი აქტივობა. სასურველია, დაავალოთ გარკვეული საქმეების ორგანიზება, სადაც საჭიროა – სისწრაფე, მრავალფეროვნება, გონებამახვილობა. სასურველია, იარონ სპორტზე. განსკუთრებით კარგია ცურვა, აღმოსავლური ორთაბრძოლა, რომელიც ხელს უწყობს თვითკონტროლისა და თვითდისციპლინის განვითარებას.
- ყოველდღიურმა ზედამხედველობამ, ჭკუის დარიგებამ (განსაკუთრებით, სხვების თანდასწრებით), შეიძლება გამოიწვიოს დაუმორჩილებლობა, მიღებული წესების მიზანმიმართული დარღვევა, და-

მოუკიდებლობისათვის ბრძოლის გაძლიერება. არ შეიძლება როგორც წვრილმანებზე კონტროლი, ასევე, კონტროლის ნაკლებობა. მოერიდეთ ურთიერთობის დირექტიულ სტილს. მოზარდთან საუბარი უნდა წარიმართოს ცოცხალ და სწრაფ ტემპში, არ უნდა შეჩერდეთ დიდხანს ერთ თემაზე, ხშირად გადაეცით საუბრის ინიციატივა თვითონ მოზარდს, დაიცავით დისტანცია.

- **სასურველი საქმიანობა** – სპორტი; თეატრი; სამუშაო, რომელიც დაკავშირებულია აქტიურ კომუნიკაციასთან და ორგანიზაციულ საქმიანობასთან.
- არ მოსწონთ სამუშაო, რომელიც მოითხოვს სიზუსტეს და სისტემატურობას. ხშირად იცვლიან პროფესიას და სამუშაო ადგილს.

დემონსტრაციული ტიპი

ძირითადი მახასიათებლები. ამ ტიპის ძირითადი მახასიათებელია ეგოცენტრიზმი და დაუოკებელი წყურვილი მისი პიროვნების მიმართ მუდმივი ყურადღებისა და აღფრთოვანების გამოვლენისა. უარეს შემთხვევაში, ურჩევნიათ, მათ მიმართ გამოავლინონ ბრაზი ან ზიზღი, მაგრამ არა – გულგრილობა: ისინი არ უნდა დარჩნენ შეუმჩნეველნი.

საკუთარი პიროვნების მიმართ ყურადღების მისაქცევად იყენებენ ტყუილს, ფანტაზიას, ეშმაკობას. ახასიათებთ მათთვის არასასურველი მოვლენებისა და ფაქტების ფსიქიკიდან განდევნა (დავიწყება).

ხასიათის ძლიერი მხარეები. კომუნიკაბელობა და მიზანმიმართულობა, აქტივობა და გონებაშახვილობა, შეუპოვრობა და ინიციატივა, კარგი ორგანიზატორული უნარები, დამოუკიდებლობა და ლიდერობა, ენერგიულობა (თუმცა ენერგიის დახარჯვის შემდეგ განიცდის ძალების დაკარგვას), არტისტიზმი, განვითარებული ინტუიცია, გარდასახვის უნარი, საკუთარი გრძნობებით გარშემომყოფების დამუხტვის უნარი.

ხასიათის სუსტი მხარეები. მტკივნეულად განიცდის უყურადღებობასა და დისკომფორტს. აქვს მიდრეკილება დემაგოგიისკენ, ინტრიგებისკენ, სიცრუისკენ, პირფერობისკენ, ჭირვეულობისკენ, დაუდევრობისკენ. შეუძლია წავიდეს გაუმართლებელ რისკზე (მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჰყავს მყურებელი). ითვალისწინებს მხოლოდ საკუთარ სურვილებს. მაღალი (გადაჭარბებული) თვითშეფასება. ადვილად განაწყენდება, თუ კი მას შეეხებიან.

კონფლიქტური სიტუაციები.

- სიტუაცია, როცა მის მიმართ გულგრილობას იჩენენ. განსაკუთრებით, თუ ეს შეგნებულად ხდება (საკუთარი თავის მიმართ ყურადღების მიქცევის მიზნით, შეიძლება სცადოს თვითმკვლელობაც).
- მისი მიღწევებისა და უნარების კრიტიკა.
- ურთიერთობის წრის შეზღუდვა, იძულებითი მართლობა.
- უხერხულ ან სასაცილო სიტუაციაში აღმოჩენა.
- სიტუაცია, სადაც ნებით თუ უნებლიეთ თავმოყვარეობა შეეღებება.
- მისი მოსაზრებების მხილება და, მით უმეტეს, დაცინვა (განსაკუთრებით საჯაროდ).

საპროტესტო რეაქციები. ხასიათის დემონსტრაციული ტიპის მქონე მოზარდი უპირატესობას ანიჭებს შანტაჟის სხვადასხვა ფორმას: „თუ შენ ამას არ გააკეთებ, მაშინ მე...“ ამას მოსდევს მუქარა, რომელიც მართლაც არ ტოვებს თანამოსაუბრეს გულგრილს. დემონსტრაციული მოზარდები გამჭრიახები არიან და იციან, ვის რისი ეშინია. მშობლების შემთხვევაში, ისინი უპირატესობას ანიჭებენ მუქარებს, რომლებიც თავიანთი თავის მიმართვე არის მიმართული: „მე მოკვდები“, „არ ვიცი, რას ვუბამ ჩემს თავს“ და ა.შ. ამ ტიპის მოზარდებისთვის დამახასიათებელია გარე სამყაროს დამადანაშაულებელი რეაქციები.

რეკომენდაციები:

აგრძნობინეთ მოზარდს, რომ გაინტერესებთ მისი პიროვნება. მობარდთან ურთიერთობა უნდა იყოს მშვიდი, საქმიანი, თანმიმდევრული. გამორიცხეთ მის მიმართ დაუმსახურებელი თავყვანისცემისა და აღიარების სიტუაცია. შეაქეთ მაშინ, როცა ის ამას ობიექტურად იმსახურებს. არ მისცეთ საშუალება, თავი აარიდოს სამუშაოს.

სასურველი საქმიანობა. სამსახური, რომელიც მოითხოვს ხანმოკლე, ცვალებად კონტაქტებს, მსახიობობა.

ფსიქოსთენიური ტიპი

ძირითადი მახასიათებლები. ხასიათის ფსიქოსთენიური ტიპის მქონე მოზარდისთვის დამახასიათებელია მაღალი შფოთვა, სიფრთხილე,

გაუბედაობა, მიდრეკილია თვითანალიზისკენ, ეჭვიანობისკენ, რიტუ-
ალური მოქმედებების შესრულებისკენ. არჩევანის გაკეთება და გადაწ-
ყვეტილების მიღება მათთვის ძალიან რთული ამოცანაა. გადაწყვეტი-
ლების მიღების შემდეგაც ბევრს ფიქრობენ იმასთან დაკავშირებით,
სწორი გადაწყვეტილება მიიღეს თუ – არა. ხასიათის ამ ტიპის მქონე
მოზარდები პესიმისტები არიან, ეშინიათ მომავლის და ელიან წარუმა-
ტებლობას. მუდმივი შფოთვის შესამცირებლად იყენებენ რიტუალებს
და გამოგონილ ნიშნებს.

ხასიათის ძლიერი მხარეები. დისციპლინურობა, შემსრულებლო-
ბა, აკურატულობა, სერიოზულობა, კეთილსინდისიერება; მზრუნვე-
ლობა და უნარი – საკუთარ თავზე აიღონ სხვების ჯანმრთელობასა
და კეთილდღეობაზე პასუხისმგებლობა. ემოციური მიჯაჭვულობა დე-
დასთან, ახლობლებთან. პასუხისმგებლობა მანკიერ საქმეებზე. უნა-
რი – შეამოწმონ და გადაამოწმონ ყველა წვრილმანი (დეტალი.)

ხასიათის სუსტი მხარეები. გაუბედაობა, უინიციატივობა, მიდრეკი-
ლება დაუსრულებელი განსჯისა და თვითკრიტიკისკენ, ახასიათებთ
აკვიატებული იდეები.

კონფლიქტური სიტუაციები:

- სიტუაცია, როცა აუცილებელია დამოუკიდებელი გადაწყვეტილე-
ბის მიღება.
- სიტუაცია, როცა საჭიროა ყურადღების სწრაფი გადატანა ერთი აქ-
ტივობიდან მეორეზე.
- სიტუაცია, როცა დავალების შესრულებისას არ ეძლევათ მკაფიო
მითითება და ინსტრუქცია.
- საშინი ან შფოთვის გამომწვევი სიტუაცია.
- სიტუაცია, როცა აკრიტიკებენ მას ან მის ქცევას.
- სიტუაცია, რომელიც იწვევს ხანგრძლივ ფიზიკურ ან ფსიქოლო-
გიურ გადატვირთვას.

საპროტესტო რეაქციები. პროტესტის ფორმით ემსგავსებიან სენ-
სიტიური ტიპის მოზარდებს. მათი პროტესტი იღებს ვერბალურ სახეს
– „ბუზღუნებენ“, წყრებიან, თუმცა ყოველთვის თავს არიდებენ რაიმე
ქცევის განხორციელებას, ყველაფერში საკუთარ თავს ადანაშაულებ-
ენ.

რეკომენდაციები:

- პედაგოგი უნდა დაეხმაროს მოზარდს, დაძლიოს გაუბედაობა და, ხანდახან, არასრულფასოვნების განცდაც. ასეთი ხასიათის აქცენტუაციის მქონე მოზარდთან ურთიერთობისას, მუდმივად არ უნდა მიუთითოთ პასუხისმგებლობის გრძნობაზე. მხარი უნდა დაუჭიროთ მისი მხრიდან გამოვლენილ ნებისმიერ აქტივობას, არ შეიძლება მისი ინიციატივის დაცინვა ან ჩახშობა. მოზარდს უნდა შეუქმნათ წარმატების განცდა. ის უნდა შეადაროთ მხოლოდ საკუთარ თავს, უნდა შეაქოთ პირადი შედეგების გაუმჯობესებისას.
- მათთვის კომფორტულია მშვიდი სიტუაცია, სადაც შესასრულებელი სამუშაო წინასწარ არის ცნობილი და არ არის საჭირო გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება. თუმცა საჭიროა, ხელი შევუწყოთ მისი მხრიდან ინიციატივის გამოვლენას და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებას. ხშირად შეაქეთ (რა თქმა უნდა, დამსახურებისთვის). მიეცით შესაძლებლობა, განახორციელოს საყვარელი საქმიანობა.

სასურველი საქმიანობა. სამუშაო, რომელიც საჭიროებს აქტივობის ინდივიდუალურ სახეს. არ არის რეკომენდებული ხელმძღვანელის თანამდებობა და პროფესია, რომელიც დაკავშირებულია მაღალ პასუხისმგებლობასთან.

ეპილეპტიკური ტიპი

ძირითადი მახასიათებლები. მოზარდისთვის დამახასიათებელია ნელა მიმდინარე აზროვნების პროცესი, პედანტიზმი, სევდიანი გუნება-განწყობილება. მიდრეკილია ბრაზის დაგროვებისკენ, რომელიც გამოვლინდება აფექტის, აგრესიის, კონფლიქტის ფორმით. აფექტი არა მხოლოდ ძლიერია, არამედ ხანგრძლივიც (მოზარდი ვერ მშვიდება დიდი ხნის განმავლობაში). ბრაზის გამოწვევის მიზეზი შეიძლება იყოს მცირე და უმნიშვნელო, მაგრამ ის ყოველთვის უკავშირდება მისი ინტერესების შელახვას. არის ავტორიტარი ლიდერი (ხშირად ამას აღწევს ფიზიკური ძალის გამოყენებით). ახასიათებს განსაკუთრებული, ფაქიზი დამოკიდებულება მისი კუთვნილი ნივთების მი-

მართ. ნებისმიერი მცდელობა მისი კუთვნილი ნივთების ხელყოფისა, იწვევს უკიდურესად ნეგატიურ რეაქციას.

ხასიათის ძლიერი მხარეები. აკურატულობა, დისციპლინა, მომჭირ-ნეობა (ხშირად გადადის პედანტიზმში), ყურადღებას აქცევს საკუთარ ჯამრთელობას, დასახული მიზნის მიღწევაში დიდი შეუპოვრობის გამოვლინება, პუნქტუალობა და ვალდებულებების შესრულება, გამძლეობა და ყურადღება წვრილმანების, დეტალების მიმართ. მიდრეკილეობა, ყველაფერი აკეთოს ზედმიწევნით, და არა ზედაპირულად.

ხასიათის სუსტი მხარეები. უჭირს ხანგრძლივი შინაგანი დაძაბულობის გადატანა. სხვების მიმართ გადაჭარბებული მომთხოვნელობა, სისასტიკე, უგრძნობელია სხვისი ტკივილის მიმართ, უკიდურესი ნეგატიური რეაქციები.

კონფლიქტური სიტუაციები:

- დამოუკიდებლობის შეზღუდვა.
- მისი ინტერესებისა და უფლებების ხელყოფა.
- შენიშვნა, რომელიც ლახავს მის თავმოყვარეობას.
- თამაშის დროს წაგება.
- დაპირება, რომელსაც არ ასრულებენ.
- დადგენილი წესებისა და ნორმების შეცვლა.
- სხვებზე მისი ძალაუფლებისა და ავტორიტეტის შეზღუდვა.

საპროტესტო რეაქციები. ადანაშაულებენ ყველას და ყველაფერს, გარდა საკუთარი თავისა. გაღიზიანებულ მდგომარეობაში ადვილად რისხდებიან. ძალიან ძლიერი გაღიზიანებისას, დაუნდობლები არიან და შემდეგ არ ახსოვთ, რას აკეთებდნენ. მშვიდდებიან მხოლოდ მას შემდეგ, როცა დაიცლებიან (განიმუხტებიან) ვინმეზე განრისხებით. ასევე, დამახასიათებელი საპროტესტო რეაქცია არის შურისძიება.

რეკომენდაციები:

- მოზარდთან ურთიერთობისას, პედაგოგმა უნდა გამოავლინოს ტაქტი, ყურადღება, სიღინჯე. მასთან კონტაქტი უნდა დავამყაროთ აფექტური რეაქციის დამთავრების შემდეგ. თავდაპირველად, უნ-

და მივცეთ საშუალება, „ისაუბროს“ ნეგატიური რეაქციის გამომწვევ თემაზე.

- მნიშვნელოვანია, მოვუძებნოთ ისეთი საქმიანობა, რომელიც გამოიწვევს შინაგანი დაძაბულობის შემცირებას. მაგალითად, იაროს სპორტზე, შეიძლება დავავალოთ მცირე ჯგუფების ხელმძღვანელობა.
- ვინაიდან ბავშვს უჭირს ერთი აქტივობიდან ყურადღების სწრაფად გადატანა მეორე აქტივობაზე, არ უნდა ავაჩქაროთ და უნდა მივცეთ დრო ახალ საქმიანობაში ჩასართავად.

სასურველი საქმიანობა. ფიზიკური შრომა; ხელით შრომა (მაგალითად, ოქრომჭედელი); სამხედრო სამსახური; სპორტის ათლეტური სახეობები; საქმიანობა, რომელიც აძლევს დამოუკიდებლობის განცდას და საკუთარი თავის გამოვლენის შესაძლებლობას.

ხასიათის ლაბილური ტიპი

ხასიათის ძირითადი მახასიათებლები. ლაბილური ტიპის ძირითადი მახასიათებელია სიტუაციის მიხედვით გუნება-განწყობილების სწრაფი და მკვეთრი ცვლილება. იმაზე, თუ როგორ ხასიათება (პოზიტიურ თუ ნეგატიურ) კონკრეტულ მომენტში მოზარდი, დამოკიდებულია მისი გუნება-განწყობილება, მადა, ძილი, შრომისუნარიანობა, სურვილი, იყოს მარტო (ან მარტო ახლობელთან ერთად) ან ხმაურიან საზოგადოებაში. ლაბილური ტიპის მოზარდები არიან „ხასიათის ადამიანები“. მათთვის დამახასიათებელია ერთგულება მეგობრის მიმართ, ხოლო მეგობრისგან ითხოვენ გაგებასა და მათი მოსმენის უნარს. როგორც წესი, მათ მხოლოდ ერთი მეგობარი ჰყავთ.

ხასიათის ძლიერი მხარეები. კომუნიკაბელობა, კეთილგანწყობა, გულწრფელობა, გულისხმიერება, გულშემატკივრობა, თანაგანცდის უნარი (გუნება-განწყობილების პოზიტიურ პერიოდში). ცუდი გუნება-განწყობის კარგით სწრაფად შეცვლის უნარი. მადლიერების განვითარებული განცდა იმ ადამიანების მიმართ, რომლებმაც თბილი გრძნობები გამოავლინეს მის მიმართ.

ხასიათის სუსტი მხარეები. გაღიზიანებადობა, ფეთქებადობა, თვით-კონტროლის სისუსტე, კონფლიქტისკენ მიდრეკილება (გუნება-განწყობილების ნეგატიურ პერიოდში).

კონფლიქტური სიტუაციები:

- ძლიერი კონკურენციის სიტუაცია.
- ღირსების გრძნობის შემლახავი სიტუაცია.
- მისი გუნება-განწყობილების საპირისპირო სიტუაცია (ყველა მხი-არულობს, ის კი სევდიანია).
- მუქარის ან შიშის გამომწვევი სიტუაცია.
- მისთვის მნიშვნელოვანი ადამიანის მხრიდან ემოციური უგულებელყოფა.
- ახლობელ ადამიანთან დაშორება (დაკარგვა).

საპროტესტო რეაქციები. ლაბილური მოზარდები, ძირითადად, ტირიან; წარუმატებლობის მიზეზად მიიჩნევენ გარე პირობებს, და არა საკუთარ თავს.

რეკომენდაციები:

- ვინაიდან აღნიშნული ხასიათის ტიპის მოზარდს მკვეთრად აქვს გამოხატული თანაგრძნობისა და თანაგანცდის მოთხოვნილება, სასურველია, პედაგოგმა გამოავლინოს მის მიმართ ემპათია (თანაგანცდა). როგორც წესი, ემოციური თანაგრძნობის გამოხატვით, პედაგოგმა შეიძლება მიაღწიოს გაცილებით მეტს, ვიდრე ნებისმიერი სხვა ხერხითა და საშუალებით.
- მოზარდთან კონტაქტის დამყარება შესაძლებელია მაშინ, თუ ის ხედავს პედაგოგის კეთილგანწყობას მის მიმართ, ასეთ სიტუაციაში ის გახსნილი ხდება კონტაქტისთვის.
- განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ მის ურთიერთობას თანატოლებთან. მისთვის მნიშვნელოვანია გარშემო მყოფი ადამიანების მხრიდან ემოციური მხარდაჭერა.
- შეიძლება ხშირად შევაქოთ, ეს არ გამოიწვევს მის ქედმაღლობას.
- ლაბილური ხასიათის მქონე მოზარდი ადვილად გამოდის დათრგუნული მდგომარეობიდან, თანაგრძნობის და მხარდაჭერის შედეგად.

სასურველი საქმიანობა. ხელოვნება; შემოქმედება; მედიცინა; აღზრდა და სწავლება; პროფესიები, რომლებიც ახლოს არის ბუნებასთან.

სენსიტიური ტიპი

ძირითადი მახასიათებლები. მაღალი მგრძობელობა, შფოთვა, არასრულფასოვნების განცდა. ხასიათის ამ ტიპის მქონე მოზარდებს აქვთ თავიანთი თავის მიმართ მაღლი მორალური მოთხოვნები. თავს არიდებენ აქტიური თამაშის სახეებს, უპირატესობას ანიჭებენ მშვიდ თამაშებს, ან თამაშობენ პატარებთან. უცხო ადამიანების საზოგადოებაში თავს არაკომფორტულად გრძნობენ. ახლობელი ადამიანების მიმართ განიცდიან ძლიერ მიჯაჭვულობას. ადრე უყალიბდებათ ვალდებულების განცდა, ამიტომ ბევრთად სწავლობენ, თუმცა ეშინიათ საკონტროლო წერის, გამოცდის.

ხასიათის ძლიერი მხარეები. სიკეთე, სიმშვიდე, ვალდებულების გრძნობა, შინაგანი დისციპლინა, პასუხისმგებლობა, კეთილსინდისიერება, თვითკრიტიკულობა, მაღალი მოთხოვნები საკუთარი თავის მიმართ; სურვილი, დაძლიოს თავისი ხასიათის სუსტი მხარეები; ყურადღება სხვა ადამიანების მიმართ; უნარი, განიცადოს მომხდარის შინაგანი რეალური არსი; ორიენტაცია ადამიანების ჭეშმარიტ, და არა მოჩვენებით გრძნობებზე.

ხასიათის სუსტი მხარეები. ეჭვიანია, მშიშარა, ჩაკეტილი, იბნევა რთულ სიტუაციებში; ბუტია, რის გამოც ადვილად შედის სხვებთან კონფლიქტში; მიდრეკილია თვითგანადგურებისკენ. არასრულფასოვნების განცდის კომპენსირებას ახდენს გარეგანი რიხიანობით.

კონფლიქტური სიტუაციები:

- დაცინვა.
- ეჭვი, რომ ის ცუდად მოიქცა.
- არაკეთილგანწყობილი ყურადღება.
- მისი საჯაროდ დადანაშაულება.

საპროტესტო რეაქციები. არ აქვთ გამოკვეთილი პროტესტული რეაქციები, თუ არ არიან მისულები სასოწარკვეთამდე (ან თუ მათი პროვოცირება არ მოხდა). ყველაფერში მხოლოდ საკუთარ თავს ადანაშაულებენ, რის გამოც არაობიექტურები არიან. უკიდურეს შემთხვევებში, შესაძლებელია გამოვლინდეს თვითმკვლელობის მცდელობები.

რეკომენდაციები:

- პედაგოგი უნდა დაეხმაროს მოზარდებს თვითშეფასების ამალგებაში. რთულია მათთან კონტაქტში შესვლა, მაგრამ, ამასთანავე, მათ აქვთ ძლიერი მოთხოვნილება, გაუზიარონ საკუთარი განცდები სხვა ადამიანებს. ამიტომ აუცილებელია მოზარდთან ხშირი საუბარი, სიტუაციის დეტალური ანალიზი, რაც დაეხმარება მას საკუთარი ეჭვისა და არასრულფასოვნების განცდის დაძლევაში.
- უნდა შეუქმნათ ისეთი სიტუაციები, სადაც მოზარდი თავს სრულად გამოავლენს. აგრეთვე, უბიძგოთ ისეთი აქტივობების შესასრულებლად, სადაც ის თავს სუსტად მიიჩნევს. მაგრამ აუცილებელია დატვირთვის დოზირება. აგრეთვე, უნდა დავიცვათ ზედმეტად ძლიერი შთაბეჭდილებებისგან. არ შეიძლება გადაჭარბებული ბრუნვა, მათი ყოველი ნაბიჯისა და წუთის კონტროლი.

სასურველი საქმიანობა. სამუშაო, რომელიც არ ითხოვს ურთიერთობის დიდ წრეს.

არამდგრადი ტიპი

ძირითადი მახასიათებლები. ახასიათებს უნებისყოფობა, როცა საქმე ეხება სწავლას, შრომას, ვალდებულებების შესრულებას. გართობის დროსაც არ ავლენს ენთუზიაზმს, უფრო მეტად დინებას მიჰყვება. ბავშვობაში იყო აქტიური, მოუსვენარი, ყველგან მიძვრებოდა, მაგრამ, ამავე დროს, მშობარა, ეშინოდა დასჯის. ადვილად ექცევა სხვისი გავლენის ქვეშ. რთულად ითვისებს ქცევის ელემენტარულ წესებს.

ასეთ მოზარდებს, ჩვეულებრივ, არ აქვთ სწავლის სურვილი. მხოლოდ უშუალო და მკაცრი კონტროლის შედეგად ასრულებენ სასწავლო დავალებას, თუმცა ყოველნაირად ცდილობენ, თავი აარიდონ სწავლას. ამავე დროს, მიდრეკილნი არიან გართობისკენ და უსაქმურობისკენ.

ხასიათის ძლიერი მხარეები. გახსნილია, ადვილად გადააქვს ყურადღება ერთი საქმიდან მეორეზე, ცნობისმოყვარეა, კომუნიკაბელური, კეთილგანწყობილი, შეუძლია მიიღოს ცხოვრებისგან ძლი-

ერი და მკვეთრი შთაბეჭდილებები, ნდობა და ერთგულება ჯგუფის მიმართ.

ხასიათის სუსტი მხარეები. უნებისყოფობა, უპასუხისმგებლობა, უყვარს ლაქლაქი, დროის უქმად გატარება, ტრაბახი, მშიშარაა.

კონფლიქტური სიტუაციები:

- სიტუაცია, როცა მკაცრად სთხოვენ დისციპლინას.
- ყურადღებისა და ენერჯის ხანგრძლივად წარმართვა გარკვეულ აქტივობაზე.
- სიტუაცია, როცა საჭიროა კონკრეტული გადაწყვეტილების მიღება და მასზე პასუხისმგებლობის აღება.
- იმ ადამიანებთან ურთიერთობის შეზღუდვა, რომელიც ეხმარება გართობაში.

საპროტესტო რეაქციები. აპროტესტებენ ფარულად, გახსნილად არასოდეს. ადანაშაულებენ ყველას, და არა საკუთარ თავს. შეპირებისადმი დიდ მზაობას ავლენენ, მაგრამ არასოდეს ინახავენ სიტყვას. მათი პროტესტი გაუცნობიერებელია, უბრალოდ, ისინი აკეთებენ იმას, რასაც „ყველა აკეთებს“ (იგულისხმება ჯგუფის წევრები).

რეკომენდაციები:

- არამდგრადი ხასიათის ტიპის მოზარდთან ურთიერთობისას, პედაგოგს ჰმარტებს დიდი მოთმინება, ტაქტი, თანმიმდევრულობა და სიმტკიცე. არ შეიძლება ბავშვის უყურადღებოდ დატოვება, მას სჭირდება მუდმივი კონტროლი. აუცილებელია მკაცრად რეგლამენტირებული დღის რეჟიმი. არ უნდა მისცეთ უფლება, თავი აარიდოს საქმის შესრულებას. უსაქმურობისთვის უნდა დაისაჯოს. მკაცრი კონტროლის პირობებში ავლენს მორჩილებას, მაგრამ როგორც კი კონტროლი შესუსტდება, იწყებს გართობას.

სასურველი საქმიანობა. პროფესია, რომელიც არ მოითხოვს ძალისხმევას, შრომის თავისუფალ რეჟიმს. მაგალითად, დარაჯი, მატარებლის გამცილებელი. სამუშაო, რომლის შესრულებაც შეიძლება სახლში.

ციკლოიდური ტიპი

ძირითადი მახასიათებლები. დამახასიათებელია კარგი და ცუდი გუნება-განწყობილების ფაზების მონაცვლეობა. ბავშვობაში ციკლოიდური ხასიათის ტიპის მქონე ბავშვები არაფრით გამოირჩევიან თანატოლებისგან. მაგრამ მოზარდობის ასაკში თავს იჩენს პირველი სუბდეპრესიის ფაზა (სუბდეპრესია არის მსუბუქად გამოვლენილი დეპრესია, რომელიც ვლინდება აპათიაში, მოდუნებაში). ამ ფაზაში მოზარდებში ეცემა შრომის ნაყოფიერება, არ აქვთ სურვილი თანატოლებთან ურთიერთობის. აღნიშნული ფაზა გრძელდება 2-3 კვირის განმავლობაში, რომლის შემდეგ გუნება-განწყობილება გამოსწორდება, ისინი ემსგავსებიან ჰიპერთიმიური ტიპის მოზარდებს და იწყებენ დაკარგული დროის ანაზღაურებას.

ხასიათის ძლიერი მხარეები. ინიციატივა, კომუნიკაბელობა, ხალისიანობა (პოზიტიური ფაზის დროს).

ხასიათის სუსტი მხარეები. არათანმიმდევრულობა, გაუწონასწორებულობა, გულგრილობა, გაღიზიანებადობა, ბუტიაობა (პოზიტიური ფაზის დროს).

სევდა, მოდუნება, ძალების ნაკლებობა, სირთულეები სწავლასა და ცხოვრებაში, გაღიზიანება თანატოლებთან ურთიერთობისას (ნეგატიური ფაზის დროს).

კონფლიქტური სიტუაციები:

- სიტუაციები, როცა ახლობელი ადამიანები ემოციურად არ ღებულობენ.
- ცხოვრებისეული სტერეოტიპების რღვევა.

საპროტესტო რეაქციები. პოზიტიურ ფაზაში პროტესტის ფორმით გვაგონებენ ჰიპერთიმიურებს, ნეგატიურ ფაზაში კი აგრესია შეიძლება მიმართული იყოს საკუთარი თავისკენ.

რეკომენდაციები:

- მოზარდთან ურთიერთობის თავისებურება დამოკიდებულია გუნება-განწყობილების ფაზაზე. თუ მოზარდი იმყოფება ნეგატიურ

ფაზაში, მიზანშეწონილია მისი მხარდაჭერა, ძალების აღდგენაში დახმარება. არ ღირს ამ დროს მასზე რაიმე ზეგავლენის მოხდენა. პოზიტიურ ფაზაში ყოფნის დროს საჭიროა მასთან საუბარი, მისი ხასიათის თავისებურებებზე და იმაზე, თუ როგორ შეძლოს საკუთარი თავის კონტროლი.

- სასურველი საქმიანობა. ინტერესებს განაპირობებს გუნება-განწყობილების ფაზა. ხშირად უცრუვდებით გული არჩეულ პროფესიაზე, იცვლიან სამსახურს.

ასტენონევროტული ტიპი

ძირითადი მახასიათებლები. ახასიათებთ გაღიზიანებადობა, სწრაფი დაღლა, დეპრესიისკენ მიდრეკილება, იპოქონდრია (გადამეტებული ყურადღება საკუთარი ჯანმრთელობის მიმართ). ბავშვობიდან ახასიათებთ – პრეტენზიულობა, ღამის შიშები, ენაბლუობა, ადვილად იღლებიან. ასეთი ტიპის ბავშვები ღიზიანდებიან ნებისმიერ წვრილმანზე. ცუდად იტანენ საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობას, მალე იღლებიან თანატოლების კამპანიისგან. არ არიან დარწმუნებულინი საკუთარ თავში, ამის გამო არ მიიღტვიან ახლო ურთიერთობებისაკენ. არ ავლენენ ინიციატივას. ჰყავთ ძალიან ცოტა მეგობარი, პირველ რიგში, მათი ხშირი გაღიზიანებისა და კაპრიზების გამო.

ხასიათის ძლიერი მხარეები. აკურატულობა, დისციპლინა, შემსრულებლობა, მორიდებულობა, მეგობრულობა, ცუდის ადვილად დავიწყება, მაღალი მგრძნობელობა, საკუთარი ძალების განსაზღვრის უნარი.

ხასიათის სუსტი მხარეები. პრეტენზიულობა, დაბალი თვითშეფასება. ხშირად ტირიან და არ ავლენენ ინიციატივას, ვერ იცავენ საკუთარ თავს.

კონფლიქტური სიტუაციები:

- სიტუაცია, როცა მათ უყენებენ მაღალ მოთხოვნებს და ადარებენ სხვებს.
- სიტუაცია, როცა ისინი განიცდიან მარცხს.
- ისმენენ მათი ნაშრომის უარყოფით შეფასებას.
- სიტუაცია, სადაც ადგილი აქვს ფიზიკურ და ფსიქიკურ დაძაბულობას.

- სიტუაცია, სადაც მათ დასცინიან დაშვებულ შეცდომებზე.
- სიტუაცია, როცა იცვლება გარემო პირობები, ირღვევა სტერეოტიპები.

საპროტესტო რეაქციები. იშვიათად აპროტესტებენ. მათი პროტესტული რეაქციები იმდენად განდევნილია ცნობიერებიდან, რომ ვლინდება, როგორც რეალური ავადმყოფური სიმპტომები: ალერგია, მაღალი ტემპერატურა და ა.შ.

რეკომენდაციები:

- პედაგოგმა უნდა შექმნას სიტუაცია, სადაც მოზარდი თავს იგრძნობს თავდაჯერებულად და გაბედულად. უნდა აღინიშნოს მისი სულ მცირე წარმატებაც კი. ხანდახან შეიძლება უფრო მაღალი შეფასებაც მიეცეთ მის ნაშრომს, ვიდრე ის რეალურად იმსახურებს. საჭიროა ხშირი შექება. პედაგოგი უნდა იყოს კეთილგანწყობილი. მოზარდებს სჭირდებათ შრომისა და დასვენების გააზრებული განრიგი, რათა არ გადაიღალონ. მიეცით საშუალება, დარჩნენ საკუთარ თავთან მარტო.
- შეჯიბრების სიტუაციაში, როცა ასეთი მოზარდი ხვდება, რომ ვერ შეძლებს გამარჯვებას, შეიძლება ჰქონდეს აფექტური რეაქცია. ამიტომ სასურველია, არ მიიღოს შეჯიბრებაში მონაწილეობა.

სასურველი საქმიანობა. შრომა, რომელიც არ მოითხოვს ურთიერთობის დიდ წრეს. ინტელექტუალურ-ესთეტიკური აქტივობა.

შიზოიდური ტიპი

ძირითადი მახასიათებლები. გარიყულობა, ჩაკეტილობა, ემოციური გულგრილობა, ინტუიციის ნაკლებობა.

ხასიათის შიზოიდური ტიპი თავს იჩენს უკვე ბავშვობაში. ასეთი ბავშვები უპირატესობას ანიჭებენ მარტო თამაშს. ურჩევნიათ უფროსების გვერდით ყოფნა, სადაც შეუძლიათ თავისთვის ჩუმად ყოფნა.

მოზარდობის ასაკში ასეთ ბავშვებს აქვთ სირთულეები ემპათიის (თანაგანცდა) გრძნობის განვითარებაში. არ ერთიანდებიან არაფორ-

მალურ ჯგუფებში. მათი შინაგანი სამყარო დახურულია და გაუგებარია გარშემომყოფთათვის. მოზარდმა შეიძლება უხმოდ აიტანოს წვრილმანი ზედამხედველობა, დაემორჩილოს დაწესებულ განრიგს, მაგრამ აქვს მწვავე რეაქცია მის შინაგან სამყაროში დაუკითხავად შეჭრისას. უყვარს საკუთარი დამოუკიდებლობის ხაზგასმა.

ხასიათის ძლიერი მხარეები. სერიოზულობა, ინტერესებისა და საქმიანობის სიმყარე, სიდინჯე, უნარი – მიიღოს არასტანდარტული გადაწყვეტილებები, „ცივი“ გონება, არ ექვემდებარება სუბიექტურ და ემოციურ ზემოქმედებას, გატაცება და ღრმა ცოდნა იმისა, რითიც ინტერესდება. როგორც წესი, ინფორმირებულობა და მისწრაფება ზუსტი ფაქტებისკენ. უნარი – დიდხანს იმუშაოს მარტომ.

ხასიათის სუსტი მხარეები. ჩაკეტილობა, ემოციური სიცივე.

კონფლიქტური სიტუაციები:

- სიტუაცია, სადაც საჭიროა არაფორმალური, ემოციური კავშირების დამყარება.
- მის სულიერ სამყაროში დაუკითხავად შეჭრა.
- მისი ცხოვრების წესის კრიტიკა.

საპროტესტო რეაქციები. არ ფეთქდება მაშინვე, არამედ იკეტება საკუთარ თავში. ისინი თავშეკავებულნი არიან. მათი პროტესტული რეაქციები შეიძლება გამოვლინდეს, როგორც დიდი ხნის გაჩუმების შედეგი. მათ შინაგან სამყაროში უცერემონიოდ შეჭრისას უხეშად ეპყრობიან ახლობლებს, ხოლო ზოგი კი საკუთარ თავში იკეტება და დუმს.

რეკომენდაციები:

აღნიშნული ხასიათის ტიპის მოზარდთან კონტაქტში შესვლა საკმაოდ რთულია, ამიტომ თავი უნდა ავარიდოთ ზედმეტ დაჟინებას. სასურველია, კონტაქტის დასამყარებლად განსახილველად მიაწოდოთ რაიმე ფაქტი სკოლის ცხოვრებიდან. კარგია, თუ ჩართავთ მოზარდს სხვადასხვა კოლექტიურ, თუ ჯგუფურ აქტივობაში.

სასურველი საქმიანობა. საქმიანობა, რომელიც არ მოითხოვს ურთიერთობების ფართო წრეს, მეცნიერება, ჭადრაკი, მუსიკა, კოლექციონერობა.

ცნება „ხასიათის ძლიერი მხარეები“ ჩვენ შემოვიტანეთ იმისთვის, რომ კიდევ ერთხელ გავუსვათ ხაზი შემდეგ ფაქტს – არ არსებობს ცუდი და კარგი ხასიათი. თითოეულ ხასიათის ტიპში არის ყველაფერი, რაც აუცილებელია ცხოვრებისთვის. ძლიერი მხარეები არ წარმოადგენს დადებით თვისებებს, ისინი არც კარგებია და არც ცუდები. შეფასებითი და მორალური კატეგორიები მათ მიეწერება იმ მიზნების გათვალისწინებით, რომელთა მისაღწევადაც ისინი გამოიყენება. იცოდე საკუთარი ხასიათის ძლიერი მხარეები, ეს უკვე ცხოვრებაში წარმატების მიღწევის ნახევარია. ადამიანები იყოფიან არა ცუდი და კარგი ხასიათის მიხედვით, არამედ იმის მიხედვით, თუ ვინ იცის საკუთარი ხასიათის ძლიერი მხარეების გამოყენება და ვინ არ იცის, მხოლოდ იმიტომ, რომ არ სურს საკუთარი თავის ახლოს გაცნობა.

ხასიათის ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ წარმოდგენა დაგეხმარებათ, დამოუკიდებლად გააკეთოთ დასკვნა კონკრეტული მოზარდის ბაზისური მოტივაციის შესახებ.

მოზარდის ბაზისური მოტივაცია განისაზღვრება მისი ხასიათის ტიპოლოგიური ნიშნებით. ბაზისური მოტივაცია გავლენას ახდენს ყველაფერ იმაზე, რასაც აკეთებს მოზარდი და განსაზღვრავს მის ღრმა განცდების ხასიათსაც. რაც უფრო რთულია მოზარდის ფსიქოლოგიური „პროფილი“, მით უფრო რთული შეიძლება იყოს მისი ბაზისური მოტივაცია. მაგალითად, მოზარდს, რომლის პროფილი მოიცავს პიკურ მაჩვენებლებს დემონსტრირებისა და ლაბილურობის სკალეებზე, შეიძლება აწუხებდეს დემონსტრირული ტიპისთვის დამახასიათებელი პრობლემები (მისთვის მნიშვნელოვანი ჯგუფის წევრი თანატოლების მხრიდან აღიარება, ჯგუფში განსაკუთრებული პრესტიჟული მდგომარეობის შენარჩუნება, მნიშვნელოვანი „სხვების“ თვალში საკუთარი „ხატის“ შენარჩუნება), ან შეიძლება განიცდიდეს იმ პრობლემებს, რომლებიც ტიპურია ლაბილური ხასიათისთვის (მეტისმეტი „უნიათობა“, სიყვარულის საგანზე ემოციური დამოკიდებულება, ემოციური გულგრილობა ახლობელი ადამიანების მიმართ).

იმისათვის, რომ ისწავლო, როგორ „დაინახო“ მოზარდთა ინდივიდუალური თავისებურებები მათ ქცევაში, უნდა შეასრულო განსაზღვრული და საკმაოდ რთული (თუმცა ძალიან საინტერესო) სამუშაო. მიაქციეთ ყურადღება იმ ფაქტს, რომ პროფესიონალი ფსიქოლოგები არასოდეს იყენებენ ტესტებს, როცა აქვთ შესაძლებლობა, უბრალოდ

გაესაუბრონ ადამიანს და დააკვირდნენ მის ქცევას. ისინი აკეთებენ ამას იმიტომ, რომ ყველა სხვა მეთოდი უკვე „მათ თავშია“. ეს განსაკუთრებული „ხედვა“ ფორმირდება არა „ცარიელ ადგილზე“, არამედ ის ამა თუ იმ ტესტური მეთოდის პერმანენტული გამოყენების შედეგს წარმოადგენს.

ამიტომ გირჩევთ, მუდმივად შეეცადოთ განსაზღვროთ მოზარდის ხასიათის ტიპის მახასიათებლები. თუ თქვენ ერთი წლის განმავლობაში მაინც გამოიყენებთ მას რთულ სიტუაციებში, აღმოაჩენთ, რომ „ტიპოლოგიური ხედვა“ თქვენ თავისთავად ჩამოგიყალიბდათ.

პედაგოგის მიერ მოზარდების ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინება კლასში ურთიერთობებს პროდუქტიულ, უფრო ემოციურ სახეს აძლევს. როცა მასწავლებელს ესმის მოსწავლის ქცევის ტემპარიტი მოტივაცია და ღრმა განცდები, მაშინ მას შეუძლია დაეხმაროს მოსწავლეს თავისივე ქცევის მოტივების გაგებაში. ასეთ შემთხვევაში ის უთუოდ იგრძნობს დიდ მადლიერებას მოსწავლის მხრიდან. მასწავლებლის პროფესია იზიდავს მათ, ვინც იცის ეს ტემპარიტება.

საკუთარი მოსწავლეების მოსმენის, დაკვირვებისა და გაგების უნარი აძლევს შემოქმედებით პიროვნებებს ყოველდღიური სიხარულის შესაძლებლობას, რათა მთელი სისხვსით განიცადონ, თუ რას ნიშნავს მასწავლებლობა.

პითხვები ფიქრისთვის:

1. რა ფიზიოლოგიური ცვლილებები მიმდინარეობს მოზარდის ორგანიზმში?
2. კმაყოფილია თუ არა მოზარდების უმრავლესობა საკუთარი გარეგნობით?
3. რა მახასიათებლები ახასიათებს მოზარდის აზროვნებას? მესხიერებას?
4. თქვენი აზრით, რომელია მოზარდობის ასაკის მთავარი ამოცანა (მონაპოვარი)?
5. რატომ უჩნდებათ მოზარდებს უფროსებისაგან დისტანცირების სურვილი?
6. როგორი მოზარდი იყავით თქვენ?
7. რა ფაქტორები ახდენს გავლენას პროსოციალური ქცევის ფორმირებაზე?
8. როგორ იქცევით თქვენ, როცა ხედავთ, რომ ვინმე არღვევს მორალურ ნორმებს?
9. რას ნიშნავს ცნება „ხასიათის აქცენტუაცია“?

- **ყურადღების სიმტკიცე** – ყურადღების ხანგრძლივი წარმართვა ერთი და იმავე მიმართულებით, ერთსა და იმავე ობიექტზე.
- **ყურადღების გადაუხრადობა** – უცხო, ხელშემშლელი გამღიზიანებლების მიმართ მეტ-ნაკლები წინააღმდეგობის გაწევა.
- **შექცევადობის ოპერაცია** – გაგება იმისა, რომ ყველა ფიზიკური თუ გონებრივი მოქმედება შეიძლება იყოს შექცევადი (ობიექტი შეიძლება დაუბრუნდეს პირვანდელ მდგომარეობას).
- **ეგოცენტრიზმი** – სხვა ადამიანების თვალსაზრისის გაზიარების უნარების არქონა.
- **მე-კონცეფცია** – ზოგადი წარმოდგენა საკუთარ თავზე.
- **თვითშეფასება** – თვითშემეცნების კომპონენტი, რომელიც მოიცავს საკუთარი ფიზიკური, პიროვნული, ინტელექტუალური მახასიათებლების, მორალური თვისებებისა და ქცევის შეფასებას.
- **ემპათია** – სხვა ადამიანის ემოციური მდგომარეობის გაგება და თანაგანცდა.
- **იდენტობა** – ინდივიდის მიერ საკუთარი სოციალურ-პიროვნული პოზიციის გაცნობიერება.
- **მოტივი** – პიროვნების შინაგანი მიდრეკილება ამა თუ იმ აქტივობის მიმართ, რომელიც დაკავშირებულია გარკვეული მოთხოვნილების დაკმაყოფილებასთან.
- **ინდუქციური აზროვნება** – კონკრეტული ინფორმაციის განზოგადება და მის საფუძველზე დასკვნის გაკეთება.
- **დედუქციური აზროვნება** – ზოგადი ინფორმაციის გამოყენება კონკრეტული დასკვნის გასაკეთებლად.

- **პროსოციალური ქცევა** – აქტივობა, რომელსაც მოაქვს სარგებელი, ეხმარება და ხელს უწყობს სხვა ადამიანებს.
- **ხასიათის აქცენტუაცია** – ნორმის უკიდურესი ვარიანტი, რომლის დროსაც ხასიათის ცალკეული მახასიათებლები მეტისმეტად გაძლიერებულია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მ. მელიქიშვილი, თ. კერძაია, ნ. ლაბარტყავა (2011 წ.). 5 წლის ასაკის ბავშვის სწავლა-სწავლების თავისებურებები. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი.
2. ა. ვულფოლკი (2012 წ.). განათლების ფსიქოლოგია. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
3. Жан Пиаже (1976 г). Избранные психологические произведения. Москва.
4. Д. Шеффер (2003г). Дети и подростки, психология развития. Санкт-Петербург, “Питер”.
5. Хелен Би (2004 г). Развитие ребенка, Санкт-Петербург, “Питер”.
6. Нора Ньюкомб (2002 г). Развитие личности ребенка, Санкт-Петербург, “Питер”.
7. Ф. Райс, К. Долджин (2010 г). Психология подросткового и юношеского возраста ,12-е издание ,Санкт-Петербург, “Питер”.
8. С. В. Кривцова, Е. А. Мухамутулина (1999г). Навыки конструктивного взаимодействия с подростками, Москва, Генезис.
9. Леонгард К. (1982 г), Акцентуированные личности, Москва, Ун-та.
10. Б. Такман (2002 г.). Педагогическая психология. М. Прогресс.
11. Франсуаза Дольто (1997), На стороне подростка, Москва ,АГРАФ.
12. Berk. L. (2002), Infants, children and adolescents (4 th. ed), Boston, MA: Allyn&Bacon
13. L. Steinberg, D. Lowe Vandell (2010), Development: Infancy Though Adolescence, New-York: Wiley.
14. M. Rutherford (2011), Child development, Perspectives in development Psychology, New- York: Oxford University Press.
15. www.psy.pdx.edu/Psicafe/KeyTeorists/Piaget.htm
16. www.piaget.org

17. www.self-esteem-nase.org
18. www.bu.edu/education/caec
19. www.character.org
20. www.charactercounts.org
21. www.nea.org
22. www.nmsa.org

www.tpdg.ge